პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34. ტელეფონი № 8-81

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის – 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 31 იანვარი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 24 (2370)

დღიური

— ჩხრეკა გერმანიის კომპარტიის ცეკას ბინაზე.
— დააპატიმრეს უორკერს პარტიის ცეკას წევრი ბიდენკაპი.
— ვაფდის პარტიის მოწოდება.
— „იუმანიტე"-ს რედაქტორს ანტიმილიტარისტული [illegible] თვის მიუსაჯეს 3 წლის ციხე და 8.000 ფრანკის ჯარიმა.
— ხანკოუში გრძელდება იაპონიის საქონლის ბოიკოტი.
— თურქეთის სახალხო განათლების მინისტრად დაინიშნა ვასიფ-ბეი.
— დაიხურა სომხეთის კომპარტიის ურილობა.

1929 წლის 8 თებერვალს, დილის სრულ 10 საათ. სახალხოს წითელ დარბაზში

გაიხსნება

საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის მე-4 მორიგი პლენუმი

დღის წესრიგი:

1) მოხსენება თვითკრიტიკის მსვლელობის შესახებ.
2) მოხსენება ც. ს. კ. და მ/გ. ინსპექციის 1928-29 წ. სამუშაო გეგმის შესახებ.
3) მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგების შესახებ.
4) პარტიის რიგების წმენდის შესახებ.
5) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის თავმჯდომარე — ივანოვ-კავკასიელი.

ფართოდ გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა

(საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის)

მიწადმოწყობის და მიწადმოქმედების მუშაკთა ამჟამად მიმდინარე თათბირის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს საგაზაფხულო თესვის კამპანია. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს და თათბირზე გამოქვეყნებულ მასალებიდანაც სჩანს, რომ ჩვენს წინაშე საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით მეტად სერიოზული დაბრკოლებებია აღმართული და რომ მათ გადასალახავად საჭირო მოსამზადებელი მუშაობა ოდნავადაც არ არის ჯეროვნად დაყენებული.

ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობაა თესვის სათესლე მასალით უზრუნველყოფის მხრივ. კოლექტიურ მეურნეებსა და ღარიბ და მასთან თავისი შეძლებულობით ახლო მდგომ საშუალო გლეხობას ესაჭიროებათ დახმარება დაახლოებით 674 ათასი ფუთი თესლეულით. ამავე დროს კი ვაჭრობის კომისარიატს მოეპოვება მხოლოდ 150.000 ფუთი სიმინდი, ისიც საკვები სიმინდი, რომელიც სათესლეთ არც იმდენად გამოდგება. გარდა ამისა, ხსენებულ კომისარიატს იმედი აქვს, რომ შეიძენს 250.000 ფუთ ქერს. მაგრამ რამდენად განხორციელდება ეს იმედი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

აქედან— ძირითადი ამოცანაა სათესლე მასალის საკმაო რაოდენობით მომარაგება. მეტი ენერგია და სისწრაფე უნდა გამოვიჩინოთ სათესლე მასალის შესაძენად, როგორც ჩვენს შინაურ ბაზარზე, ისე უმთავრესად სხვა სათანადო მეზობელ რესპუბლიკებში.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესლეულის შერჩევას და გაწმენდას, რაც მოსავლიანობის გადიდების ერთი მთავარი პირობათაგანია. ამისთვის საწმენდი მანქანების (ტრიერების) გავრცელება, სათესლე პუნქტების ქსელის გაფართოება და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება გლეხობაში პირველ ხარისხოვანი საქმეა.

მწვავედ სდგას მუშა საქონლის საკითხიც. თავის თავად ცხადია, ღარიბ მეურნეებს იგი არ გააჩნია. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ საჭირო რაოდენობით მუშა-საქონელი შინაურ ბაზარზე საყიდლად არ იშოვება. მაგრამ რაიმე გამოსავალი უნდა იქნას გამონახული. ის 456.000 მანეთი, რომელიც გადადებულია მუშა-საქონლის შესაძენად, სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიზნისათვის.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო- სამეურნეო მანქანა-იარაღებით (ტრაქტორები, გუთნები და სხვ.) გლეხობის მომარაგებას. ამ მხრივ გეგმა შედგენილია; ეს მანქანა-იარაღები სათანადო ორგანოებიდან უკვე გამოთხოვილია. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. ჩვენ ვიცით, რომ სამეურნეო ორგანიზაციები ხშირად ვერ იჩენენ დისციპლინას და ვერ ასრულებენ დავალებებს თუ დაპირებებს. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩვენ ზოგჯერ რიგიანად და სრული დატვირთვით არ გვაქვს გამოყენებული ის იარაღ-მანქანებიც, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში არის. ეს აიხსნება მათი შოვლის და მოხმარების უცოდინარობით, სათადარიგო ნაწილების უქონლობით, საწვავ მასალის დროზე მიუწოდებლობით ადგილებისათვის, შემკეთებელ სახელოსნოების სიმცირით და სხვ. ისეთ შემთხვევებსაც აქვს ადგილი, რომ ამა თუ იმ რაიონს ჩვენ ვაწვდით იმგვარ იარაღ-მანქანებს, რომლებიც ადგილობრივი პირობების მიხედვით იქ გამოუსადეგარია. ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ასაცილებლად ამ თავითვე უნდა ჩავატაროთ აუცილებელი მუშაობა.

თესვის კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასოფლო მეურნეობის კონტრაქტაციის გავრცელება. გახზრახულია კონტრაქტაციის წესით მარტო მარცვლეულ კულტურების დამუშავება 50.000 ჰექტარ მიწაზე. ამის განხორციელება დიდ წინასწარ მუშაობას მოითხოვს. დროზე ავანსების გაცემას და კონტრაქტაციის დაკავშირებას მთელ რიგ აგრო-კულტურულ ღონისძიებათა გატარებასთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს

თესვის კამპანიის წარმატებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამ მიზნით გადიდებულ კრედიტების რაოდენობას და მათი დაუგვიანებლად მიწოდებას სოფლის მოსახლეობისათვის. უკვე გამოყოფილი კრედიტები საკმარისი არ არის; ამასთან მათი მიღება ჭიანურდება. ამ მხრივ მდგომარეობა დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თესვის კამპანია აუცილებლად შეფერხდება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის დარგში, როგორიცაა, კრედიტების გაღება, კონტრაქტაცია, თესლეულის და იარაღების მიწოდება გლეხობისათვის და სხვ., ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გლეხურ მეურნეობათა საწარმოო გაერთიანებისათვის, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სახელმწიფოს დახმარება მოხმარდეს მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობებს, ღარიბ და ნაკლებად შეძლებულ საშუალო გლეხობას. ეჭვი არ არის, რომ კულაკობა სხვადასხვა მახინაციებით შეეცდება მიიღოს ღარიბთათვის დაწესებული შეღავათები და დახმარება. ასეთი ცდები ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი.

მთელი ეს მუშაობა გულისხმობს წინასწარ დაწვრილებით გამომუშავებულ, ქვეყნის ყველა ნაწილების საჭიროებათა საფუძვლიან ცოდნაზე დამყარებულ მტკიცე გეგმას, თესვის კამპანიის ორგანიზაციულ საკითხების ჯეროვან მოგვარებას, ყველა დაინტერესებულ დაწესებულება-ორგანიზაციების შეთანხმებულ საქმიანობას და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, კერძოდ სოფლის აქტივის ამოძრავებას. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება შესაძლებელი დასახულ ამოცანების გადაჭრა.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებას სასოფლო - მეურნეობის და მრეწველობის შემდგომ განვითარებისათვის. ეს მნიშვნელობა საკმაოდ ცნობილია. საჭიროა პრაქტიკული მუშაობის გაშლა. დრო არ ითმენს. საქმეს ენერგიულად და დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი.

თესვის კამპანია და მანქანების მიწოდება

გაზაფხულის თესვის კამპანიაში დღემდე მთავარი ადგილი ეჭირა მის ზოგად ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მომზადებას. მაგრამ რაც უფრო გვიახლოვდება გაზაფხული, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა—უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მზადების გარდა,—საქმის მეორე მხარესაც; ეს არის სხვადასხვა პრაქტიკული მუშაობის შესრულება, რომელიც საჭიროა თვით თესვის წარმატებით შესრულებისათვის.

ამ სამუშაოთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მანქანების მიწოდებას და გაზაფხულის თესვის საწარმოო-ტექნიკურ მზადებას.

იმ მიზნით, რომ სოფელს გაზაფხულისათვის შეუფერხებლად მივაწოდოთ მანქანები, საჭიროა ახლავე გულდასმით შევამოწმოთ მანქანების მიწოდების გეგმები რაიონების მიხედვით. ცენტრალურმა აპარატმა სისწორით უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად არ ასრულებს მრეწველობა მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებათა გამოშვებას. მაგრამ შემოწმებას არ უნდა დავსჯერდეთ და სისტემატიური კონტროლი უნდა გაუწიოთ მათ გამოშვებას. სასტიკად უნდა ვადევნოთ თვალყური, რომ კავშირებმა დროით დაიკავონ მანქანა-იარაღი, ხოლო დაუყოვნებლივ რეალური ზედმოქმედება მოვახდინოთ. ახლავე უნდა გამოირკვეს იმ გაუყიდველი პროდუქციის რაოდენობა, რომელიც საჭიროა გაზაფხულის პერიოდში. როცა გამოირკვევა კავშირების დამატებითი მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს იგი სათანადო კავშირებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საოლქო კავშირებმა და მანქანების მიმწოდებელი სახელმწიფო ორგანიზაციების განყოფილებებმა საწყობებში არსებული მანქანები უნდა გაუგზავნონ ქვედა საფეხურებს არა უგვიანეს თებერვლის დამდეგის და შუა რიცხვებისა. ასეთი ცდა მოხდა შარშანვე ჩრდილოეთ კავკასიაში. საქმის მოუწესრიგებლობისა და [illegible] მიუხედავად (ქვედა საფეხურებთან შეუთანხმებლად მანქანები სოფლად გაიგზავნა [illegible] დღით), ამ ცდამ კარგი შედეგი გამოიღო. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ კავშირებმა დროით აცნობონ „სელსკოსოიუზს" ყველა ისეთი შემთხვევა, როცა მრეწველობა აფერხებს ხელშეკრულებათა შესრულებას.

დირექტივების შესრულება იმის შესახებ, რომ მანქანების მიწოდებისათვის საჭირო კრედიტებს კლასობრივი ხასიათი ჰქონდეთ, ბოლოსა და ბოლოს დამოკიდებულია ქვედა საფეხურებზე. ამიტომ ქვედა საფეხურებს რეალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამანქანო კრედიტების კლასობრივად მიმართულების მიცემაში (მანქანების 50 პროცენტი განსაზღვრულია სექტორს, რომელშიაც სჭარბობს ღარიბი გლეხობა, და ცალკე ღარიბ გლეხებს. ხოლო უმაღლეს ჯგუფებს—არა უმეტეს 10 პროცენტისა ნაღდ ფულზე). კავშირებმა ამ საკითხში დაწვრილებითი ინსტრუქცია უნდა მისცენ ქვედა საფეხურებს.

საწარმოო-ტექნიკური მუშაობის დარგში მომარაგების სისტემას მეტის-მეტად ძნელი ამოცანები აქვს დასახული. რადგან მანქანების გაქირავების განვითარების გეგმის დამტკიცება ძალიან დაგვიანდა, კოოპერატიულმა კოოპერაციამ და მანქანების მიმწოდებელმა სახელმწიფო ორგანიზაციებმა დიდი ენერგია უნდა გამოიჩინონ და სწრაფი ტემპით განავითარონ არსებული გამქირავებელი პუნქტების მოწესრიგება და ახალი პუნქტების შექმნა.

მეტად მცირე, დარჩენილ ხანში საჭიროა მოეწყოს მარცვლის საწმენდი პუნქტების მაქსიმალური რაოდენობა, მეტადრე მოძრავი საწმენდების პრინციპის მიხედვით.

ცაკის მე-4 სესიის დირექტივა ამბობს: „არა უგვიანეს სამი წლის ვადისა ყველგან შემოღებულ იქნას თესლის სავალდებულო წმენდა და დახარისხება". ცხადია, თუ ძველებურად ვიმუშავებთ, ათ წელიწადშიაც ვერ შევასრულებთ ამ დირექტივას. თუ მარცვლის საწმენდ მანქანას თვლებზე შევაყენებთ, ამით მას დაუახლოვებთ მეურნეობას, მეტადრე უსახსრო ღარიბი გლეხის მეურნეობას, და თვალსაჩინოდ გავაფართოვებთ მანქანებით დასაკმაყოფილებელ რაიონს, მაშასადამე, მანქანების დატვირთვასაც საგრძნობლად გავაძლიერებთ.

მარცვლის წმენდაზე მომუშავე კოოპერატიულმა მუშაკებმა, თუ რომელიმე რაიონისათვის საჭირო მარცვლის წმენდის ხაზულება არსებობს, თაოსნობა უნდა გამოიჩინონ იმ დადგენილებების გამოტანაში, რომლებიც „მოსახლეობას აძლევენ, განახორციელონ უმარტივესი ღონისძიებანი თესლის გასაწმენდად, მოსაწამლად და სხვ." (ცაკის მე-4 სესიის გადაწყვეტილებებიდან).

კავშირის მუშაობის წასაქეზებლად ჩვენ ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ ამ წლისათვის კრედიტებიდან გამოყოფილი განსაკუთრებული ფონდი იმ მიზნით, რომ პრემიები მიეცეთ კარგად მომუშავე მარცვლის საწმენდ პუნქტებს. ეს უნდა ფართოდ ვაუწყოთ პუნქტების ხელმძღვანელებს და, უეჭველად, საქმის გაუკეთესებლად პრემია უნდა მიეცეს სათანადო გამქირავებელ პუნქტს. ამგვარად, იძულებითი ზომების გარდა, საქმე გვექნება თაოსნობისა და ენერგიის წაქეზებასთან.

კავშირებმა უნდა მოსთხოვონ გამქირავებელ პუნქტს, რომ მან, პირველ ყოვლისა, დააკმაყოფილოს ღარიბი გლეხი, რომელსაც ჩვეულებრივ საქონელი არა ჰყავს. მათ კონკრეტულად უნდა დაამუშაონ ტვირთის მზიდავი ძალის საკითხი და, კერძოდ, მისი გამოყენების ფორმები. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია და გაქირავების საქმის მოწესრიგების დროს მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ისევე, როგორც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ სასყიდლის რა ნორმები უნდა დაწესდეს ღარიბი, საშუალო და შეძლებულ გლეხებისათვის პუნქტის მანქანების გაქირავების დროს.

განკერძოებით სდგას საკითხი სატრაქტორო რაზმების შესახებ, რომლებსაც ნაწილობრივ კავშირი აქვთ გაქირავების საქმესთან. რადგან სატრაქტორო რაზმების ორგანიზაცია განსაკუთრებით რთულია, ამიტომ დროის დაკარგვას მათი მოწყობის საქმეში შეუძლია მეტის-მეტად ცუდი შედეგები გამოიწვიოს. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მასიური მუშაობისათვის და იმისათვის, რომ მოსახლეობა სატრაქტორო რაზმების გარშემო შევაკავშიროთ, ვინაიდან სწორედ ეს საქმე შეადგენდა შემოდგომის მუშაობის მთავარ ნაკლს, ხოლო თუ წარმატება მოვიპოვეთ, უცილობლად დიდ ეფექტს, სხვა ღონისძიებებთან შედარებით, ამ საქმეში მივაღწევთ.

რადგან ღარიბი გლეხობა ინვენტარის მწვავე ნაკლებობას განიცდის, ამიტომ თუ საჭირო და შესაძლებელი იქნება, უნდა მოვაწყოთ გამქირავებელი პუნქტებისა და ტრაქტორების ორწყებად მუშაობა, რაც, უეჭველია, დიდ ეფექტს მოგვცემს.

მომარაგების სისტემის საწარმოო-ტექნიკურ მუშაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სარემონტო სახელოსნოების მუშაობას და ტექნიკური დახმარების გაწევას იმათთვის, ვინც მანქანებით სარგებლობს.

პირველ ყოვლისა, საჭიროა სისწორით გამოირკვეს რემონტის საჭიროება და მოთხოვნილება იმ რაიონში, სადაც არსებობს ან ახლად ეწყობა სახელოსნო. მუშაობის მოცულობის გამორკვევის შემდეგ უნდა შედგენილ იქნას მანქანების სარემონტოდ მიღებისა და რემონტიდან გამოშვების კალენდარული გეგმა. თუ საჭიროება მოითხოვს, სახელოსნოში მუშაობა უნდა მოეწყოს ორ წყებად, და თუ ეს საკმაო არ იქნება, ორგანიზაციულად ჩაბმულ იქნან მუშაობაში უახლოესი მჭედლები.

ამავე დროს საჭიროა, რომ სახელოსნოები გეგმიანად უზრუნველყოფილი იქნან ნახშირით, ლითონით და სხვა მასალით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სახელოსნოებს მივაწოდოთ სათადარიგო ნაწილები. რადგან განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიან ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას, საჭიროა სასწრაფოდ დავამთავროთ სახელოსნოებში არსებული სათადარიგო ნაწილების აღრიცხვა. თუ ერთ სახელოსნოში ზოგიერთი ნაწილები ზედმეტი აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ უნდა მივცეთ იგი იმ სახელოსნოს, რომელსაც ეს ნაწილები აკლია, უნდა მოვაწყოთ გაცვეთილი ნაწილების შეგროვება და თუ შესაძლებელი იქნება აღვადგინოთ ეს ნაწილები, სულ მცირე შესაძლებლობა რომ მაინც გვქონდეს უნდა ვეცადოთ გაცვეთილი ნაწილის შეკეთებას ახალი ნაწილის შეცვლის მაგიერ, ყოველ საკმაოდ კარგად მოწყობილ სახელოსნოში, საჭიროა მოეწყოს უმარტივესი ნაწილების დამზადება, ეს საკითხი უნდა დაისვას სათანადო ადგილობრივ ქარხნების წინაშე.

მუშაობის უზრუნველსაყოფად როგორც იარაღის მიწოდების, ისე საწარმოო-ტექნიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მხრივ, უდიდეს როლს თამაშობს ამ ოპერაციების თავის დროზე შესრულება და მიწოდებული ფინანსების რაოდენობა. მაგრამ ამავე დროს ტრაქტორების მისაწოდებლად დანიშნული კრედიტებიდან—10,676,000 მანეთიდან—წლის პირველ ნახევარში 15 იანვრამდე განაწილდა მხოლოდ 1,200,000 მანეთი. კრედიტები გასაქირავებელი და მარცვლეულის საწმენდი პუნქტებისათვის მიღებულ უნდა იქნას მანქანების მისაწოდებლად გადადებული საერთო კრედიტებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კრედიტები მანქანებისათვის მეორე კვარტალში განაწილებულია, დღემდე კრედიტები არ არის გადადებული გასაქირავებელი და მარცვლეულის საწმენდი პუნქტებისათვის, თუმცა, გეგმის თანახმად, წლიური კრედიტებიდან —11 მილიონი მანეთიდან—პირველი ნახევრისათვის უნდა გადადებულიყო 60 პროც. კრედიტების მიწოდების შეფერხება ფაქტია; ეს მეორდება ყოველ წლობით და ვფიქრობთ, რომ გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული ცენტრალურ დაწესებულებათა ზოგიერთი მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც დამნაშავენი არიან ამაში.

ყველა საფეხურის კოოპერატიულმა აპარატმა და მანქანების მიმწოდებელმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომ გამოასწორონ თავიანთი დეფექტები. თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა (პირველ რიგში ცენტრალურ ორგანოებში) შეიცვალოს ტემპი და გაჩაღდეს ენერგიული მუშაობა. მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შეფერხება კოოპერატიული აპარატის მუშაობაში ხშირად დაკავშირებულია ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან. დროა მომწესრიგებელმა ორგანოებმა მეტი პასუხისმგებლობა დააკისრონ საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებს. დაუყოვნებლივ მკაცრი ზომები უნდა იქნას მიღებული საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ეს, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანს საქმეს.

მანქანების მიმწოდებელმა კოოპერაციამ დიდი როლი უნდა ითამაშოს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში. მანქანების მიმწოდებელი კოოპერაცია ამ მუშაობას ჯეროვნად შეასრულებს მხოლოდ მაშინ, თუ კამპანიის ჩატარებაში ჩააბამს მთელ კოოპერატიულ აქტივს. სწორედ ამ შემთხვევაში საჭიროა მოვიგონოთ, რომ კოოპერაცია საზოგადოებრივმასიური ორგანიზაციაა. სწორედ ამიტომ კოოპერატორებმა თესვის კამპანიის ჩატარებისათვის სავსებით უნდა გამოიყენონ მასიური ორგანიზაციის ყველა უპირატესობა.

გაზაფხული უკვე მოახლოვდა. მანქანები თავის დროზე უნდა გაიგზავნოს ადგილებზე. მანქანები და სამანქანო პუნქტები მზად უნდა იყვნენ მუშაობისათვის.

„პრავდა", 30 იანვარი.

ახლო ხანში განახლდება გერმანია-საბჭოთა კავშ. ეკონომიური მოლაპარაკება

„დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობით ალი-ახმედ-ხანი გამოცხადებულია ავღანისტანის ემირად

ლატვიის პასუხი ლიტვის წინადადებაზე საბჭოთა ოქმთან დამოკიდებულების შესახებ

გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკების განახლება

ბერლინი, 29 იანვარი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება, რომ ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში ბერლინში განახლდება გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება. მოლაპარაკების მთავარი საგანი იქნება შეთანხმების დადება საბაჟო ტარიფების შესახებ. ბერლინის მოლაპარაკების დამოუკიდებლად მოსკოვში ამ მოლაპარაკებამდე უნდა შესდგეს კონფერენცია საავტორო უფლების საკითხების შესახებ.

შემდეგ „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ეხება საბჭოთა კავშირისათვის ახალი კრედიტების მიცემის საკითხს და აცხადებს, რომ საჭიროა დავუცადოთ მორიგი თანხების გადახდას საბჭოთა კავშირისათვის მიცემულ ძველ კრედიტებზე. ამ თანხების შეტანის ვადა დგება 31 მარტს. გაზეთი ამასთან აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი დღემდე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მისთვის მიცემულ კრედიტებიდანო. (ადს).

შენიშვნა. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მოეპოვება, „ბერლინერ ტაგებლატ"-ის წერილი სისწორით ვერ აშუქებს საქმის მდგომარეობას. გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება 1928 წლის 21 დეკემბერს დამთავრდა ოქმის ხელმოწერით, ამიტომ არ არის საფუძველი ეკონომიური მოლაპარაკების განახლებისათვის. რაც შეეხება გერმანია-საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ კონვენციის დადებას, 1928 წლის 21 დეკემბრის ოქმში გათვალისწინებულია, რომ 1929 წლის პირველ ნახევარში უნდა მოხდეს მოლაპარაკება საბაჟო და სალიტერატურო კონვენციების დადების შესახებ.

მდგომარეობა ავღანისტანში

„დეილი მეილ"-ი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ავღანისტანში

ლონდონი, 29 იანვარი. „დეილი მეილ"-ი სწერს:

„ინგლისის ქაბულელი ელჩის გემფრის მონაწილეობა იმ ცვლილებებში, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ბაჩე-საკაოს გაბატონება, სასტიკ კრიტიკას იწვევს ინდოეთის მუსლიმანების მხრივ. უეჭველია, რომ ეს უარყოფითი განწყობილება საგრძნობი გახდება ქაბულში. სავსებით შესაძლებელია, რომ განწყობილების შეცვლა ამანულას სასარგებლოდ გავლენას იქონიებს ინგლისის ელჩის მდგომარეობაზე. იმ მიზნით, რომ გადაერჩინა ქაბულში მყოფნი, მან ხელისუფლების სათავეში ჩააყენა ის კაცი, რომელიც იმ მომენტში უძლიერესი იყო. ეხლა საჭიროა გემფრის უკან გამოწვევა" (ადს).

შეკითხვა ლოურენსის მოქმედების გამო

ლონდონი, 29 იანვარი. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ვინტერტონმა თემთა პალატაში შეტანილი შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ 1928 წლის 26 მაისს ლოურენსი ჩარიცხულ იქნა პეშევარის საავიაციო რაზმში მექანიკოსად, ასრულებდა ამ თანამდებობის შესაფერ მოვალეობას და რაზმში ყოფნის დროს შვებულება არ მიუღია. მუშათა პარტიის დეპუტატი ტერტლი შეეკითხა მას, რატომ დართო ხელისუფლებამ ლოურენსს ნება—ჩარიცხულიყო ჯარში შოუს გვარით. ვინტერტონმა განაცხადა, რომ ეს ავიაციის მინისტრის კომპეტენციაში შედისო" (ადს).

ალი-ახმედ ხანის გამოცხადება ავღანისტანის ემირად

ლონდონი, 29 იანვარი. „დეილი ტელეგრაფ"-ის პეშევარელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჯელალაბადის ყოფილი გუბერნატორი ალი ახმედ-ხანი გამოცხადებულია ავღანისტანის ემირად. იგი დაუყოვნებლივ გაილაშქრებს ქაბულზეო (ადს).

ავღანისტანის მოსახლეობა მეფედ სცნობს ამანულას.

ანგორა, 29 იანვარი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ავღანისტანის მისიამ ანგორაში საგარეო საქმეთა მინისტრისაგან კანდაგარიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„როცა ამანულა ჩამოვიდა კანდაგარში, კანდაგრის, გერატის, მეზარის, კატგანის, ფერის და მეიმენის მოსახლეობამ სთხოვა მას გაეუქმებია თავისი გადადგომა. ზემოდ აღნიშნული პროვინციების მოსახლეობა, რომელიც ამანულას სცნობს ფადიშახად, შეუდგა ჯარის შეგროვებას მეამბოხეთა დასასჯელად. გაზატინის, ვერდეკის, ლეგუვერის, გეზარას და პროვინციების მოსახლეობამ გომანუ საფის ტომებმა და აგრეთვე ქაბულიდან სამხრეთით მდებარე პროვინციების მოსახლეობამაც სცნეს ამანულა მეფედ. გადაწყდა, რომ ავღანისტანის დედა-ქალაქი იქნება კანდაგარი. (სდ).

ინგლისის იმპერიალისტური გეგმები

ბერლინი, 29 იანვარი. ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს თავის აღმოსავლეთ აფრიკის სამფლობელოებს შეუერთოს ტანგანაიკას ოლქი, რათა ამრიგად მოამზადოს მისი ოფიციალურად გამოცხადება ინგლისის კოლონიად (მსოფლიო ომამდე ტანგანაიკა გერმანიის კოლონია იყო).

გერმანიის მთავრობამ მიმართა ერთა ლიგას. მან, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, მოითხოვა, რომ გერმანიის ყოფილი კოლონიების უფლებრივი მდგომარეობა არ შეიცვალოს გერმანიის თანხმობის გარეშე (ადს).

ლატვია და საბჭოთა კავშირის ოქმი

რიგა, 29 იანვარი. ლიტვის ელჩს ლატვიაში გადასცეს პასუხი ლიტვის მთავრობის იმ წინადადებაზე, რომ ლატვია შეერთებოდა ოქმს კელოგის პაქტის დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის შესახებ. პასუხში ნათქვამია:

„ლატვიის მთავრობას შეუძლია მხოლოდ კეთილი სურვილით შეეგებოს პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ოქმის ერთად ხელმოწერას. ლატვიამ უკვე 1928 წლის აგვისტოში გადასწყვიტა—შეერთებოდა პაქტს და კონსტიტუციის თანახმად, ეს სარატიფიკაციოდ შეიტანა. ლატვიის მონაწილეობა პოლონეთ-საბჭოთა ოქმში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფორმა მიეცემა ამ ოქმს ამჟამად წარმოებულ მოლაპარაკებაში" (ადს).

გერმანია-საბჭოთა კავშირის კონვენცია

შემათანხმებელი პროცედურის შესახებ

ხელმოწერილი მოსკოვში 1929 წ. 25 იანვარს

მოსკოვი, 30 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკმა და გერმანიის სახელმწიფოს პრეზიდენტმა, რომელთაც სურთ ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის განვითარებას გადასწყვიტეს, 1926 წლის 24 აპრილის ნოტებში გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად დასდონ კონვენცია შემათანხმებელი პროცედურის შესახებ. ამ მიზნით მათ თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს: საბჭოთა კავშირმა—საკავშირო ცაკის წევრი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოვალეობის დროებით ამსრულებელი მაქსიმ მაქსიმეს ძე ლიტვინოვი, ხოლო გერმანიის სახელმწიფოს პრეზიდენტმა—გერმანიის ელჩი მოსკოვში დოქტორი ჰერბერტ ფონ-დირკსენი, რომელთაც ერთმანეთს თავიანთი რწმუნებანი წარუდგინეს. მხარეებმა მიიღეს შემდეგი დადგენილებანი.

მუხლი 1.

ყოველგვარი დავა და განსაკუთრებით უთანხმოება, რომელიც თავს იჩენს მათ შორის არსებულ ორმხრივ ხელშეკრულებათა განმარტების დროს, აგრეთვე ამ ხელშეკრულებათა განსამარტებლად და შესასრულებლად დადებულ ან დასადებ შეთანხმებათა გარჩევის დროს, იმ შემთხვევაში, როცა ამ დავის ან უთანხმოების დიპლომატიური გზით მოწესრიგება საძნელო ხდება. მოწესრიგებულ უნდა იქნას შეთანხმებული პროცედურის საშუალებით ქვემოდმოყვანილი დადგენილებების მიხედვით.

მუხლი 2.

შემათანხმებელი პროცედურა სწარმოებს შემათანხმებელ კომისიაში. შემათანხმებელი კომისია არ არის მუდმივი, იგი ახალი შემადგენლობით შეიკრიბება ყოველ სესიაზე. კომისიის მორიგი სესია გაიმართება წელიწადში ერთხელ. სესიის გახსნის ვადა თვითეულ შემთხვევაში უნდა დაწესდეს ორივე მთავრობის შეთანხმებით. რიგ გარეშე სესიის მოწვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ერთ-ერთი მხარის აზრით ამას მოითხოვს რაიმე ცალკე სასწრაფო შემთხვევა. შემათანხმებელი კომისიის სესიები მორიგეობით გაიმართება ბერლინში და მოსკოვში. პირველი სესიის მოწვევის ადგილი გამორკვეული იქნება წილის ყრით. სესია საერთოდ არ უნდა გაგრძელდეს თოთხმეტ დღეზე მეტ ხანს.

მუხლი 3.

ყოველ სესიაზე თვითეული მხარე გზავნის შემათანხმებელი კომისიის ორ წევრს. თვითეულ სესიას თავმჯდომარეობს იმ ქვეყნის ერთ-ერთი დელეგატი (კომისიის წევრი), რომლის ტერიტორიაზედაც იმართება სესია. თვითეულ მხარეს ცალკე შემთხვევებში დღის წესრიგის ამა თუ იმ საკითხის განსამარტავად უფლება აქვს გაგზავნოს ექსპერტები, რომელთაც შეუძლიათ წარმოსთქვან სიტყვა შემათანხმებელი კომისიის სხდომებზე.

მუხლი 4.

არა უგვიანეს 14 დღისა შემათანხმებელი კომისიის მორიგი სესიის მოწვევის ვადამდე თვითეული მხარე დიპლომატიური გზით აცნობებს მეორე მხარეს იმ საკითხთა სიას, რომელთა განხილვაც მას სურს აღნიშნულ სესიაზე. თუ რომელიმე მხარეს შეაქვს განცხადება რიგ გარეშე სესიის დანიშვნის შესახებ, მან უნდა აღნიშნოს ის სასწრაფო ცალკე შემთხვევა, რომელიც საფუძველს იძლევა განცხადებისათვის. კომისია უნდა შეიკრიბოს არა უგვიანეს ერთი თვისა განცხადების შეტანის შემდეგ.

მუხლი 5.

შემათანხმებელი კომისიის მიზანია—უჩვენოს ორივე მთავრობას მათთვის წარდგენილი საკითხების სამართლიანი და ორივე მხარის დამაკმაყოფილებელი გადაჭრის გზა და, განსაკუთრებით, თავიდან ააცილოს მათი შესაძლო უთანხმოებანი იმავე საკითხებში. თუ შემათანხმებელმა კომისიამ ერთი სესიის განმავლობაში ვერ მიაღწია საერთო წინადადებას დღის წესრიგის ამა თუ იმ საკითხზე, მაშინ საკითხი ერთხელ კიდევ შეიძლება დაისვას შემათანხმებელი კომისიის რიგ გარეშე სესიაზე, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს ოთხი თვისა პირველი სესიის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი განხილული იქნება დიპლომატიური გზით. შემათანხმებელი კომისიის თვითეული სესიის შედეგები მოხსენების სახით დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ორივე მთავრობას. მოხსენების ან მოხსენების ნაწილების გამოქვეყნება შეიძლება ორივე მხარის შეთანხმებით.

მუხლი 6.

პროცედურის შემდ [illegible] ალებს საჭიროების მიხედვით გაარკვევ [illegible] შემათანხმებელი კომისია.

მუხლი 7.

ორივე მხარე ვალდებულია მიაწოდოს კომისიას საქმისთვის სასარგებლო ყოველი ცნობა და ყოველმხრივ შეუმსუბუქოს მას დაკისრებული ამოცანების შესრულება.

მუხლი 8.

მხარეები ვალდებულნი არიან—არ გადასდგან არავითარი ნაბიჯი, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს ამა თუ იმ საკითხის განხილვაზე შემათანხმებელ კომისიაში. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ამ მიზნისთვის მხედველობაში მიიღონ საკითხი გამაფრთხილებელი ზომების შესახებ.

მუხლი 9.

უნდა მოხდეს ამ კონვენციის რატიფიკაცია. სარატიფიკაციო სიგელების ურთიერთისათვის გადაცემა მოხდება ბერლინში. ეს კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების ერთმანეთისათვის გადაცემის დღიდან. კონვენცია ძალაში რჩება 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 10.

ეს კონვენცია დადებულია რუსულ და გერმანულ ენაზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს რის დასადასტურებლადაც რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას და დაასვეს თავიანთი ბეჭდები. კონვენცია დადებულია ქალ. მოსკოვში, ორ ეგზემპლარად 1929 წლის 25 იანვარს.

ლიტვინოვი.
ფონ დირკსენი.

„ფორვერტს"-ი გერმანია-საბჭოთა კონვენციის შესახებ

ბერლინი, 29 იანვარი. „ფორვერტს"-ი წერილს უძღვნის გერმანია-საბჭოთა კონვენციას. გაზეთი სწერს:

„მოსკოვის კონვენცია გაგრძელებაა იმ სამედიატორო ხელშეკრულებებისა, რომლებიც გერმანიამ დასდო ევროპის სახელმწიფოებთან. ლოკარნოში დადებულ სამედიატორო ხელშეკრულებას ეს კონვენცია მოსკოვზედაც ავრცელებს. კონვენცია ითვალისწინებს გერმანია-საბჭოთა სამეურნეო შეთანხმებათა განმტკიცების შესახებ იძლევა მუდმივ დაწესებულებად; იგი ერთა ლიგის ერთგვარ შეგიერობას სწევს გერმანია-საბჭოთა ურთიერთობაში".

შემდეგ გაზეთი გამოსთქვამს აზრს, რომ კონვენცია დიდ ინტერესს გამოიწვევს დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში, რაც აიხსნება არა კონვენციის შინაარსით, არამედ იმით, რომ მოლაპარაკება სწარმოებდა საიდუმლოდ, თითქოს ლაპარაკი იყო სამხედრო კავშირის შესახებ.

„თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს,—სწერს გაზეთი კვლავ მოუხდება დასავლეთის სახელმწიფოების დამშვიდება, პასუხისმგებლობა ამისათვის სავსებით ეკისრება სამინისტროს პოლიტიკის ცუდ ინფორმაციას (ადს).

ესტონეთის პასუხი ლიტვას

რეველი, 29 იანვარი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვის ელჩს გადასცა ესტონეთის მთავრობის პასუხი ლიტვის ნოტაზე, რომელიც წინადადებას აძლევს ესტონეთს—შეუერთდეს პოლონეთ-საბჭოთა ოქმს.

გაზ. „რევალერ ბოტე"-ს ცნობით, ესტონეთის მთავრობა თავის ნოტაში ესალმება ლიტვის მთავრობის სურვილს—შეიქმნას უფრო მჭიდრო კონტაქტი ორივე სახელმწიფოს შორის.

„ესტონეთის მთავრობა ფიქრობს,—ნათქვამია ნოტაში,—რომ ის შედეგი; რომელსაც საბჭოთა მთავრობა მოელის, შეიძლება უფრო სრულად განხორციელდეს უახლოეს ხანში, რადგან პაქტის რატიფიკაცია მოახდინეს ჩრდ. ამერ. შეერთებულმა შტატებმა და, უეჭველია, შეერთ. შტატებს მალე მიბაძავენ სხვა სახელმწიფოებიც. მაგრამ ესტონეთის მთავრობა კელოგის პაქტის საყოველთაოდ ძალაში შესვლამდე მზად არის, მონაწილეობა მიიღოს დანარჩენ დაინტერესებულ სახელმწიფოებთან იმ შეთანხმებაში, რომელსაც შეუძლია მშვიდობიანობის განმტკიცების ახალ ფაქტორად გადაიქცეს აღმოსავლეთ ევროპაში" (ადს).

ვაფდის პარტიის მოწოდება

ლონდონი, 29 იანვარი. რეიტერის სააგენტოს მიერ ქაიროდან გადმოცემული ცნობით, ეგვიპტის ნაციონალისტურმა პარტიამ ვაფდმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებს ინგლისისა და ეგვიპტის მთავრობების წინააღმდეგ. ვაფდი პროტესტს აცხადებს ჯებელ-აულიდის საგუბრის აგების წინააღმდეგ თეთრ ნილოსზე. ამ ნაგებობის განხორციელება, როგორც პარტია აცხადებს, ეგვიპტეს უფრო გახდის დამოკიდებულს იმპერიალისტურ ინგლისისაგან (ადს).

ჩინეთში

იაპონიის საქონლის ბოიკოტი გრძელდება

შანხაი, 29 იანვარი. მდგომარეობა ხანკოუში უცვლელია. პიკეტები ისევ ადევნებენ თვალყურს იაპონიის კონცესიას, რათა არ ჩაიშალოს გამოცხადებული გაფიცვა. ხანკოუში ჩამოვიდა ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელი, რომელმაც გამოიძია მდგომარეობა და განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა შექმნილ მდგომარეობისათვის უნდა დაეკისროს იაპონელებს, რომლებმაც მრავალი აგრესიული ნაბიჯი გადასდგეს (ადს).

იაპონია უარჰყოფს პეკინის ცნობას

ტოკიო, 29 იანვარი. საგარეო საქმეთა მინისტრი უარჰყოფს პეკინის ცნობას იმის შესახებ, რომ ჩან-ძო-ლინი მოკლულ იქნა იაპონიისა და იან იუ-ტინის შეთანხმებით. (ადს).

წარმომადგენელი „განუწყვეტელ კონტაქტისათვის"

შანხაი, 29 იანვარი. ინგლისის ელჩმა ჩინეთში ლემპსონმა აცნობა ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იგი ნანკინში გზავნის პირად წარმომადგენელს ნიუტონს განუწყვეტელი დიპლომატიური კონტაქტის განსახორციელებლად. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ნიუტონის დანიშვნა წარმოადგენს „ახალ ნაბიჯს საუკეთესო მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის დასამყარებლად ჩინეთსა და ინგლისს შორის" (ადს).

უკანასკნელი ცნობები

უცხოელთა მისიების ევაკუაცია ქაბულიდან

ლონდონი, 30 იანვარი. საგარეო საქმეთა სამინისტრო უარჰყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს მან გაგზავნა რაიმე ინსტრუქციები ინგლისის მისიის გაწვევის შესახებ ქაბულიდან. მაგრამ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან კვლავ იუწყება, რომ უცხოელთა ყველა მისიები ავღანისტანის დედა-ქალაქს დასტოვებენ, ამასთანავე ინგლისის მისია ყველაზე ბოლოს გაემგზავრება. ამ წინააღმდეგობათა ასახსნელად შეიქმნა ვერსია, რომლის თანახმად ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ევაკუაცია მოახდინოს საკუთარი ინიციატივით. ქაბულში პეშავარიდან გაფრინდა ჯარების გადამყვანი ორი ჰაეროპლანი მაგრამ ერთი მათგანი ვერ მიფრინდა ქაბულში, რადგან იძულებული გახდა გზაში შეჩერებულიყო (ადს).

სოციალ-დემოკრატებს ეშინიათ „დასავლეთის უკმაყოფილებისა".

ბერლინი, 29 იანვარი. გერმანია-საბჭოთა კავშირის შემათანხმებელი პროცედურის დადებას გერმანიის პოლიტიკური წრეები კმაყოფილებით შეხვდნენ. გამონაკლისს შეადგენს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ჰამბურგერ ეხო", რომელიც გამოსთქვამს შიშს, რომ კონვენციამ დასავლეთის უკმაყოფილება არ გამოიწვიოსო. გაზეთს ეშინია, რომ მოსკოვთან შეთანხმების დადება ზიანს მიაყენებს რეპარაციების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებას.

უორკერ პარტიის ცეკას წევრის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 29 იანვარი. ნიუ-ბედ-ფორდში (მასაჩუზეტის შტატის საფეიქრო მრეწველობის ცენტრი) პოლიციამ დააპატიმრა მუშათა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ამერიკის სექციის მდივანი ბიდენკაპი (უორკერს პარტიის ცეკას წევრი) ფეიქართა იმ გაფიცვასთან დაკავშირებით, რომელიც ამდენსამე თვეს გრძელდებოდა და ამას წინად დამთავრდა (ადს).

რაძივილის გადადგომა

ვარშავა, 30 იანვარი. უპარტიოთა ბლოკის დეპუტატი საძივილი სტოვებს კონსერვატორების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს. ეს კომიტეტი მეთაურობს კონსერვატორების ყველა ორგანიზაციას პოლონეთის ტერიტორიაზე. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ რაძივილის გადადგომა გამოწვეულია იმ შეტაკებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონსერვატორებსა და პილსუდსკის მომხრეთა შორის უპარტიოთა ბლოკში (ადს).

გრენერის მემორანდუმის კონფისკაცია

ბერლინი, 30 იანვარი. თავდაცვის მინისტრის გრენერის მემორანდუმის ინგლისში გამოქვეყნების გამო გაჩხრიკეს რამდენიმე ჟურნალის რედაქცია. „ცეიტნოტიცენ"-ის რედაქციაში კონფისკაცია უყვეს მემორანდუმის გამრავლებულ ეგზემპლიარებს (ადს).

მემარცხენე პეპესოველთა გენერალური მდივნის დაპატიმრება

ვარშავა, 30 იანვარი. დააპატიმრეს პეპესოველთა (პოლონეთის სოციალისტური პარტიის) მემარცხენე ფრთის გენერალური მდივანი. მას ბრალად სდებენ ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას (ადს).

გემი „სინპინგამი" ვლადივოსტოკში მოვიდა

ვლადივოსტოკი, 30 იანვარი. მოვიდა გემი „სინპინგამი", რომელიც შანხაიში დააკავეს დეკემბრის ბოლოს და შემდეგ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მოთხოვნით გაანთავისუფლეს (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგება

მოსკოვი, 30 იანვარი. თერთმეტი ხუთი ათას მანეთიანი მოგება ხვდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ყველა თანრიგის (უპროცენტო 7 თანრიგი. პროცენტიანი 4 თანრიგი) შემდეგ ნომერს—სერია 02482, ობლიგაცია № 7 (ადს)

ჩხრეკა გერმანიის კომპარტიის ცეკას ბინაზე

ბერლინი, 29 იანვარი. პოლიციამ დააპატიმრა გერმანიის კომპარტიის ცეკას თანამშრომელი შულცი. შულცს წაუყენეს ბრალდება, რომ მან „სტამბას დასაბეჭდად შეუკვეთა არალეგალური ბროშურები, რომლებიც ჯარში პროპაგანდისათვის უნდა გამოეყენებიათ". შულცის დაპატიმრების შემდეგ პოლიცია გამოცხადდა კარლ ლიბკნეხტის სახელობის სახლში და გაჩხრიკა ის სადგომი, რომელიც გერმანიის კომპარტიის ცეკას უჭირავს. გაჩხრეკის დროს არ აღმოჩნდა ისეთი რამ, რასაც შეეძლო დაედასტურებია შულცისათვის წაყენებული ბრალდება. შულცი საპყრობილეში გაგზავნეს. (ადს).

ვასიფ-ბეის დანიშვნა სახ. განათლების მინისტრად

მოსკოვი, 30 იანვარი. როგორც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საქმის მცოდნე წრეებში აცნობეს, თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ვასიფ-ბეი ბრუნდება ანგორაში, სადაც იგი, სმირნიდან დეპუტატად არჩევის შემდეგ, დანიშნული იქნება სახალხო განათლების მინისტრად. ვასიფ-ბეის დანიშვნა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ანგორაში, ალბად გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების სამინისტრო ამჟამად ხდება მეტად მნიშვნელოვან პოსტად თურქული ანბანის ლათინიზაციისა და იმ ფართო კულტურული რეფორმების გამო, რომელსაც თურქეთის მთავრობა დიდის ენერგიით ახორციელებს. ვასიფ-ბეის მაგივრად თურქეთის ელჩად საბჭოთა კავშირში დაინიშნება თურქეთის ეხლანდელი ელჩი ბუქარესტში ხუსეინ რაგიბ-ბეი (ადს).

დაიხურა სომხეთის კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობა

ერევანი, 29 იანვარი. 29 იანვარს მოხდა სომხეთის კომპარტიის მე-6 ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც, სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ, ყრილობამ მიიღო რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებათა გამო. ცეკას ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 67 წევრები და 24 კანდიდატი. ცენტრ. საკონტრ. კომისიაში—59 წევრი. სარევიზიო კომისიაში—7 წევრი.

ყრილობის დახურვის დროს თავმჯდომარემ ამხ. გაიკაზ კოსტანიანმა ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელობას, რომელიც მე-6 ყრილობას ჰქონდა სომხეთის კომპარტიის ისტორიაში და მოუწოდა დელეგატებს—შეუდგნენ ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციას ადგილებზე.

29 იანვარს საღამოთი მოხდა ახლად არჩეული ცეკას პირველი სხდომა, რომელზედაც პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გაიკაზ კოსტანიანი, მდივნად ამხ. აზასი ხანჯიანი, სამდივნოს წევრად ამხ. ამათუნი.

ცეკას პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გაიკაზ კოსტანიანი, ხანჯიანი, ტერ-გაბრიელიანი; კასიანი; ამათუნი, მანდალიანი, ალამალიანი, ანესომილიანი; ბანაგოვანი, აკოფოვი; ანანიანი; მრავიანი. საკიახ, კანდიდატებად: ამხ. ჩალიანი, კალაშიანი, ესაიანი; ბაბლუმიანი და გალოიანი. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თათბირი ხილეულობისა და ბოსტნეულობის მეურნეობის საკითხებზე

მოსკოვი, 30 იანვარი. გუშინ მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი ხილეულობისა და ბოსტნეულობის მეურნეობის საკითხების შესახებ. თათბირზე მონაწილეობას ღებულობენ ამიერ-კავკასიის დელეგატებიც. ვრცელი მოხსენებით ხილეულობისა და ბოსტნეულობის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა კავშირთა კავშირის თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა:

არის მეტად გავრცელებული ყალბი შეხედულება, თითქოს ბოსტნეულობა და განსაკუთრებით ხილეულობის განვითარებაზე ზრუნვა მეორეხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში. ხილი და მით უფრო ბოსტნეული ფუფუნების პროდუქტებს არ წარმოადგენს ფართე მშრომელი მასებისათვის. ხილი და ბოსტნეული აუცილებელი საკვები პროდუქტია მუშისა და გლეხისათვის ასეთი მდგომარეობა გვავალებს ჩვენ შესაფერი პრაქტიკული დასკვნა გავაკეთოთ.

მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში და ყირიმში, სადაც ხილსა და ბოსტნეულის კულტურას განვითარების საუკეთესო პერსპექტივები აქვს, ამ საქმეს მეტად ნაკლები ყურადღება ექცევა. გეგმები, რომელიც გამომუშავებული აქვს ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს ხილეულობისა და ბოსტნეულის მეურნეობის განვითარების დარგში, ვერ ითვალისწინებს ჩვენი ბაზრის მოთხოვნილებას, საჭიროა ენერგიულად იქნას გატარებული კონტრაქტაცია ხილისა და ბოსტნეულის მეურნეობაში. გაძლიერებული ტემპით უნდა სწარმოებდეს ახალი ბაღების გაშენება და საკონსერვო ფაბრიკების მშენებლობა.

მთავარ საგამგეო კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მოსკოვი, 30 იანვარი. მთავარ საცემბო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1929 წლის 20 თებერვლისათვის ყველა საბამბო აწხანაგობებში შექმნილ იქნას რაციონალიზაციის ბიურო. ამასთან ერთად გადაწყდა აღიძრას სასწრაფო შუამდგომლობა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ დამატებით გადადებულ იქნეს თანხები კაპიტალურ მშენებლობისათვის საბამბო მეურნეობის დარგში. თავის დადგენილებაში თანხების დამატებით გადადების შესახებ პლენუმი იხსენიებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სათანადო გადაწყვეტილებას.

თამბაქოს მრეწველობის მოუწესრიგებლობა

მოსკოვი, 30 იანვარი. ამ დღეებში აქ შესდგა გემო-კვების კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება თამბაქოს მრეწველობის მდგომარეობასა და პერსპექტივების შესახებ. ორატორებმა სასტიკად გააკრიტიკეს თამბაქოს ტრესტების მუშაობა და აღნიშნეს, რომ თამბაქოს მრეწველობაში უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს უგეგმო მუშაობა.

„კაბუკის" გმირები უნდა გასამართლებულ იქნან, როგორც შახტის „მავნებელნი"

მოსკოვი, 30 იანვარი. მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებაში აღმოჩენილი ლოთობისა და გარყვნილების ორგანიზაციის „კაბუკი"-ს საქმის განხილვა 30 იანვრიდან გადაიდო ერთი დღით, 31 იანვრისათვის. მშენებელთა კავშირის მუშების საერთო კრებებს გამოაქვთ დადგენილებანი, რომელშიაც ისინი მოითხოვენ, რომ დამნაშავენი დასჯილ იქნან საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით.

„კაბუკი— იგივე კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციაა, ნათქვამია ერთ-ერთ რეზოლიუციაში, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ უმზგავსოების ორგანიზატორები და სულის ჩამდგმელნი გასამართლებულ იქნან ისე, როგორც შახტის მავნებლები"-ო.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8-81

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს პარტკონფერენცია

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანები

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება

ბაქო, 29 იანვარი. 28 იანვრის დილის სხდომაზე ბაქოს პარტკონფერენციამ მოისმინა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

„ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა,—ამბობს ამხ. ნაზარეტიანი,—პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი იარაღია პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, მემარჯვენე საფრთხის დაძლევის და ინდუსტრიის განვითარების ტემპის გაძლიერების საქმეში. ამ ბრძოლის გარეშე ჩვენ ვერ შევსძლებთ აპარატის გაჯანსაღებას.

როგორ გამოვიცნოთ ბიუროკრატი

შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით შეიძლება გამოცნობილ იქნეს ბიუროკრატი. ორატორს მოჰყავს ციტატა ამხ. პოპოვის ბროშურიდან „დაუკითხავად ნუ შემოხვალთ“:

„ნამდვილი ბიუროკრატის გამოცნობა შეიძლება სამი ნიშანით:

პირველი — ბიუროკრატი მოწყვეტილია მშრომელთაგან და მიუწვდომელია მშრომელი კაცისთვის.

მეორე—ბიუროკრატი იტაცებულია ქაღალდით, ფორმით და გულგრილია საქმისადმი.

მესამე—ბიუროკრატი მუდამ თავგამოდებით იცავს თავის ჩინოვნიკ ძმა-ბიჭებს ანუ, როგორც ამბობენ, უწყების პატრიოტია და „არ ცდილობს გაიტანოს ნაგავი თავის უწყებიდან“.

ბიუროკრატის ამ დახასიათებას—ამბობს შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი—ცენტრალური საკონტროლო კომისია უმატებს კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს:

„ბიუროკრატს უყვარს ყოველგვარი ახალი, ხშირად უმნიშვნელო, საქმისთვის ახალი აპარატის შექმნა, ე. ი. ახალი დაწესებულების შემოღება და ახალი მოსამსახურეების მიღება“.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გზები

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები. მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი და საჭიროა კიდევ ბევრი ნაკლოვანების და დეფექტის აღმოფხვრა. როგორი გზებით და მეთოდით უნდა ვებრძოლოთ ჩვენ ბიუროკრატიზმს? პირველ ყოვლისა კულტურული რევოლუციის გზით. მე მოგაგონებთ ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ბიუროკრატიზმი გამომდინარეობს ჩვენი უკულტურობიდან.

მეორე გზაა სისტემატიური რაციონალიზატორული მუშაობა, რომელსაც ატარებს არა მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექცია, არამედ აგრეთვე საწარმოო თათბირები და კეთილსინდისიერად და კარგად მომუშავე სპეციალისტები და სამეურნეო მუშაკები. აპარატის გაუმჯობესება ნიშნავს მისი ღირებულების გაიაფებას, მისი სტრუქტურის გამარტივებას, მის დაახლოებას მშრომელ მასებთან. ამ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშაკთა შერჩევას.

თვითკრიტიკა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მეთოდია

შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი ეხება თვითკრიტიკის საკითხს და ამბობს:

„თვითკრიტიკა არის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. მაგრამ თვითკრიტიკის გაღრმავების საქმე უდიდეს ზიანს მოგვიტანს, თუ ჩვენ თვითკრიტიკის ფართოდ გაშლასთან ერთად არ შევეცადეთ გამოვასწოროთ და აღმოვფხვრათ აღმოჩენილი დეფექტები. ჩალის ფასად არა ღირს ისეთი თვითკრიტიკა, რომელიც არ იძლევა რეალურ ეფექტს“.

ამხ. ნაზარეტიანს მოჰყავს თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯების მაგალითები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. მომხსენებელი ჩერდება საკითხზე, თუ როგორ ცუდად იყენებენ ზოგიერთ შემთხვევაში თვითკრიტიკას და მოჰყავს სამი მაგალითი. ამ სამ მაგალითს შორის არის ტევადროს მირზაბეკიანის საქმე. მირზაბეკიანი 1928 წლამდე უმალავდა პარტიას თავის დაშნაკურ წარსულს და სწერდა თავის ძმას, რომ მას დაეწვა ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები. ეს დოკუმენტები კი, რასაკვირველია, დაშნაკების მოსვლისთვის ინახებოდა.

„ამ საქმეში,—ამბობს ამხ. ნაზარეტიანი,—ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის, რომ მირზაბეკიანი—დაშნაკების აგენტი—შეეცადა თვითკრიტიკა და ზოგიერთი ჩვენი პარტიული საკითხი გამოეყენებია მთელი პლატფორმის შესადგენად ზოგიერთ ბაქოელ და ყარაბახელ ამხანაგების წინააღმდეგ. მას უნდოდა პირადი ანგარიშების გასწორება ამ ამხანაგებთან. ასეთ „კრიტიკოსებს“ ჩვენ მოვეპყრობით როგორც მტრებს. სერიოზული თვითკრიტიკა მიზნად ისახავს ჩვენი აპარატის გაწმენდას და გაჯანსაღებას.

პარტიის და სახელმწიფო აპარატის წმენდა მორიგი ამოცანაა

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შემდგომი საშუალებაა აპარატის წმენდა. თვითკრიტიკა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვამჟღავნოთ დეფექტები და აღმოვაჩინოთ პერსონალურად დამნაშავე პირები. დეფექტების გამომჟღავნების შემდეგ საჭიროა ამ დეფექტების აღმოფხვრა, გამოსწორება.

სახელმწიფო აპარატის წმენდა მით უფრო ჩქარა იწარმოებს, რამდენადაც უფრო ჩქარა შევსძლებთ მუშაკთა ახალ კადრების მომზადებას ძველი მოხელეების შესაცვლელად. მორიგი ამოცანაა აგრეთვე პარტიის წმენდა, პარტიული აპარატის გაწმენდა არა სასურველ ელემენტებისაგან.

ბიუროკრატიზმის დაძლევის ძირითადი პირობა

დაბოლოს, ბიუროკრატიზმის დაძლევის კიდევ ერთი ძირითადი პირობა. ეს არის, ვლადიმერ ილიჩის სიტყვით რომ ვსთქვათ, მუშების და გლეხების ფართოდ ჩაბმა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. მუშების ჩაბმა საჩივართა ბიუროების, საწარმოო თათბირების და სხვ. მუშაობაში—აი რაში უნდა გამოიხატოს მუშათა მასების ფართოდ ჩაბმა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. საწარმოო და ეკონომიურ თათბირების გარეშე, წარმოებაში თვითეული მუშის დახმარების გარეშე, მუშათა და გლეხთა ინსპექცია წარმატებით ვერ აწარმოებს ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგებისთვის პასუხისმგებელია არა მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექცია, არა მარტო საკონტროლო კომისიის წევრები, არამედ პარტიის ყოველი წევრი, ყოველი მუშა და გლეხი.

კამათი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენების გარშემო

კამათი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენების გარშემო სწარმოებს ფართო თვითკრიტიკის საფუძველზე. ორატორებს მოჰყავთ კომუნისტების ყოფა-ცხოვრებითი გახრწნის, თვითკრიტიკის დევნის და სხვ. მაგალითები. კამათში უმთავრესია პარტიის და საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხები. დელეგატები ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გატარებული წმენდა. უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ მუშათა ფართო მასები, ვინაიდან უამისოდ წმენდა სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებს. კამათში მონაწილე ამხანაგები იწონებენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კავშირი მუშათა ფართო მასებთან არ არის საკმაოდ მჭიდრო. ასეთი კავშირის შექმნას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ხშირად მუშების წინადადებებს არ ასრულებენ და საქმეების გარჩევა გვიანდება.

დელეგატები აღნიშნავენ, რომ საკონტროლო კომისია სათანადო ყურადღებას არ აქცევს კომუნისტების ყოფა-ცხოვრებითი დანაშაულს. მოჰყავთ მაგალითები, როცა ერთი პარტიული ამხანაგის ცოლი მანტოთი, ოქროს ბეჭედით და ოქროს საათით გამოდის ქალთა კრების ხელმძღვანელად, როცა პარტიის წევრი უჯრედის სხდომაზე მიდის მანიკიურიანი ფრჩხილებით.

დელეგატები შეეხენ აგრეთვე საკითხებს—მშენებლობის ღირებულების გაიაფებისა, კაპიტალურ მშენებლობისა და ლენინურ პარტიის სიწმინდისათვის ბრძოლის შესახებ (ადნ).

ამხ. იაროსლავსკის წერილი

ბაქოს პარტკონფერენციის რეზოლუციის გამო

მოსკოვი, 30 იანვარი. ბაქოს პარტკონფერენცია თავის რეზოლუციაში აცხადებს, რომ იგი არ ეთანხმება ამხ. იაროსლავსკის წერილს, რომელიც „პრავდა“-ში იყო გამოქვეყნებული და რომელიც ბაქოს ორგანიზაციას ბრალს სდებს თვითკრიტიკის შებორკვაში. ამ რეზოლუციის გამო ამხ. იაროსლავსკიმ გაზეთ „პრავდა“-ს და „ბაკინსკი რაბოჩი“-ს რედაქციებს მიმართა წერილით. წერილში ნათქვამია:

„ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის განცხადების („ბაკინსკი რაბოჩი“ № 12, 15 იანვრის ნომრით) და ბაქოს პარტკონფერენციის რეზოლუციის გამო, რომელთაც ყურადღება მიაქციეს „პრავდა“-ს 13 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ჩემ წერილს, საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო, რომ არა სწორად მიმაჩნია ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის და კონფერენციის საყვედური ჩემს მიმართ იმაში, რომ მე ჩემი წერილისათვის ვსარგებლობდი ცალმხრივი ინფორმაციით და ჩემი კრიტიკის დროს საკმაოდ არ გავეცანი ბაქოს ორგანიზაციის მუშაობას. ჩემი წერილისათვის მე ვსარგებლობდი ყველა დოკუმენტით, რომელიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიას მოეპოვება, მათ შორის ბაქოს კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. ეფენდიევის წერილით, ბაქოს ორგანიზაციის რაიონების პარტაქტივების რეზოლუციებით, რაიკომების სტენოგრამებით უჯრედების ბიუროების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შესახებ და სხვ. აგრეთვე იმ მასალით, რომელიც შეეხება ბაქოს ორგანიზაციის მოქმედების ცალკე მომენტებს (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას რეზოლუცია გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი“-ში და სხვ.).

რაც უფრო დაწვრილებით გავეცანი შემდეგ მასალას (ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის განცხადებას ჩემი წერილის გამო, რაიონების კონფერენციების სტენოგრამებს, რომლებიც არ გამოუქვეყნებია „ბაკინსკი რაბოჩი“-ს და პრესის სხვა ორგანოებს, იმ წერილებს, რომლებიც ჩემი წერილისა და ამხ. არტაკის წერილის გამო მიიღო „ბაკინსკი რაბოჩი“-მ, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტთან 17 იანვარს გამართული თათბირის სტენოგრამებს და სხვ., აგრეთვე აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის მდივნის ამხ. კასუმოვის ინფორმაციას), კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ ბაქოს კომიტეტს, ჩემის თვალსაზრისით, არასწორმა ნაბიჯებმა ზიანი მიაყენა თვითკრიტიკას. ამით, მე, რასაკვირველია, სრულებითაც არ ვიცავ ამხ. არტაკის და შატუნოვსკაიას მიერ დაშვებულ შეცდომებს“ (ადნ).

მიწადმოწყობისა და მიწადმოქმედების მუშაკთა თათბირი

მესამე დღე

კამათი მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის საკითხებზე

ამხ. მჟავანაძე

ამხ. ქურდაძემ განაცხადა, რომ დაუშვებელია გურიის მიწების მეოთხე ხარისხოვან მიწებად ჩათვლა, რადგან იქ ეს მიწები მაღალი კულტურის—ჩაის მეურნეობის რაიონია. მისი აზრით, საჭიროა ამ რაიონისათვის შემცირდეს ნორმა. თუ ამხ. ქურდაძის თვალსაზრისს მივიღებთ, ჩვენ მთელი გურიის მოსახლეობას ხელს ავაღებინებთ ჩაის პლანტაციების გაშენებაზე, რადგან ჩაის კულტურა პირველ წლებში ვერ გაადიდებს გლეხის შემოსავალს იმდენად, რომ მან თავი უზრუნველყოს.

მიწის ნორმების შემცირება კერძოდ გურიისათვის შეუძლებელია. ჩვენ უნდა მივმართოთ ისევ ამ დაჭაობიანებულ ადგილების ამოშრობას, რომელნიც გამოსადეგია უმაღლესი კულტურებისათვის. მეორე ღონისძიება ჩვენი მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად არის მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესება, სხვადასხვა გასანოყიერებელი საშუალების გამოყენება და აგროკულტურულ მუშაობის გაძლიერება. ამ ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო არ არის მაინცადამაინც სადგილ-მამულო საზოგადოების მოწყობა, აგრონომ. სპეციალისტთა მომზადებული კადრი საბჭოსთან ერთად შეასრულებს ამ საქმეს.

ამხ. ფ. მახარაძე

ჩემს გამოსვლას ამ თათბირზე —ამბობს ამხ. ფ. მახარაძე—არ უნდა შეეხოთ, როგორც ოფიციალური დაწესებულების წარმომადგენლის გამოსვლას. თათბირში ვმონაწილეობ, როგორც თათბირის ჩვეულებრივი წევრი, და არა როგორც ოფიციალური წარმომადგენელი, მე შევეხები ორ მთავარ საკითხს: მიწების გათანაბრებას და სადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობას, საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილებით ამ საკითხების დამუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება დაკისრებული აქვს მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს.

ეს იმიტომ რომ ამ საკითხის გატარება არ შეიძლება ერთი შაბლონით. ზოგიერთი ამხანაგი ამ საკითხს სწორად არ მიუდგა, როდესაც ამტკიცებდა, რომ მიწების სოფლობრივი გათანაბრება მოუხერხებელია საქართველოს სპეციფიური პირობების გამო. ეს შემცდარი თვალსაზრისია. ცხოვრებამ წინ წაუსწრო ჩვენს მიწის კოდექსს. ამ კოდექსის ძალით ჩვენში მიწად-მოწყობა წარმოადგენდა მხოლოდ კერძო ინდივიდუალურ მეურნეობებზე მიწის ნაჭერის მიმაგრების აქტს. მიწების ნაჭრობრივი მოწყობა დღეს უკვე არ შეეხამება იმ ამოცანებს, რომელსაც ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი კოლექტივიზაციის საჭიროება აყენებს. ამხ. ქურდაძის მიერ წამოყენებული ღონისძიება—მიწის ნორმების შემცირება—ვერ სწყვეტს საკითხს რადიკალურად. მიწის მცირე ნაჭრების ჩამორთმევით და სხვებზე გადაცემით ჩვენ სრულებითაც ვერ მოვსპობთ მიწის დაქუცმაცებას, რომელიც კოლექტივიზაციის და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს, სასოფლო მეურნეობის ორგანიზაციისათვის, მისი განვითარების სოციალისტური გზით წარმართვისათვის, აუცილებლად საჭიროა მიწების სოფლობრივი გათანაბრება.

ასეთი გადაყოფის დროს ჩვენ შევსძლებთ ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, და შევასუსტებთ კულაკურ მეურნეობას, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა. თუ ჩვენ შესაფერ ახსნა-განმარტებას ჩავატარებთ, გლეხობას შევაგნებინებთ ამ რეფორმის მნიშვნელობას, განვუმარტავთ, რომ ეს საშუალებაა მისი ინტერესების საჭიროების დასაკმაყოფილებლად, იგი სიხარულით შეხვდება ამ გათანაბრებას.

გათანაბრება არა თუ შეამცირებს, არამედ გაადიდებს ჩვენი მეურნეების მოსავლიანობას, რადგან იგი ხელს შეუწყობს თესვის ბრუნვის შემოღებას, მრავალმინდვრიანობას, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მიწის დამუშავებას. შეიძლება ეჭვი დაიბადოს კულტურულ ნაჭრების შესახებ, შეიძლება მართლაც მოუხერხებელი იქნეს ვენახების, ბაღების, ჩაის პლანტაციების გათანაბრება.

მაგრამ მთავარი მეურნეობა ჩვენში მაინც მარცვლეულების კულტურაა, ხოლო ამ კულტურისათვის კი მიწის გათანაბრება მისაღებია, არა თუ მისაღები, საქართველოს პირობებში იგი აუცილებელია, რადგან რუსეთში ადგილი არა აქვს ისეთ მრავალნაჭრიანობას, როგორც ჩვენში. ჩვენ ამ გათანაბრებას უნდა შევუდგეთ რაც შეიძლება დაჩქარებით.

ცდებიან ამხანაგები აგრეთვე სადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობის საკითხშიაც, რომელიც მათ საქართველოს პირობებში მიუღებლად მიაჩნიათ. ტყუილად გონიათ ამხანაგებს თითქოს ეს საზოგადოება „ობშჩინა“ იქნება. სადგილ-მამულო საზოგადოებათა ფუნქციას არ შეადგენს მიწების ჩამორთმევა მოსარგებლეებისაგან, იმ შემთხვევაში, როცა ამის უფლებას კანონი არ აძლევს, გადაყოფის წესს და ნორმებს აწესებს არა საზოგადოება, არამედ კანონი, საზოგადოება მოქმედებს მხოლოდ ამ კანონის თანახმად. ასეთი საზოგადოებათა მოწყობა აუცილებელია მიწადმოწყობის და ყველა ამ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც აგროკულტურულ ღონისძიებათა და სოფლის ინტენსიფიკაციისათვის ძლიერებულ ღონისძიებებთან არის დაკავშირებული.

სოფლის საბჭოები ვერ შეასრულებენ ამ საზოგადოებათა ფუნქციებს, რადგან საბჭოს სამოქმედო რაიონი ვრცელია, ხოლო ასეთი საზოგადოებები კი უნდა მოეწყოს ყველა სოფლებში, მეორე მხრივ, თუ ჩვენ ასეთ საკითხების მოწესრიგებას დავაკისრებთ საბჭოს ან მის სასოფლო-სამეურნეო სექციას, ჩვენ სავსებით ჩავკლავთ გლეხობაში თვითმოქმედებას და თაოსნობის უნარს. საბჭოს უნდა დაეკისროს მხოლოდ ზედამხედველობა საზოგადოებაზე.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ სასოფლო მეურნეობის დარგში დღემდე არაფერი გაკეთებულა. ჩვენ დიდი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული, არა თუ აღვადგინეთ მეურნეობის წინანდელი დონე, არამედ წინ გაუსწარით მას. წამოვიწყეთ სოფლის მეურნეობის ახალი დარგები და სხვა. მაგრამ მიწის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სოციალისტურად, ისე როგორც ამას საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა მოითხოვს, ჯერ კიდევ არა გვაქვს. ჩვენ უნდა მივიღოთ საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ დამტკიცებული ძირითადი დებულებანი მიწადმოწყობის შესახებ, სადაც დაცულია სწორედ სოციალისტური თვალსაზრისი.

ამხ. რიჩკოვი

აფხაზეთის მიწის კოდექსი ითვალისწინებს სადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობას სოფლად. ამ კოდექსში გარკვევით არის ნათქვამი, თუ როგორ უნდა მოეწყოს საზოგადოება, ოჯახის რამდენი უნარიანი პირია საჭირო მის შესადგენად, ამავე კოდექსში ჩამოთვლილია უფლებები, რომელიც ენიჭება ამ საზოგადოებათ, ყველა საკითხები, რომელიც შეეხება სადგილ-მამულო საზოგადოებას, აფხაზეთში წყდება არა სასოფლო საბჭოს, არამედ ამ საზოგადოების წევრების უმრავლესობის მიერ. საზოგადოება ებრძვის საბჭოს, როცა ის მის უფლებებს ითვისებს. უფლებები მათ შორის არც ისე გარკვეულია, რომ ფუნქციების აღრევა შეიძლებოდეს. სადგილ-მამულო საზოგადოება არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მთელი სოფლის გაერთიანება, რადგან სოფლად მიწის მოსარგებლეთა გარდა არიან პირები, რომელთაც მიწასთან არავითარი კავშირი აქვთ (მასწავლებელი, ბეითალი, ექიმი და სხვ.), მიწადმოწყობის დაჩქარებისათვის საქართველოშიაც აუცილებელია ასეთი საზოგადოებების მოწყობა.

ამხ. ჭიჭინაძე

დღემდე მიწადმოწყობა ჩვენში იყო უმთავრესად პოლიტიკური საკითხი, მეტი ყურადღება ექცეოდა მიწადმოწყობის პოლიტიკურ და არა ტექნიკურ მხარეს. ამ გარემოებამ შეაფერხა მიწადმოწყობა.

ამხ. გენძეხაძის დებულებები არ ეგუებიან ჩვენი სოფლის სინამდვილეს, ჩვენში დიდი სივრცე უჭირავს ვენახებს, ბაღებს, და სხვა კულტურულ ადგილ-მამულებს. თუ ჩვენ მიწების გათანაბრებას მივიღებთ და ამავე დროს არ შევეხებით კულტურულ ადგილ-მამულებს, ტყუილი იქნება ლაპარაკი რამე გათანასწორებასა და სამართლიან გაყოფაზე, ვინაიდან შეძლებული წრეები ჩვენში ყოველთვის ეტანებოდენ და ეტანებიან კულტურულ ადგილების შეძენას და მათ დამუშავებას. მათ განკარგულებაში არის ვენახები და თუ ჩვენ იერიშს არ მივიტანთ, არავითარ გათანაბრებას არ ექნება ადგილი. საკითხი ასე იოლად არ წყდება. ამხ. გენძეხაძე მიწადმოწყობის დარგში მეტად დიდი ავტორიტეტია, მან რომ იკისროს და, საქართველოს რომელიმე სოფლის მოწყობა თავისივე ხელით, მერე ჩამოვიდეს და მოხსენება გააკეთოს, მე მგონია, ეს მოხსენება უფრო შინაარსიანი და მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მისი ზოგადი დებულებები.

დანარჩენ ორატორების სიტყვებს მოვათავსებთ ხვალის ნომერში.

მეოთხე დღე

31 იანვრის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება მოსავლიანობის გადიდების საკითხების და მიწადმოქმედების სახკომისარის ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ.

მოსავლიანობის გადიდების საკითხები. [illegible]

მოსავლიანობის გადიდების საკითხები

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

მოსავლიანობის გადიდების საკითხი,—ამბობს მომხსენებელი, არ არის მარტოოდენ ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც დამოკიდებულია მარტო აგრონომიულ ღონისძიებებზე. იგი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია, სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობაზე არის დამოკიდებული ქალაქის მრეწველობის ნაყოფიერების ზრდა. ჩვენი მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეული მასალით და საკვები პროდუქტებით მომარაგება ქალაქებისა და ზოგიერთ სასოფლო რაიონების მოსახლეობისათვის ქალაქის ინდუსტრიის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია, თუ იმავე დონეზე დარჩა სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობა. ამიტომ ეს საკითხი ხდება დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხად.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა საერთოდ დაბალ დონეზე დგას. იგი დიდად ჩამორჩება ამერიკის და ევროპულ ქვეყნების მოსავლიანობას. იგი ჩამორჩა ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ზრდასაც, მიუხედავად იმისა რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებმა სასოფლო მეურნეობაზე უფრო მეტად დააზარალეს ქალაქის მრეწველობა.

ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ რიგში ყურადღება მიაქცია მრეწველობის აღდგენას. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს ამ მხრივ დიდი მიღწევები.

მრეწველობის პროდუქციის ზრდა

ჩვენ შევძელით მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვეწყო უმაღლეს ტექნიკურ საფუძველზე. ამით აიხსნება, რომ ქალაქის მრეწველობის პროდუქციის ზრდა დიდათ უსწრებს წინ სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის ზრდას. 1925—26 წელს მრეწველობის მთელი პროდუქცია უდრიდა 12.488 მილიონ მანეთს. 1928—29 წლის ვარაუდით კი, იგი მიაღწევს 19.040 მილიონ მანეთს. შესაბამი წლების მიხედვით სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობა უდრიდა 17.870 მილიონ მანეთს, ხოლო 1928—29 წლის ვარაუდით იგი მიაღწევს 18.624 მილიონ მანეთს. მაშინ, როცა ამ ხნის განმავლობაში მრეწველობის პროდუქცია ხუთი მილიარდით იზრდება, სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის ზრდა მხოლოდ ერთ მილიარდს სჭარბობს, ასეთი დაშორება სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის ზრდის შორის გვიკარნახებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფერხდება მრეწველობის განვითარება.

ჩვენ უნდა მივიღოთ განსაკუთრებული ღონისძიებები, რომ მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად ავსწიოთ სასოფლო მეურნეობის პროდუქციის საქონლიანობა, რომელიც ომის წინანდელდროსთან შედარებით დაეცა. საქონლიანობის შემცირების მიზეზი არის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მომხდარი დიდი სოციალური გარდატეხა.

სოფლის პროდუქციის დაკლების მიზეზები

მიწადმფლობელობის მოსპობის შემდეგ ბაზარზე იკლო სასოფლო პროდუქტების რაოდენობამ, რადგან მემამულეებს ბაზარზე გამოჰქონდათ მოსავალი, რომელიც მოჰყავდა მათ ექსპლოატაციაში მყოფ გლეხობას. მეორე მხრივ თვით მოსახლეობის ფართო ფენებში იმატა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარებამ. დღეს, როგორც გლეხი, ისე მუშა გაცილებით უფრო უკეთ იკვებება, ვიდრე რევოლუციამდე.

ყოველ წლიურად 2 პროც. იზრდება აგრეთვე მცხოვრებთა რაოდენობა—საერთოდ 2 პროც., ხოლო ქალაქად კი 4 პროცენტით. რაც აბსოლიუტურათ მილიონებს უდრის. მცხოვრებთა რაოდენობა მატულობს ხოლო მოსავლიანობა კი იმავე დონეზე რჩება. ამას არ შეიძლება არ მოჰყვეს კრიზისი განსაკუთრებით ისეთ წლებში, როდესაც ცუდი მოსავლიანობაა.

ყოველივე ამან რასაკვირველია, არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ხდება სასოფლო მეურნეობის დეგრადაცია, მისი ჩამოქვეითება. პირიქით, სოფლის მეურნეობა აღორძინების გზაზე სდგას, ხდება მისი რეკონსტრუქცია მაგრამ არა ისეთი ტემპით, როგორც ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვს.

ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

იმ ღონისძიებებმა, რომლებიც მიღებული იყო სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად, უკვე მოგვცეს ნაყოფიერი შედეგები. მაგ., გაუმჯობესებული წესით ხვნის შემოღებამ; სამ მინდვრიანობის მრავალმინდვრიანობით შეცვლამ, თესლის გაწმინდამ და მოწამვლამ, გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღებამ საგრძნობლად ასწია სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობა ზოგიერთ რაიონებში. ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ უფრო მეტი მომავალშია გასაკეთებელი.

1927 წელს შერჩეული ხარისხოვანი თესლით დათესილი იყო 2 მილიონი ჰექტარი. 1925—26 წელს დარიგდა 148 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ხოლო 1928—29 წ. 200 მილიონი მანეთის მანქანები. ამაში არ შედის ტრაქტორები. ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს ქარხანა, რომელიც პირველ ხანებში დაამზადებს 8 ათას ტრაქტორს, შენდება კიდევ ორი სატრაქტორო ქარხანა. ხუთი წლის დამლევს ტრაქტორების წარმოება მიაღწევს 100 ათასს. სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ტრაქტორების ასეთი დიდი რაოდენობა სოფლად მთელს გარდატეხას მოახდენს მიწის დამუშავებაში, ეს ასწევს როგორც დამუშავებული მიწის რაოდენობას ისე მის ხარისხს.

როცა ჩვენ მოსავლიანობის გადიდებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს,—ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა. მთელი ჩვენი ღონისძიებები უნდა იქნეს გლეხობის ამ უდიდესი ნაწილის უზრუნველყოფისაკენ სათესლე მასალით, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, მიწის სესხით აგროკულტურული და აგრონომიული დახმარებით და სხვ. ამავე დროს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კოლექტიურ მეურნეობას და საბჭოთა მამულებს, მაგრამ მოსავლიანობის გადიდება საერთოდ შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა დახმარების აღმოჩენით კერძო ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს.

ჩვენი პერსპექტივები

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკის დადგენილებით, რომელიც ემყარება ფაქტების და მასალების ზედმიწევნით შესწავლას, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა უნდა გადიდდეს 30—33 პროცენტით უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში.—ე. ი. ყოველ წლიურად 5—6 პროცენტით. ზოგიერთს შეიძლება ეს ფანტაზიად, გადაჭარბებულ ოცნებათ ეჩვენოს, მაგრამ ეს გეგმა ემყარება მტკიცე საფუძველს—ჩვენს სასოფლო მეურნეობაზე ფრთხილ დაკვირვებას, ჩვენი უკანასკნელი წლების გამოცდილებას.

საკავშირო მ. გ. ინსპექციის კომისიამ გამოიკვლია ათასი კომლი რომელთა მეურნეობაში გატარებული იყო სხვადასხვა აგრონომიული ღონისძიებები მოსავლიანობის გასადიდებლად. ასეთივე გამოკვლევები მოხდა საცდელ მინდვრებზე და კოლმეურნეობებში, ამ გამოკვლევათა შედეგები, რომელზედაც ემყარება მთავრობის ზემოხსენებული დადგენილება, ამტკიცებენ, რომ მოსავლიანობის 30—33 პროცენტით გადიდება სავსებით მოსახერხებელია.

თესლის შერჩევით მიწის განოყიერებლად სასუქით, მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებით. ზოგიერთ საცდელ მინდვრებზე და კოლექტიურ მეურნეობათ მოსავლიანობა გაუდიდებიათ 60—100 პროცენტით. თუ ჩვენ ამავე ღონისძიებებს გავატარებთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხის მეურნეობებში, მოსავლიანობის გადიდებას ყოველ წლიურად აუცილებლად შევსძლებთ 5—6 პროცენტით.

საჭიროა მხოლოდ ყველა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციების შეთანხმებული და გაერთიანებული მუშაობა. უკვე ზოგიერთ ჩვენი სამრეწველო ორგანიზაციებთან არსებობს შეთანხმება იმის შესახებ, რომ ამ სამრეწველო ორგანიზაციებმა თავიანთ გეგმაში შეიტანონ ღონისძიებები სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად. მთელი რიგი ქარხნები დაამზადებენ ტრაქტორებს, ტრიერებს; ფარცხებს, გუთნებს და სხვა სას.-სამ. იარაღებს, ქიმიური მრეწველობა დაამზადებს მიწის სასუქებს თესლის მოსაწამლავ ნივთიერებებს და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის მავნებლებთან ბრძოლას. ყოველ წლიურად მავნებლები ანადგურებენ 31 მილიონ ტონა მოსავალს ე. ი. 2 მილიონით მეტს, ვიდრე მოსახლეობა გამოსაკვებათ ხმარობს.

ერთ მთავარ ღონისძიებას მოსავლიანობის გასადიდებლად წარმოადგენს მიწადმოწყობა. თათბირზე უკვე საკმაოდ გამოირკვა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს თესლთა ბრუნვის შემოღებისა და მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებისათვის მრავალნაჭრიანობის, მიწის დაქუცმაცების მოსპობას, რომელიც მიწადმოწყობის გარეშე შეუძლებელია.

გამოვიყენოთ სოფლის მოწინავე ძალები.

გამოვიყენოთ სოფლის მოწინავე ძალები

მოსავლიანობის გადიდება,—როგორც განვაცხადე,—არ არის მარტო აგრონომიულ და სადგილმამულო დაწესებულებათა საქმე. ეს დიდი საზოგადოებრივი პოლიტიკური საკითხია, რომლის გადაჭრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ორგანიზაციებმა. პირველ ყოვლისა,—იმ დაწესებულებებმა, რომელთაც უშუალოდ ეს საქმე ევალებათ. აგრონომებს, მელიორატორებს, მიწის მომწყობებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება და ენერგია მოახმარონ მათზე დაკისრებულ ღონისძიებათა გატარებას, არაფრის გზით ჩვენ არ უნდა ჩამოვაცილოთ ისინი თავის უშუალო საქმეს, რასაც ჩვენში ჰქონია ადგილი.

უნდა ავამოძრავოთ სოფლად მომქმედი საზოგადოებრივი ძალები. აგრონომიულ მუშაობაში უნდა ჩავაბათ გლეხის ქალები, რომელთაც ამ მხრივ დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ, გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში ქალები მამაკაცებზე უფრო პროგრესიული არიან. ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ და მოვიზიდოთ ისინი სას.-სამ. და აგრიკულტურულ მუშაობაში.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების როლი

ამ მუშაობის გარეშე ვერ დარჩებიან აგრეთვე სასწავლებლები, სკოლები განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის, რომლებიც ჩვენ მოვაწყვეთ სწორედ იმ მიზნით, რომ გლეხობას მივსცეთ აგრონომიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები. სამწუხაროდ, ამ თავის დანიშნულებას ეს სკოლები ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებენ. მათ უკვე ორი გამოშვება ჰქონდათ, მაგრამ ამ სკოლაში კურსდამთავრებული ახალგაზრდები სოფლად არ რჩებიან და სწავლის გასაგრძელებლად მიეშურებიან უნივერსიტეტში. ეს არღვევს ჩვენს განათლების სისტემას, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები მოწყობილია სოფლის მეურნეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, საშუალო კვალიფიკაციით აღჭურვილი აგრონომიული ძალებით. სოფლის ახალგაზრდობის სკოლა უნდა გახდეს ცენტრად, რომელიც თავის გარშემო შემოკრიბს გლეხობას და გაუწევს ხელმძღვანელობას მეურნეობის წარმოებაში.

ყველა ორგანიზაციული ძალების გაერთიანება იმ ღონისძიებათა გასატარებლად, რომელიც უმაღლესი ორგანოებისაგან არის ნაკარნახევი, შეგვაძლებინებს ავსწიოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა კიდევ უფრო მეტი პროცენტით, ვიდრე ამას ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება

შეიძლება, საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში—ამბობს ამხ. ს. ჯუღელი,—ისეთი დიდი არ იყოს მოსავლიანობის გადიდების საჭიროება, როგორც საქართველოში, რომელიც განიცდის ქრონიკულ პურის დეფიციტიანობას. ყოველ წლიურად საშუალოდ საქართველოში შემოგვაქვს 10—8 მილიონი ფუთი პური, ხოლო ისეთ წლებში როცა მოუსავლიანობაა, შემოტანილი პური 14 მილიონ ფუთამდე ადის. ჩვენ ვერ შევსძლებთ სავსებით მოვსპოთ ის დეფიციტიანობა. მაგრამ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ მის შესამცირებლად მოსავლიანობის გადიდებით.

თუ თვალს გადავავლებთ უკანასკნელი ოთხი წლის მოსავლიანობას ჩვენში, დავინახავთ რომ იგი არ იზრდება, პირიქით არის წლები, როცა იგი კლებულობს. ეს მეტად დამაფიქრებელი მდგომარეობა, რომელიც გვავალებს განსაკუთრებული ღონისძიების მიღებას ჩვენი მოსავლიანობის გასადიდებლად. ეს მეოთხე წელიწადია—ჩვენ ვატარებთ თესვის კამპანიას მაგრამ პირველ ორ კამპანიას ჩვენ ისე მოუმზადებელი შევხვდით, რომ მათ რაიმე საგრძნობი ეფექტი არ მოუციათ, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენმა ორგანიზაციებმა საკმაოდ ვერ გაიგეს თესვის კამპანიის მნიშვნელობა და ვერ მოაწესრიგეს ამ კამპანიის ორგანიზაციული მხარე.

ეს შეცდომა უნდა გამოვასწოროთ და მთავარი ყურადღება მივაქციოთ სწორედ კამპანიის ორგანიზაციულ მოწესრიგებას.

ფუჭად ჩაივლის სათესლე მასალის მომარაგება, იარაღ-მანქანების მიწოდება, აგროკულტურული მუშაობა, თუ ჩვენ წინასწარ არ გამოვარკვევთ თესლისა და იარაღების საჭირო რაოდენობას, იმ მეურნეობების რიცხვს, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ; ფუჭად ჩაივლის ყველაფერი, თუ ვერ მოვაწესრიგეთ თესლის, იარაღის და სხვა საჭირო მასალების თავის დროზე მიწოდების საქმე. თუ ამ კამპანიას საკმაოდ მომზადებული შეხვდებიან ყველა ის ორგანიზაციები, რომელთაც თესვის კამპანიის ჩატარება ევალებათ, წარმატება უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენი საშუალებები განსაზღვრული იქნება, საჭიროა ეხლავე ითქვას, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება იმდენი რესურსები, რომ სრულიად დავაკმაყოფილოთ სოფლის მეურნეობის საჭიროებანი. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, მით უმეტეს ჩვენ გვმართებს რაციონალურად და მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ჩვენი სახსრები.

დასათესი ფართობი

სახნავ-სათესი ფართობის სივრცე ჩვენში უდრის 1,200,000 ჰექტარს. ამ გაზაფხულზე უნდა დაითესოს 591.000 ჰექტარი. აქედან 468,185 ჰექტარი სიმინდით, 64.178—პურით, 46,480 ჰექტარი ქერით, 9.600 ჰექტარი კარტოფილით: დანარჩენი ფართობი დაითესება სხვა კულტურებით. ჩვენ განზრახული გვაქვს გავადიდოთ სიმინდის ნათესები 11 პროცენტით, პურის რვა პროცენტით, ქერის 7 პროცენტით. სულ საჭირო იქნება 674.222 ფუთი თესლი, სახკომსაბჭოს დადგენილებით თესლის შესაძენად გადადებულია 816.000 მანეთი. ამ თანხის ნახევარი გვეძლევა სასოფლო სამეურნეო ბანკიდან სესხად—ხოლო ნახევარი საკავშირო სახსრებიდან.

მწვავედ სდგას თესლის შეძენის საკითხი, ვაჭრობის კომისარიატი გვპირდება მხოლოდ 100.000 ფუთ სიმინდს, რომელიც სათესლედ არ გამოდგება. გვპირდება აგრეთვე 150,000 ფუთ ქერს. დანარჩენი სხვაგან უნდა შევიძინოთ. შეიძლება ჩვენ ეს ვერ მოვახერხოთ, ამ შემთხვევაში თათბირმა უნდა გამოსთქვას თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება თესლის ნაცვლად გლეხებს დაურიგდეს ფული თესლის შესაძენად. თესლის საკითხის მოუგვარებლობა დიდად დააბრკოლებს ამ კამპანიას. შემდეგისათვის გადაწყვეტილი გვაქვს შევქმნათ სათესლე ფონდი, ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოგვეცა 155,000 მანეთი; გადაწყვეტილი გვაქვს კოლმეურნეობებს დაურიგოთ 8.600 ფუთი საუკეთესო სიმინდის თესლი, რომელიც დაითესება მათ ნაკვეთებზე. მოსავალს მთლიანად შეიძენს კომისარიატი, რომელიც შემდეგში დაარიგებს მოსახლეობაში. სათესლე მასალის შესანახად ვაგებთ სპეციალურ ბეღლებს, სათესლე ფონდის შექმნა მომავალში თავიდან აგვაშორებს თესლის კრიზისს.

კონტრაქტაცია

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი თესვის კამპანიის არის კონტრაქტაციის ჩატარება, დღემდე კონტრაქტაცია ვრცელდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებზე, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. მარცვლეული კულტურის მოსავლიანობის გადიდება გვკარნახობს, რომ კონტრაქტაცია გავატაროთ სიმინდის, პურის და სხვა მარცვლეულის კულტურის ნათესებზედაც. კონტრაქტაცია ხელს უწყობს აგრო-კულტურულ ღონისძიებების გატარებას, რადგან გლეხი ხელშეკრულებით ვალდებული ხდება სავსებით შეასრულოს აგრონომის რჩევა-დარიგება. პირველ ხანებში ჩვენ ამ საშუალებით უნდა შევაჩვიოთ გლეხი მიწის კულტურულ დამუშავებას. წელს კონტრაქტაციით უნდა დაითესოს 50,000 ჰექტარი ხორბლეული. აქედან სიმინდი დაითესება 35.000 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე მთესველებს საშუალოდ მიეცემათ 8—10 მანეთამდე ავანსი.

მუშა-საქონელი

საქართველოში მუშა-საქონლის დიდი ნაკლებობაა. ეპიზოტიით შარშან დიდძალი საქონელი ამოწყდა, ეს გარემოება გვითვალისწინებია და გამოვყოფთ თანხა მუშა-საქონლის შესაძენად. მოგვცეს სულ 456.000 მანეთი, ამ თანხით შესაძლებელია შევიძინოთ 1.820 უღელი ხარი, სამწუხარო ის არის, რომ საქონელი შინაურ ბაზარზე არ იშოვება, ხოლო უცხოეთიდან გამოწერილი ძალიან ძვირი ჯდება. თათბირმა უნდა გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებაც, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება გლეხებს დაურიგოთ ფული მუშა-საქონლის შესაძენადაც. შემდეგისათვის კომისარიატი ფიქრობს გაადიდოს ცხენსაშენი ფერმა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ შესძლებს მოამარაგოს საქართველოს ყველა რაიონები საუკეთესო საჯიშე საქონლით.

მესაქონლეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები ბალახების თესვის შემოღებას, წელს გადაწყვეტილი გვაქვს ხარისხოვანი ბალახი გავაშენოთ 1.000 ჰექტარზე, უმთავრესად კოლმეურნეობების მიწებზე, საერთოდ, ამ საქმისათვის გადადებულია 50.450 მანეთი.

მანქანა-იარაღების მიწოდება

თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მანქანა-იარაღების მიწოდებას, შარშან ამ საქმეს ბევრი ნაკლი ახასიათებდა. ადგილებს ვაწვდიდით მათთვის შეუფერებელ ტრაქტორებს და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ღებულობდნენ დაგვიანებით, მაშინ, როცა, უკვე თესვითი კამპანია დამთავრებული იყო, ბრალი, უმთავრესად, მიუძღვით იარაღების მომწოდებელ ორგანიზაციებს, რომლებიც ხშირად დაპირებას არ ასრულებდნენ. კამპანიისათვის გეგმით განზრახულია დარიგდეს 2,520 ცალი გუთანი, 425 ფარცხი, 29 ტრაქტორი, 140 სათესი მანქანა, 100 ტრიერი, 200 კულტივატორი, და სხვა სას.-სამ. იარაღები—სულ 224.000 მანეთის ღირებულებისა. ამჟამად საქართველოში უკვე მრავალი სასოფლო-სამეურნეო იარაღია დარიგებული, მაგრამ სამწუხაროდ ყველა არ არის გამოყენებული. ბევრი მანქანა მოხმარების უცოდინრობის გამო მალე ფუჭდება, ზოგიერთი კი ხანგრძლივი მუშაობის ცდება. სარემონტო სახელოსნოები კი მათ შესაკეთებლად საკმაოდ არ მოგვეპოვება. ამ კამპანიისათვის გადაწყვეტილია შევაკეთოთ და გავაფართოვოთ არსებული სარემონტო სახელოსნოები და ზოგიერთ მაზრებში მოვაწყოთ ახალი სახელოსნოები. ამ საქმისათვის გადადებული გვაქვს 124,000 მან. ყურადღება უნდა მიექცეს მანქანების რაციონალურ და მიზანშეწონილ გამოყენებას. ახალი მანქანები და იარაღები საკმაოდ დატვირთული არ არის, მაგალითად თვითეული ტრიერი, რომელსაც შეუძლია 10.000 ფუთი თესლი გაწმინდოს, ამჟამად, სწმენდს არა უმეტეს 8,000 ფუთისა, იგივე ითქმის ტრაქტორებზე, რომლებსაც ბევრ შემთხვევებში იყენებენ მეორე ხარისხოვან სამუშაოზე. დიდად აბრკოლებს ტრაქტორების მუშაობას ჩვენი ზოგიერთი დაწესებულებების ყოვლად გაუმართლებელი ბიუროკრატიზმი, ამ შემოდგომაზე კახეთში ტრაქტორები ხვნა-თესვის სეზონში სამი კვირით გაჩერებული იყვნენ იმის გამო, რომ ვერ მიიღეს საწვავი მასალა, რომელიც მათ შეღავათიან ფასებში უნდა მისცემოდათ. საქმე გაჭიანურდა იმის გამო, რომ ფინსახკომმა მათ მოსთხოვა ანკეტების შევსება და მოსთხოვა საბუთები, რომ მათ საწვავი მასალის შეღავათიან ფასებში მიღების უფლება აქვთ. ასეთ ბიუროკრატიულ მიდგომას საქმისადმი ბოლო უნდა მოეღოს და ამ თავითვე მანქანები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საწვავი მასალით. იარაღ-მანქანების მიწოდების გარდა, მიმდინარე კამპანიისათვის ფართოვდება არსებული გასაქირავებელი და [illegible] სადგურები და ეწყობა ახალი, რისთვისაც გადადებულია 80.000 მანეთი.

ტექნიკური კულტურები

თესვის კამპანიაში მარცვლეულობის კულტურასთან ერთად ჩვენი ყურადღების მთავარ საგანს წარმოადგენს ჩვენი ტექნიკური კულტურები, რომელთა განვითარება ქმნის ნედლეულობის ბაზას მრეწველობისათვის. წლიდან-წლამდე უნდა გავაძლიეროთ დახმარება და ხელმძღვანელობა ტექნიკურ კულტურების გაშენებაზე. ამ მიზნით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კონტრაქტაციის სისტემა, ჯერ-ჯერობით საქართველოში ჩაის გარდა, რომელიც მინდობილი აქვს სპეციალურ ორგანიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თამბაქოს, ბამბის, ჭარხლისა და კანაფის კულტურებს, თამბაქოს ნათესების ფართობი წელს დიდდება 16.500 დესეტინამდე. აქედან კონტრაქტაცია გავრცელდება 80 პროცენტზე. თვითეულ დესეტინაზე აფხაზეთში პლანტატორს მიეცემა 285 მანეთი, საქართველოში ცოტა ამაზე ნაკლები.

ბამბის ნათესები წელს განზრახული გვაქვს ავიყვანოთ 9,000 ჰექტარამდე. აქედან კონტრაქტაციით დაითესება 8.000 ჰექტარი. ბამბის ნათესების ფართობის გავრცელების საშუალებას გვაძლევს სარწყავი სისტემის აღდგენა ყარაიაზში, რომელიც ბორჩალოს მაზრასთან ერთად ჩვენში მებამბეობის მთავარ რაიონს წარმოადგენს.

შედარებით ახალი კულტურაა ჩვენში კანაფი, რომელიც წელს ითესება 650 ჰექტარზე—ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. კანაფი უმთავრესად ითესება კოლმეურნეობათა მიწებზე, რომლებიც ყოველ ჰექტარზე ღებულობენ 100 მანეთს ავანსს.

შაქრის ჭარხლის პლანტაციების გაშენება წელს საგრძნობლად ფართოვდება. ჭარხალი ითესება 200 ჰექტარზე. 150 ჰექტარს სთესენ კოლმეურნეობები, ხოლო 50 ჰექტ. კერძო მეურნეობები. კონტრაქტაციისათვის გადადებულია 19,000 მანეთი. ჭარხლის დათესვის მთავარი მიზანია შევაჩვიოთ გლეხობა ჭარხლის მოვლას, რომ ნედლეულით მომზადებული დავხვდეთ შაქრის წარმოებას, რომელიც საქართველოში ეწყობა. მომავალი წლის მოსავლის ჭარხალი გადამუშავებული იქნება სპირტად გომის ქარხანაში.

ასეთია მოკლედ ის ღონისძიებები, რომლის გატარებასაც აპირებენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები.

თუ ჩვენი ორგანიზაციები სავსებით შეიგნებენ ამ კამპანიის უდიდეს პოლიტიკურ-ეკონომიურ მნიშვნელობას, თუ ისინი მუშაობაში ჩააბამენ ყველა კულტურულ-საზოგადოებრივ და სამეურნეო მუშაკებს, შეჰქმნიან საერთო საზოგადოებრივ აზრს ამ კამპანიის მნიშვნელობის გარშემო, ამით ისინი უზრუნველყოფენ ამ კამპანიის წარმატებით დამთავრებას, რომელიც ჩვენი მოსავლიანობის გადიდების საწინდარი იქნება.

განათლების სისტემის გადასინჯვისათვის *)

საკითხი არ დგას განათლების ჩვენი სისტემის ძირითადი პრინციპების გადასინჯვის და სახალხო განათლების საქმის სრულიად ახალ საფუძველზე აშენების შესახებ. ლაპარაკია მხოლოდ ამ სისტემის ცალკე ელემენტების რეკონსტრუქციაზე სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდის პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით. ამ მუშაობაში მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ის გამოცდილება, რომელიც ხელთ გვაქვს.

სანამ კონკრეტ საკითხებზე გადავიდოდეთ, მოვიგონოთ ს. კ. პ. (ბ) პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი დებულებათაგანი სახალხო განათლების დარგში: „უფასო და სავალდებულო ზოგადი და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიულად და პრაქტიკულად აცნობს წარმოების ყველა მნიშვნელოვან დარგს) განათლების განხორციელება ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 17 წლამდე“. საყოველთაო სავალდებულო სწავლა ჯერ კიდევ პირველი საფეხურის სკოლის ფარგლებშიაც არ გაგვინხორციელებია—12 წლის ასაკამდე, ასე რომ მორიგ და გადაუდებელ ამოცანად სწორედ ეს უკანასკნელი უნდა დავისახოთ—მთელი მოსახლეობის დაკმაყოფილება დაწყებითი სკოლით. რაც შეეხება საყოველთაო სავალდებულო სწავლის მე-II საფეხურის სკოლის ფარგლებში განხორციელებას, ეს უკვე მეორე რიგის და უფრო შორეული დროის ამოცანაა; იგი პრაქტიკულად მხოლოდ მას შემდეგ დადგება, რაც პირველი საფეხურის სკოლა საყოველთაო გახდება და სათანადოდ განმტკიცდება.

პროგრამის არც მეორე მოთხოვნა გვაქვს განხორციელებული: 17 წლამდე—მხოლოდ ზოგადი პოლიტექნიკური განათლება და მხოლოდ ამის შემდეგ პროფესიონალურ - ტექნიკური. ეკონომიურმა სიძნელეებმა გვაიძულა ასაკი 15 წლამდე დაგვეწია. (სპეციალი ტექნიკუმები, როგორც ვიცით, 7 წლედზეა აგებული, ე. ი. 15 წლის ახალგაზრდებს იღებს). „თუ ჩვენ იძულებულნი ვართ დავსწიოთ ასაკი (ზოგადი—პოლიტექნიკურიდან პროფესიონალურ ტექნიკურზე გადასასვლელად) 17 წლიდან 15-მდე, პარტიამ ასაკის ნორმის დაწევა ისე „უნდა დაუფასოს, როგორც „განსაკუთრებული“ (ცკას დირექტივების პირველი მუხლი) პრაქტიკული აუცილებლობა, როგორც დროებითი ზომა ქვეყნის სიღატაკითა და გაპარტახებით გამოწვეული“ (ლენინი).

როგორც ვიცით, უკრაინის ს. ს. რ. სახალხო განათლების მშენებლობაში არ მიჰყვება პარტიის პროგრამის მოთხოვნას და იქ ზოგადი განათლება 7 წლედით თავდება,— შემდეგი კი პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება მიდის. ეს იქ არ არის მიღებული როგორც დროებითი ზომა, როგორც იძულებითი დათმობა ეკონომიური სიძნელისათვის, არამედ მიღებულია, როგორც სახელმძღვანელო დებულება. არის ცდა—ვითომდა თეორიული მოსაზრებითაც დაასაბუთონ ამ მდგომარეობის მართებულობა და 15 წლიდან პროფესიონალური განათლების ყოველმხრივი მიზანშეწონილობა. სწორედ ეს „თეორეტიკოსები“ ჰყავს ლენინს მხედველობაში, როდესაც ამბობს: „ზოგადი მსჯელობა და ასეთი გაგების ნაძალადევად „დასაბუთების“ ცდა მთლად სისულელეს წარმოადგენს. კმარა თამაში ზოგადი მსჯელობით და ვითომდა თეორიებით“.

სრულიად საკავშირო პარტიულმა თათბირმა, რომელიც ახლო მომავალში შესდგება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაუდვას საზღვარი მერყეობას. სახალხო განათლების სოციალისტური სისტემა ჩვენში თავისი არსით ერთი უნდა იყოს, ერთსა და იმავე ძირითად პრინციპებზე აგებული,—იმ პრინციპებზე, რომლებიც მოცემულია მარქსისა და ლენინის შეხედულებებში და გამოკვეთილი პარტიის პროგრამაში.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ეკონომიურად უკვე იმდენად გავმაგრდით, რომ ამიერიდან მხოლოდ 17 წლის ასაკის ზევით ვიწყობთ პროფესიონ. განათლებას. არა. ჯერ ამას ვერ შევსძლებთ, მაგრამ ჩვენ შეუჩერებლივ უნდა ვისწრაფოდეთ აქეთკენ. ყოველს ხელსაყრელ შემთხვევაში უნდა ვცდილობდეთ ამ მიმართულებით შემდგომ და შემდგომ საფეხურებზე ასვლას—ამ პრინციპების განსახორციელებლად. თუ ნივთიერად ჯერ კიდევ არ ვართ ძლიერი, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სწრაფი ნაბიჯით წინ არ მივიწევთ, რომ ძლიერ შორს არა ვართ წასული იმასთან შედარებით, რაც ვიყავით, როდესაც არსებულ განათლების სისტემას ვაყალიბებდით.

ამიტომ, როდესაც განათლების სისტემის გადასინჯვას ვუდგებით ეკონომიური და კულტურული მშენებლობის წონასწორობის აუცილებლობის მთელი შეგნებით და ჩვენი ნივთიერი საშუალებებისათვის ანგარიშის გაწევით, უეჭველად უნდა ვცდილობდეთ წინ წავიწიოთ,—წავდგათ შემდეგი ნაბიჯი მარქსისა და ლენინის იდეების განაღდებისაკენ.

როდესაც ვლაპარაკობთ განათლების სისტემაში შესატან კორექტივებზე, პირველ რიგში საკითხი ჩვენი განათლების ხანგრძლივობაზე უნდა დავსვათ. განათლებისათვის გამოყოფილ დროის სიმოკლის მხრივ ჩვენ პირველი ადგილი გვიჭირავს: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საშუალო განათლების ხანგრძლივობა საშუალოდ 12 წელს უდრის, იაპონიაში და ამერიკაში—კიდევ უფრო მეტია, ხოლო ჩვენ მხოლოდ 9 წელი გვაქვს (ზოგადი განათლების საშუალო სკოლა ჩვენში 9 წლედია). ეს ხანგრძლივობა, პირველი საფეხურის სკოლიდან დაწყებული უნივერსიტეტით გათავებული, 13 წელიწადია, ე. ი. იმდენი, რამდენიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს მხოლოდ ზოგად საშუალო განათლებაზე აქვთ გადადებული. მომჭირნეობა და მოსწავლეთა დაჩქარებით გამოშვების სურვილი კარგი საქმეა, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ როგორია აჩქარებულად მომზადებული პროდუქციის ხარისხი.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ 9 წლიან საშუალო სკოლით დავკმაყოფილდეთ? არა. ჩვენი პროგრამები გაცილებით უფრო ფართოა იმასთან შედარებით, რაც ბურჟუაზიულ ქვეყნებს აქვთ; ჩვენი საშუალო განათლების მინიმუმი უფრო მაღლა უნდა იდგეს ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით, თუ ამოცანად ვისახავთ, რომ „შედარებით უმოკლეს ისტორიული ხნის განმავლობაში დავეწიოთ და გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“. (საშუალო განათლების დონის დაწევით ხომ უმაღლეს სკოლის დონეც დაიწევს და, მაშასადამე, მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების გადამზადების საქმეს ხიფათში ჩავაყენებთ). მართალია, ჩვენ სკოლიდან განვდევნეთ რელიგია, რაც ბურჟუაზიულ სკოლებში ბევრს დროს მოითხოვს, განვდევნეთ ყველაფერი, რაც სოციალისტური აღზრდის მიზნებს არ შეესაბამება, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი ახალი შევიტანეთ, გავაძლიერეთ ბუნებისმეტყველება და საზოგადოებათ მეცნიერება, შევიტანეთ შრომა და მუშაობის აქტიური მეთოდები (სულ სხვა საკითხია—რამდენად წესიერად განვახორციელებთ, რაც გაცილებით უფრო მეტს დროს მოითხოვს). ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ფართოდ არის ჩაბმული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც კიდევ უფრო ამცირებს სკოლის განკარგულებაში გადადებულ „სასწავლო“ დროის ბიუჯეტს, და სხვ. ცხადია, რომ 9 წელი არ კმარა. საშუალო სკოლიდან გამოსული ახალგაზრდობა სუსტადაა მომზადებული. ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ და საშუალო განათლების ხანგრძლივობა გავზარდოთ, 9 წლის ნაცვლად 10 წლამდე უნდა ავიყვანოთ. მაგრამ სად უნდა დავუმატოთ ეს ერთი წელი?

ახლა გვაქვს: პირველი საფეხური—4 წლედი და მეორე საფეხური—5 წლედი (მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი 3 წლედი—5, 6 და 7 ჯგუფი 7 წლედი, და მეორე კონცენტრი ორწლედი — 8 და 9 ჯგუფი—9 წლედი).

პირველი საფეხური, მასიური სკოლა განსაზღვრავს მასების კულტურულ დონეს. სოციალისტური მშენებლობა მასებს მეტად ფართო კულტურულ მოთხოვნილებებს უყენებს. აქ არ კმარა მარტო წერა-კითხვა და თვლა. 4 წლის განმავლობაში შეუძლებელია ამ დიდ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. მით უმეტეს, რომ ამ ბავშვებს ახალი ენის სწავლებაც უხდებათ (რუსული ენა). ამიტომ, ერთი წლის დამატება პირველ საფეხურის სკოლაზე რომ შეგვეძლოს, კარგი იქნებოდა, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა სკოლაში მისაღები ასაკიც 8 წლიდან 7-მდე დაგვეწია და 5 წლედის დამთავრების ასაკი იგივე დარჩებოდა—12 წელი. მაგრამ უახლოეს წლებში ამას ვერ განვახორციელებთ: მარტო ამჟამად არსებულ პირველი საფეხურის ყველა სკოლას რომ დავუმატოთ თითო ჯგუფი, ეს 1833 ახალ ჯგუფს და, მაშასადამე, ამდენსავე ახალ მასწავლებელს მოითხოვს, რაც ჩვენი ბიუჯეტისათვის დაუძლეველი იქნება. როგორც აღნიშნული იყო, კულტურულ ფრონტზე უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლის განხორციელებაა. პირველ რიგში ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს მთელი ძალ-ღონე და ნივთიერი სახსარი. ამიტომ ვჩერდებით 4 წლედზე იმ პირობით, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე საყოველთაო სწავლება აშენდეს მეორე საფეხურის ნიადაგზე.

სად დავუმატოთ ეს ერთი წელი? II საფეხურის I თუ II კონცენტრს? ნივთიერი შესაძლებლობის თვალსაზრისით მეორე ზომა უფრო ხელსაყრელია, რადგან II კონცენტრის რაოდენობა 63 არ აღემატება, I კონცენტრის კი 400 მეტია (7 წლედები და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები). მაგრამ სხვა მხრივ უეჭველად უფრო მიზანშეწონილია ერთი წელი I კონცენტრს დაუმატოთ და ამ გზით, 7 წლედის ნაცვლად, 8 წლედი მივიღოთ. ამას შემდეგი უპირატესობა აქვს: სპეცტექნიკუმებს (8 წლედებზე იქნება აშენებული) უფრო სიმტკიცე დასაყრდენი ექნება, ისინი უფრო მომზადებულ და მომწიფებულ ახალგაზრდობას მიიღებენ; პროფესიონალურ-ტექნიკური განათლება 16 წლიდან დაიწყება (8 წლედს 16 წლის ახალგაზრდები დაასრულებენ) და, მაშასადამე 1 წლით დაუახლოვდებით ნორმალურ ასაკს (17 წ.), 12-16 წლის ასაკში, როდესაც ორგანიზმი თავის განვითარებაში კრიტიკულ მომენტს განიცდის, ახალგაზრდობა ისე აღარ იქნება დატვირთული, როგორც დღეს, რადგან 4 წლის განმავლობაში დაახლოებით იმისვე შესრულება მოუხდება, რასაც ახლა 3 წლის განმავლობაში ასრულებს აჩქარებულად და ზერელად, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის საზიანოდ; ამას გარდა მასიური მუშაკები, რომლებიც 8 წლედიდან პირდაპირ ცხოვრებაში გამოვლენ, საკმაოდ მოზრდილი რაოდენობით, უფრო მეტი მომზადებით იქნებიან აღჭურვილი და უფრო ნაყოფიერი იქნება მათი მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში. II საფეხ. II კონცენტრი ისევ 2 წლედად რჩება, როგორც დღეს არის.

უახლოესი წლების განმავლობაში განათლების სისტემის საფუძვლად 10 წლიანი შრომის სკოლა უნდა გვქონდეს და უფრო ადრე თუ არა საყოველთაო დაწყებითი სწავლის განხორციელებისას მაინც, პრაქტიკულად უნდა დავაყენოთ 4 წლედის ნაცვლად 8 წლედის განხორციელება. მაშინ მდგომარეობა, დღევანდელთან შედარებით, უეჭველად გაცილებით უკეთესი იქნება: უმაღლესი სკოლისათვის ახალგაზრდობა უკეთ იქნება მომზადებული და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც უფრო გამოსადეგი.

II საფეხურის II კონცენტრში პროფესიონალური ელემენტები გვაქვს შეტანილი განხრების სახით. როგორ მოვექცეთ ამ განხრებს? ზოგადი განათლების პოლიტექნიკურ სკოლაში პროფესიონალურ ამოცანებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ აქეთკენ უნდა ავიღოთ გეზი და პროფესიონალური განხრები ჩამოვიშოროთ, მაგრამ, როგორც დროებითი ზომა, ისინი კიდევ დარჩებიან; საშუალო სკოლიდან გამოსული ახალგაზრდობა მთლიანად ვერ მოხვდება უმაღლეს სკოლაში, და მაშასადამე, ცოტაოდენი მაინც უნდა გააჩნდეს პრაქტიკული ხასიათის ცოდნა-ჩვევანი, რომ მშენებლობაში მონაწილეობის მიღება შეეძლოს. ამას გარდა, მშენებლობის სხვადასხვა დარგისათვის ჩვენ გვესაჭიროება მასიური მუშაკები (მაგ., 1 საფ. სკოლის მასწავლებლები მით უმეტეს, როდესაც საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადავდივართ, პოლიტგანათლების დარგში მომუშავენი და სხვა).

როდესაც გვექნება ნორმალური პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც თავის მუშაობას გარემოცულ წარმოებაზე დაამყარებს, წარმოების მნიშვნელოვან დარგებს გააცნობს ახალგაზრდობას თეორიულად და პრაქტიკულად, მაშინ ახლანდელი განხრები აღარ იქნება საჭირო: სოფლის მეურნეობის პირობებში სკოლა სასოფლო-სამეურნეო იერს მიიღებს, ხოლო მრეწველობის რაიონებში —სამრეწველო იერს.

სოციალური აღზრდის სისტემაში ორი ახალი ტიპის სკოლა უნდა იქნას შეტანილი, როგორც დროებით დამატებითი სკოლა. პირველი ეს ორ წლიანი სკოლა წერა-კითხვის უცოდინარ, ასაკ გადასულ ახალგაზრდობისათვის, 11-დან 15 წლამდე. ასეთი ახალგაზრდობა საკმაოდ დიდ რიცხვს შეადგენს. ამ ახალგაზრდობისათვის უნდა გაიშალოს 2 წლიანი სკოლის ქსელი (5 წლიანი გეგმით 600 ასეთი ტიპის სკოლის გახსნაა ნავარაუდევი). ამ ტიპის სკოლის მუშაობა ისეთი უნდა იყოს, რომ, ზოგადი ცოდნის ელემენტებთან ერთად, სამეურნეო პრაქტიკული ცოდნისა და ჩვევების განსაზღვრულ მინიმუმსაც უნდა აძლევდეს ახალგაზრდობას მეურნეობის კოოპერაცია-კოლექტივიზაციის საფუძველზე.

მეორე ტიპი— ეს შემოკლებულ კურსიანი (ორი ან სამწლიანი) სოფლის ახალგაზრდობის სკოლა უნდა შევქმნათ სკოლის ასაკ გადასული ახალგაზრდობისათვის (ჩვეულებრივი სოფლის ახალგაზრდობის სკოლა 4 წლიანი უნდა იყოს). ამ სკოლებში მოექცევა ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც უკვე მეურნეობაშია ჩაბმული და მაშასადამე, მიღებულ ცოდნას და ჩვევებს მეტი ნაყოფიერებით გამოიყენებს სოფლად—ახალი მეურნეობის და ახალი ცხოვრების შექმნის საქმეში. სოფლის ახალგაზრდობის ასეთი სკოლები ასაკ გადასულთა ორწლიან სკოლებზედაც აშენდება.

საჭიროა ჩემს მიერ აქ წამოყენებულ საკითხებზე და ყველა სხვა საკითხზე, რაც დასმულია პარტიული თათბირის გამო განათლების სისტემის შესახებ, ამხანაგებმა თავისი მოსაზრება გამოსთქვან, რამდენად ფართო ხასიათს მიიღებს ამ საკითხებზე მსჯელობა, იმდენად გაადვილდება პარტიას განათლების სისტემაში საჭირო კორექტივების შეტანა. პირველ რიგში აქ განათლების დარგში მომუშავე ამხანაგებზეა ჯერი: თავის დაკვირვება-გამოცდილება ფართოდ უნდა გამოიყენონ, ამ საქმეს ფხიზლად და ენერგიულად მოჰკიდონ ხელი და ცხოველი მონაწილეობა მიიღონ სახალხო განათლების შემდგომ განვითარებაში.

მარიამ ორახელაშვილი

---

*) საკითხის განხილვის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

მჭიდროდ შევაკავშიროთ მშრომელთა რიგები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად

საარჩევნო კრებები თბილისში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს. — ამომრჩევლებს საერთო განაწესში შეაქვთ მთელი რიგი დამატებები. — არჩევნებთან დაკავშირებით ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული — ეწყობა პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა დემონსტრაციები.

არჩევნები თბილისში

აბრეშუმის ტრესტის თანამშრომლებში

გუშინ, საღამოს 6 საათზე სახალხო კავშირის მუშაკთა კლუბში შედგა საქ. აბრეშუმის ტრესტის, აბრეშუმის საქსოვი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ტრესტთან არსებულ კურსების მსმენელთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: თბილისის საბჭოს დეპუტატის არჩევა და თბილისის საბჭოსათვის მისაცემ დავალების წაკითხვა.

თბილისის საბჭოს წევრათ კრებამ აირჩია ამხ. ლადო მანჯგალაძე.

კრებამ მოისმინა დეპუტატებისათვის მისაცემი დავალებანი და დაუმატა შემდეგი: თბილისის საბჭომ უნდა მიიღოს ზომები სამიკიტნოების დასაკეტათ და მათ ნაცვლათ საზოგადოებრივ სასადილოების გასახსნელად. სახლების აშენება უნდა სწარმოებდეს არა სტილისა და სილამაზისათვის, არამედ ისე როგორც ეს აუცილებელია ჯანმრთელობისათვის. უნდა მოხდეს „უჩბი"-ს რეორგანიზაცია.

მეტი ყურადღება პროსტიტუციასთან ბრძოლას. უნდა გაიხსნას მეძავი ქალების გამოსასწორებელი სახლები და სხ.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

მექანიკურ ფაკულტეტში

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტებმა.

კრების გახსნის მოლოდინში სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად საუბრობენ, საბჭოში ასარჩევ ამხანაგების შესახებ.

კრება გაიხსნა. ამხ. ლობჟანიძე დამსწრეთ უკითხავს თბილისის საბჭოსათვის მისაცემ დავალებებს. სტუდენტებმა ერთხმად მიიღეს ეს დავალებები და დაუმატეს შემდეგი მუხლები: საჭიროა თბილისში მოეწყოს სტუდენტთა კლუბი. გაუმჯობესდეს საექიმო დახმარების საქმე, სტუდენტებს უნდა მიეცეთ ტრამვაის შეღავათიანი ბილეთები და სხვა.

დასასრულ კრებამ თბილისის საბჭოს წევრებათ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: ნოე ლეჟავა, ს. ჩანკვეტაძე, გიდევანიშვილი, პერუშინი, გ. ჭორონოვი, ა. რობაქიძე, ტერ-აკოპოვი (მუშა ქალი), ფ. ლობჟანიძე და შმატკოვი; კანდიდატებათ: გიორგი რაზმაძე, ზარჩენკო და გ. ჩაკვეტაძე.

სამშენებლო ფაკულტეტში

სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრებამ, თბილისის საბჭოს დეპუტატებათ აირჩია შემდეგი ამხანაგები: დავით კანდელაკი (განათლების სახალხო კომისარი), სერგო მელქუმოვი, თეოფილე ქათამაძე, ვასო სალუქვაძე, ნიკოლოზ არუთინოვი, ვლადიმერ დვუჟილნი და ნინო გერგი. კანდიდატებათ დისნიკოვა და ფანცულაია.

კრებამ თბილისის საბჭოსათვის მისაცემ დავალებაში შეიტანა დამატება.

პოლიტეხნიკური ინსტიტუტამდე ტრამვაის ხაზის გაყვანის შესახებ.

სამთო ფაკულტეტში

სამთო ფაკულტეტის სტუდენტებმა თბილისის საბჭოში გამოჰყვეს შემდეგი ამხანაგები: გიორგი მილუა, შალვა ცირეკიძე, და ილია გორდელაძე.

სატრიკოტაჟო ფაბრიკაში

სატრიკოტაჟო ფაბრიკისა და ებრაელთა კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული საარჩევნო კრება იშვიათი ენტუზიაზმით და აღფრთოვანებით ჩატარდა. 188 ამომრჩეველისაგან კრებაზე გამოცხადდა თითქმის 100 პროცენტი. დამსწრეთა შორის 74 მუშა-ქალი იყო.

— დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ახალი საბჭო.

— თბილისის საბჭომ არაფერი არ უნდა დაიშუროს საბავშვო ეპიდემიებთან საბრძოლველად

— საბჭომ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოს ლოთობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ.

ასეთი ხასიათის დამატებები შეიტანეს მუშა-ქალებმა თბილისის ახალი საბჭოსათვის მისაცემ ნაკაზში.

ნაკაზის მიღების შემდეგ კრებამ საბჭოს წევრებად აირჩია: თამარა მასხარაშვილი, ევდოკია გუმბიაშვილი და თამარა თეიმურაზოვი, კანდიდატათ ამხ. ...ოშვილი.

არჩეულთა შორის 3 მუშა და 1 მოსამსახურე.

საკანდიტრო ფაბრიკაში

საკანდიტრო ფაბრიკაში, მუშაობის დამთავრების შემდეგ შედგა ამავე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 85 ამომრჩეველი, ამათგან 33—ქალი.

საბჭოს წევრების არჩევამდე კრებამ მიიღო ახალი შემადგენლობის საბჭოსადმი წარსადგენი ნაკაზი და შეიტანა მასში ზოგიერთი შესწორებანი, კრებამ საბჭოს წევრებათ აირჩია ორი მუშა: ამხ. ამბროსი ჩხაველიძე და მარიამ მანჯგალაძე.

სად შესდგება საარჩევნო კრებები

დღეს ფეხსაცმელების ქარხნის შენობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგება ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საბჭოს საარჩევნო კრება. ამხ. ნარიმანოვის სახელობის მუშათა კლუბში დღეს, დღის 3 საათზე დანიშნულია თურქული უჯრედების გაერთიანებული საარჩევნო კრება. ხეზე მომუშავეთა თვალსაჩინო ხელსაწყოების ინსტიტუტის თანამშრომელთა და კერძო ხე-ტყის სახერხ ქარხნებში მომუშავეთა გაერთიანებული კრება შესდგება დღეს დღის 3 საათზე. კრებაზე მოხდება თბილისის საბჭოს ახალი დეპუტატების არჩევნები. სამხედრო ტრანსპორტის და სახურსათო ბაზის თანამშრომელთა საბჭოთა საარჩევნო კრება დანიშნულია დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ. ამავე ვადაზე შესდგება ფეხსაცმელების კოლექტივის წევრთა საარჩევნო კრება.

დღეს, 31 იანვარს, საღ. 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება აღმშენებელ მუშათა პროფკავშირის უმუშევარ წევრთა და მათ კმაყოფაზე მყოფთა საარჩევნო კრება.

1 თებერვალს მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღ. 6 საათზე შესდგება მეღვინეთა კავშირის უმუშევართა და მათი ოჯახის წევრთა საარჩევნო კრება.

საარჩევნო მოტო-გადარბენა

თბილისის ავტოკლუბთან არსებულ „ავტოგზას" უჯრედის მოტოსექცია საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით აწყობს დიდ მოტო-გადარბენას, გადარბენის მარშრუტი ასეთია: თბილისი — გომბორი — თელავი — სიღნაღი—თბილისი. გადარბენის მონაწილენი თბილისიდან გაემგზავრებიან 3 თებერვალს და უკან დაბრუნდებიან სამ დღეში. სტარტი დანიშნულია თავისუფლების მოედნიდან, სადაც შესდგება თბილისის ფიზკულტუროსანთა საარჩევნო მიტინგი.

მოტო-გადარბენაში მონაწილეობას მიიღებს 20 მოტოციკლეტი, 2 მსუბუქი ავტომობილი და 2 საბარგო ავტომობილი. გადარბენის მონაწილენი მიტინგებს მოაწყობენ მუხროვანში, გომბორში, თელავში, წინანდალში, გურჯაანში, კარდანახში, ანაგაში და სიღნაღში.

მიტინგებზე დარიგებული იქნება ლიტერატურა საბჭოთა არჩევნების შესახებ და ადგილობრივ საბჭოებს გადაეცემა ნაკაზები საგზაო აღმშენებლობისა, მექანიკური ტრანსპორტის გაუმჯობესებისა და „ავტოგზისათვის" ხელის შეწყობის შესახებ.

გადარბენის კომანდორათ დანიშნულია ამიერ-კავკ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ამხ. აზარნოი. გადარბენაში მონაწილეთ თან გაჰყვება სპეციალური ტექნიკური კომისია, რომელსაც მინდობილი არჩევნები აქვს სხვადასხვა ფირმების მანქანათა ღირსების და ვარგისიანობის შემოწმება.

გადარბენაში მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო უწყების მოტოციკლეტებიც.

საარჩევნო დემონსტრაციები თბილისში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების დემონსტრაცია

საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით გუშინ, ნაშუადღევს სამ საათზე გაიმართა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების დემონსტრაცია. მუშა-მოსამსახურენი დროშებით და საარჩევნო ლოზუნგებით მწყობრად მიდიოდნენ ელბაქიძის აღმართზე ყოფილი ზემელის აფთიაქის მიმართულებით, აქ დანიშნულია შესაკრები ადგილი. სრულ ოთხ საათზე დემონსტრაცია დაიძრა ადგილიდან და რუსთაველის პროსპექტით და კომინტერნის ქუჩით გაემართა თბილისის საბჭოს შენობისაკენ.

საბჭოს შენობის წინ, ამხ. ფ. ბოლქვაძის მეთაურობით დემონსტრაციას შეეგებენ თბილისის საბჭოს წევრები.

აქვე გაიმართა მგრძნობი მიტინგი რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ჭიაბრიშვილი (კოოპერაცია), ნიჟარაძე (მილიცია), ვარდოიანი და ამხ. სავა ორჯონიკიძე (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირი).

ორატორები საბჭოს მომავალი შემადგენლობას მოუწოდებდნენ, რათა სასტიკი ბრძოლა აწარმოონ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, შეიმუშაონ სავაჭრო ქსელის ახალი გეგმა და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ განაპირა უბნებს, გააძლიერონ კეთილმოწყობილობათა მშენებლობა და მთელი ენერგია მოახმარონ მშრომელთა კეთილდღეობას და მათი კულტურული დონის ამაღლებას.

თავის მხრივ დემონსტრანტები ფიცს სდებენ, რომ ისინი ამოუდგებიან გვერდში საბჭოს და მთელი ძალ-ღონით დაეხმარებიან მას ამ მძიმე მშენებლობაში.

პროლეტარული სტუდენტების დემონსტრაცია

გუშინ საღამოს გაიმართა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროლეტარული სტუდენტების საარჩევნო დემონსტრაცია.

საღამოს 6 საათზე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობასთან თავი მოიყარა ინსტიტუტის პროლეტარულმა სტუდენტობამ. 6 საათზე და 30 წუთზე სტუდენტების დემონსტრაცია მწყობრად დროშებით და პლაკატებით დაიძრა ადგილიდან და კირკის ქუჩით ელბაქიძის აღმართით და რუსთაველის პროსპექტით გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ.

თავისუფლების მოედანზე გაიმართა მიტინგი, სტუდენტების სახელით ილაპარაკეს ამხ. ნოე ლეჟავამ, და ს. ჩანკვეტაძემ რომლებმაც აღნიშნეს რომ მომავალმა საბჭომ სხვა მთელ რიგ ამოცანებთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს პროლეტარული სტუდენტობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს სტიპენდიების რაოდენობის გასადიდებლად, საბჭოს სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ ამხ. შ. ბოლქვაძე და შ. ავაქოვი; მათ აღნიშნეს რომ სოციალისტური აღმშენებლობა მოითხოვს სპეციალისტების ახალ კადრებს, რომლებიც მომზადებული უნდა იყვნენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მიერ. თბილისის საბჭო—ისევე როგორც საბჭოთა ხელისუფლება მთლიანად დიდ ყურადღებას აქცევდა და მომავალში კიდევ მეტ ყურადღებას მიაქცევს სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამასთანავე თბილისის საბჭო გამოხატავს ღრმა რწმენას რომ პროლეტარული სტუდენტობა გაამართლებს იმ იმედებს რომელსაც ამყარებს მათზე საბჭოთა ხელისუფლება.

სანგარიშო კამპანიის შედეგები

ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრაში სანგარიშო კამპანია დამთავრდა, 30 იანვარს მოწვეულია თემებზე მიმაგრებულ ამხანაგების და სოფლის პარტ-მუშაკების თათბირი სანგარიშო კამპანიის საბოლოო შედეგების შესამოწმებლად.

სანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება დაახლოვებით 50-დან 60 პროც. უდრიდა. აქედან ქალთა დასწრება აღწევდა 30-დან 40 პროცენტამდე, ხოლო მამაკაცების 60-დან 70 პროცენტამდე.

თემსაბჭოების სანგარიშო მოხსენებების ირგვლივ ამომრჩევლები აქტიურად გამოდიოდნენ და შემოჰქონდათ მრავალი შეკითხვები, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივი რაიონის ყოფა-ცხოვრებას. შეკითხვები უმთავრესად ეხებოდნენ კოოპერაციას, სასკოლო აღმშენებლობას, წყლით სარგებლობას, მორწყვის საკითხს, საგზაო მშენებლობას, მიწადმოწყობას, პურის ნაკლებობას, კულაკების მიერ ღარიბი გლეხობიდან მიწების მითვისებას, ქალების ცემას, მრავალცოლიანობას, სოფლად გაზეთების თავის დროზე მიუწოდებლობას და სხვ.

მიმდინარე კამპანიაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ღარიბი გლეხობა, მოჯამაგირეები და უმთავრესად ქალები. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა, ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც აღნიშნულ იქნა სანგარიშო კრებებზე ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების მიერ.

კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ, ბორჩალოს მაზრაში სანგარიშო კამპანიის დროს ადგილი ჰქონდა კულაკების მიერ ანტისაბჭოთა გამოსვლის ფაქტებს, რომლის მიზანი იყო საბჭოების სანგარიშო კამპანიის მსვლელობისათვის ხელის შეშლა, მაგალითად, სოფ. კალიმშაში, (დურმალინის თემი), კულაკები: ილია ლომიძარაშვილი, ივანე დევზანაშვილი, კოლა დევზანაშვილი, ლეონ ცხელაშვილი (საბჭოს წევრი) და ევა გაზარიანი ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის ავრცელებდნენ ჭორებს და ეუბნებოდნენ მათ: „ყველა საშუალო გლეხებს მალე ჩარიცხავენ კულაკებად და ტყუილად უჯერით თქვენ იმას, რასაც გეუბნებიანო". ხსენებული კულაკები აგიტაციას ეწეოდნენ აგრეთვე კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

გეურახის თემში სოფ. ხაზირ-კენდის მცხოვრებლებმა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო ხმის უფლება, სცემეს ერთ-ერთ მოჯამაგირის ცოლს, იმიტომ რომ მისი ქმარი ითვლება საარჩევნო კომისიის წევრად. ამის გამო ეს კულაკები დააპატიმრეს.

სოფ. აზიზკენდში კულაკები აგიტაციას ეწეოდნენ ორ მოჯამაგირეთა შორის და ეუბნებოდნენ მათ, რომ ყველა საფონდო მიწები გადაცემული აქვთ კულაკებს. ამ აგიტაციის მიზანი იყო მოჯამაგირეების კულაკების მხარეზე გადაბირება. ამ ჭორების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მათი სიტყვები სავსებით სიცრუეზე იყო აგებული.

სოფელ ნეუმანდინში კომკავშირის უჯრედი მოექცა კულაკების გავლენის ქვეშ და კულაკების შვილებს ხაჯი მახმუდს და გარაბალლი მამედოვს მისცეს მოწმობები, თითქოს ისინი იყვნენ ღარიბთა შვილები.

სანგარიშო კამპანიის დროს გეურახის თემის ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდა ღარიბი გლეხი და აღნიშნა, რომ თითქმის 120 დესეტინა საფონდო მიწა იმყოფება კულაკების ხელში, რომლებმაც ძალათ მიითვისეს ეს მიწები, ხოლო თემაღმასკომის თავმჯდომარემ კარა გუსეინოვმაც მიიზიდა თავისთვის ნაჭერი მიწა

იმავე თემში ცხოვრობს ცნობილი კულაკი კატან-საგან-ოღლი, რომელსაც ამას წინედ სამაღმასკომის და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ინიციატივით აღმოუჩინეს 200 დესეტინა მიწა, რომელიც იმყოფებოდა მის განკარგულებაში, თვითონ ხსენებული კულაკი იყო თემაღმასკომის თავმჯდომარის გარა-გუსეინის მეგობარი. მიწების ყველა მომთვისებლები მიცემულნი არიან პასუხისგებაში და მალე მოხდება მათი საჯარო გასამართლება.

კულაკების ძლიერი შემოტევის გამო სარვანის თემში საბჭოს წევრი სოფელ ბელლიარიდან იძულებული გახდა განჯაში გამომგზავრებულიყო, ხოლო რამდენიმე ღარიბი გლეხები გადავიდნენ სხვა სოფლებში, კულაკები ისა-ალი და გუსეინ-ამირასლან-ოღლი ხანჯლით დაემუქრნენ საარჩევნო კომისიის წევრს, იმის გამო, რომ მან ხსენებულ კულაკებს ჩამოართვა საარჩევნო ხმის უფლება. ამ დამუქრებისათვის კულაკები დაპატიმრებულ იქნენ. მათი გასამართლება მოხდება საჯაროდ.

სოფ. კიზილ-გაჯლში საარჩევნო კამპანიის მსვლელობას ხელს უშლიდნენ კულაკები: მამედ-ხალილ-ოღლი, გუსეინ-ალი, გაბდუ-ოღლი, გუსეინ ასკერ-ოღლი, გერობ ალაპკერ-ოღლი, ტაგდა-გასან-ფაშა ოღლი და ცნობილი მემამულე მურსა გულიევი, რომლებიც აწარმოებდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას სანგარიშო კამპანიის აქტიური მუშაკის—სამკითხველოს გამგის წინააღმდეგ.

კოვშინის თემში სანგარიშო კამპანიის დროს თურქ-ქალებმა მოიხსნეს ჩადრი.

მთელ მაზრაში საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა რაოდენობა აღწევს 7-დან 8 პროცენტამდე, ნაცვლად გასული წლის 4 პროცენტისა.

მაზრის მასშტაბით შავ სიაში მოხვედრილთა შორის აღმოჩნდა 40 კომკავშირელი, 2 პარტიული და 10 საბჭოთა მოსამსახურე.

მაზრიდან თემებზე მივლინებული და თბილისიდან გაგზავნილი ამხანაგები ენერგიულად მუშაობდნენ და საგრძნობი დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სანგარიშო კამპანიის დროს. ადგილობრივი ამხანაგები მოითხოვდნენ, რომ ის მუშები, რომლებიც ჩამოვიდნენ სანგარიშო კამპანიის დროს თბილისიდან, კვლავ იქნან გაგზავნილნი არჩევნების ჩატარების დროსაც.

დიდი აქტივობა გამოიჩინა მოსამზადებელ და სანგარიშო კამპანიის დროს მასწავლებლობამ. ზოგიერთ დიდ თემებში, როგორც მაგალითად სარვანის და შაუმიანის თემები, სოფლის მასწავლებლობა და თბ. პედ. ტექნიკუმის მოწაფეთა მიერ თემაღმასკომის მთელი ანგარიში დიაგრამებით, ადრევე იქნა გამოკრული სოფლებში თვალსაჩინო ადგილებზე

თითქმის ყველა თემის ცენტრში და დიდ სოფლებში თბ. პედ. ტექნიკუმის მოწაფეთა და ადგილობრივი მასწავლებლობის დახმარებით დაიდგა გლეხობისათვის წარმოდგენები და კინო. მაზრაში 4 მოძრავი კინოა, რომლებიც სანგარიშო კამპანიის დროს ემსახურებოდა გლეხობას.

ყველა კედლის გაზეთებში იბეჭდებოდა საკითხები საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობაზე.

სარვანის თემის გლეხთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება 3 მეჩეთის, რომლებიც სოფლად დიდიხანს ცარიელი იყო, თემსაბჭოს განკარგულებაში გადაცემის შესახებ, რათა თემსაბჭომ ისინი შეაკეთოს და გამოიყენოს სკოლებად და კულტურის სახლებად. ამ დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრა ცნობილმა მოლამ გაჯი-ახუნდმა. ის ეწეოდა აგიტაციას და აცხადებდა: მე ისეთ ლოცვას გავაჩაღებ, რომლის ძალით მთელი სოფელი კიროკულმა გადმოტრიალდებაო. მაგრამ გლეხობა არ აყვა მის ფუჭს ხმას, სამწუხაროდ ამ ავანტიურისტის შვილი სწავლობს ბაქოში, ჩვენს საბჭოთა სკოლაში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მაზრაში, საბჭოთა გადარჩევებთან დაკავშირებით დიდი გამოცოცხლება ეტყობა ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირის და პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული მოსამზადებელი და სანგარიშო კამპანიის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები და კიდევ უფრო შეკავშირებულად შევხვდეთ ახალ საბჭოების არჩევნებს.

ი. ტაგიევი.

საბჭოთა არჩევნები ახმეტის თემში

(კახეთის მაზრა)

სამაზრო საარჩევნო კომისიის დადგენილებით, კახეთის მაზრის იმ თემში, სადაც მცხოვრებნი მთა-გორიან ადგილებში არიან დასახლებულნი, საბჭოს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 20 იანვრიდან. ამით ჩვენ ერთის მხრივ გავზრდიდით ამომრჩეველთა აქტივობას და მეორე მხრივ კი კახეთის მაზრა, როგორც თავისი ტერიტორიით დიდ მაზრას წარმოადგენს, მოშორებულ თემებში საბჭოების არჩევნები წინასწარ ჩატარდებოდა

ამრიგად კახეთის მაზრის საარჩევნო კომისია შეუდგა ასეთ თემებში არჩევნების ჩატარებას. 20 იანვარს ჩატარებულ იქნა არჩევნები ახმეტის თემში—არჩეულია სულ 71 დეპუტატი, აქედან 10 ქალი, რაც შეადგენს 14,1 პროცენტს, ეროვნებით ქართველები 57, ოსები—9, სომხები—5, სოც. მდგომარეობით გლეხები 58, მოსამსახურეები—3, დანარჩენები (ე. ი. ისინი, რომლებიც მოსამსახურეებათ ითვლებიან, მაგრამ აქვთ ამავე დროს ცოტა მეურნეობა) 10, კომუნისტი—18, კომკავშირელი—9, უპარტიო 44. არჩეულია 24 კანდიდატი, სარევიზიო კომისიის 3 წევრი და ორი მისი კანდიდატი. საარჩევნო კრებაზე ამომრჩეველთა 61,2 პროც. დაესწრო.

ქრ. კოხტაშვილი.

ახალგაზრდობის დემონსტრაცია ზესტაფონში

24 იანვარს, კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით, საბჭოთა მიმდინარე გადარჩევებთან დაკავშირებით ზესტაფონში მოეწყო კომკავშირელ და უპარტიო მუშურ-გლეხ. ახალგაზრდობის მასიური დემონსტრაცია.

დემონსტრაციის მონაწილენი პირველად შეიკრიბნენ ტექნიკუმის შენობის წინ, სადაც მათ შემოუერთდა საქარის და კლდეეთის თემების გლეხური ახალგაზრდობა. ამის შემდეგ დემონსტრაცია სასულე ორკესტრით გაემართა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებისაკენ. დემონსტრაციის მსვლელობას ამშვენებდა აურაცხელი დროშები და პლაკატები, რომელზედაც წარწერილი იყო ლოზუნგები. გარდა ამისა ყოველ წუთს გაისმოდა ახალგაზრდობის აღფრთოვანებული ყიჟინა: „ძირს ვაჭრები—კულაკები—ნეპმანები"—„გაუმარჯოს საბჭოებს", რომელსაც ვაშას ძახილით უპასუხებდა მთელი დემონსტრაცია; დემონსტრაციის მსვლელობამ გასტანა ორ საათს, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

საღამოს 4 საათისათვის დემონსტრაცია გაემართა რკ. გზის მუშათა კლუბისაკენ, კლუბში გაიხსნა კრება. კრებას ხსნის კომკ. მაზრკომის მდივანი ვ. შატბერაშვილი, რომელიც ახალგაზრდობას უხსნის საბჭოთა გადარჩევების ამოცანებს და ახალგაზრდობის მონაწილეობას ამ გადარჩევებში. შემდეგ მოსმენილ იქნა ახალგაზრდა, კომკავშირელ საბჭოს წევრის, ქ. კაპანაძის სანგარიშო მოხსენება, საბჭოს ორი წლის მუშაობის შესახებ.

ვარლამ ზავგაროდნი.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ

მოწვეული

მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების

საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა

და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის

რწმუნებულთა

რესპუბლიკანური თათბირი

გაიხსნება პარასკევს, 1 თებერვალს საღამოს 6 საათზე

სასახლის წითელ დარბაზში

საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

რიონჰესი

„კომუნისტი"-ს რედაქციას

ქუთაისი, 30 იანვარი. 30 იანვარს დამთავრდა ქვაბულას კლდის სამუშაოები რიონის ჰიდროელსადგურის კაშხალის მარჯვენა მხარეზე, რის შემდეგაც მოხდა ქვაბულას შემოწმება და საძირკვლის ჩაყრა. შევუდექით კაშხალის დაბეტონებას.

რიონჰესის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. შიშინაძე.

მთავარი ინჟ. მელიქ-ფაშაევი.

მთავარი ინჟინერის მოადგილე სამშენებლო ნაწილში მიქელაძე.

მასიური გიპნოზის სეანსების შესახებ*)

ორნალდოს გასტროლების გამო

მასიური გიპნოზის სეანსები, რომლებსაც უკანასკნელ დღეებში მოქ. ორნალდო მართავს თბილისის ცირკში, საკმაოდ დიდ ყურადღებას იქცევს როგორც თბილისის მოსახლეობის, ისე პრესის ერთი ნაწილის მხრივ. საჭიროა ეს მოვლენა სათანადოდ იქნას გაშუქებული ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ, კერძოდ საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის მიერ.

ინსტიტუტის ექიმთა კონფერენცია პროფ. მ. ასათიანის მეთაურობით ყოვლად დაუშვებლად ათვლის, რომ გიპნოზის ცდები, თუნდაც, როგორც მას რეკლამას უკეთებენ, მეცნიერულად მოწყობილი, რაშიაც დიდი საფუძველი გვაქვს შევიტანოთ ეჭვი, ნაჩვენები იქნას ცირკის- სანახაობის პირობებში ისეთი პირის მიერ, რომელსაც დამოკიდებულება არ აქვს მედიცინასთან და რომლის თეორეტიული ცოდნა ამ დარგში მეტად მცირეა.

გიპნოზის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ექიმს. მაგრამ რომელ ექიმს? ამაზე ჩვენ პასუხს გვაძლევს საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის 1927 წლ. 30 ოქტომბრის ცირკულიარი (№ 00004—23) და საბჭოთა კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ამავე წლის 27 ოქტომბრის ცირკულიარი (№ 215), მოგვყავს ამ ცირკულიარის მოკლე შინაარსი: 1) საექიმო მიზნით გიპნოზის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ ექიმებს სახელმწიფო საექიმო-სამეცნიერო დაწესებულებებში, 2) კერძო საექიმო დაწესებულებებში გიპნოზის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით, 3) გიპნოზის გამოყენების უფლება, და ისიც, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით, ეძლევათ სპეციალისტ ექიმებს ნევროპათოლოგებს და ფსიქიატრებს, რომელთაც აქვთ სტაჟი არა ნაკლებ ხუთი წლისა, 4) გიპნოზის სეანსებს ექიმის ბინაზე აუცილებლად უნდა დაესწროს კიდევ მეორე ექიმი.

საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ 1927 წლის 6 აგვისტოს თარიღით გამოცემული კანონის („მედიცინის მუშაკთა უფლებათა და მოვალეობათა შესახებ"), მე-16 მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: „ექიმებს ნება აქვთ გიპნოზი გამოიყენონ მხოლოდ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად". საქართველოს ჯანსახკომის ინსტრუქციის შინაარსი ისეთივეა, როგორიცაა რუსეთის ს. ფ. ს. რ. ჯანსახკომის ინსტრუქციის დებულებანი.

ისმება კითხვა: რისთვისაა საჭირო ასეთი მკაცრი შემზღუდავი ზომები გიპნოზის გამოყენების საქმეში ექიმებისათვისაც კი?

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, გიპნოტიურ ძილში სუბიექტი ვარდება ისეთ მდგომარეობაში, როცა ადვილად შეიძლება მისთვის სხვადასხვა მოქმედების შთაგონება, მისი დამორჩილება, რადგან გიპნოზის ქვეშ მყოფი სუბიექტის ნებისყოფის მოქმედების ფსიქიური აქტივობა ნელდება, ამიტომ შედარებით ადვილად შეიძლება შეასრულებინონ შთაგონებული დავალება. ეს მომენტი ყველაზე უფრო სახიფათოა, ერთის მხრით, მოსალოდნელია ის, რომ თუ სწორად არ იქნება ავადმყოფობისათვის, გიპნოზი არამც თუ განკურნავს სუბიექტს ავადმყოფობისაგან, არამედ გაუარესებს ამ ავადმყოფობას; მეორეს მხრით, შესაძლოა, რომ ეს მომენტი გამოყენებულ იქნას კანონის საწინააღმდეგო შთაგონებისათვის, უმთავრესად ქონებრივი და სექსუალური (სქესობრივი) ხასიათის შთაგონებისათვის. პედაგოგიურ პრაქტიკაში გიპნოზი სავსებით მიუღებელია, რამდენადაც ჩვენ ყოველგვარი ზომებით ვცდილობთ მოზარდი თაობა აღვზარდოთ ისე, რომ იგი იყოს მტკიცე, შეუპოვარი და აქტიური, შთაგონება კი, პირიქით, ასუსტებს პიროვნებას და პასიურად ხდის მას.

დაუბრუნდეთ ისევ მოქ. ორნალდოს სეანსებს:

24 იანვარს მოქ. ორნალდო საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში გამოვიდა ახსნა-განმარტების მისაცემად. მან იქ წარმოუდგინა აურიცხველი მოწმობები, რომლებიც დადებითად ახასიათებენ და აფასებენ როგორც მას, ისე მის მოქმედებას, მოწმობები მართლაც კარგია, მაგრამ ვის მიერ არის გაცემული ისინი და როგორია მათი შინაარსი! მოწმობებს უმეტეს შემთხვევაში მიცემულია კლუბების გამგეებს, ჯარის ნაწილების, ცალკე ექიმების და ნაკლები ავტორიტეტის მქონე საავადმყოფოების და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების მიერ. ერთ-ერთ მოწმობაში ასეთი ფრაზაც კი არის: „ორნალდო მკურნავს ისეთ ავადმყოფობას, რომლის წინაშე მედიცინა უძლურია"-ო, რომელ ავადმყოფობას არჩენს იგი?—ნარკომანიას, თამბაქოს წევას, ალკოჰოლიზმს! როცა ამ აურიცხველ მოწმობების დასტას ვუყურებთ, იძულებულნი ვართ გაოცება და მწუხარება გამოვსთქვათ იმის გამო, რომ ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებანი ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ დიდ მოვალეობას.

როცა მოქ. ორნალდოს შევეკითხეთ: რა არის გიპნოზი, როგორია მისი ფიზიოლოგიური რაობა, მან ამის საპასუხოდ მხოლოდ ის განაცხადა, რომ „გიპნოზი არის შეფერხება"-ო (ТОРМОЖЕНИЕ). რა არის ეს შეფერხება, რა ფერხდება, როგორ ფერხდება, რატომ ფერხდება?—ყოველივე ეს გამოურკვეველი დარჩა. შემდეგ კითხვაზე: რომელი შემთხვევებში შეიძლება გიპნოზის გამოყენება და რომელ შემთხვევებში არა, ორნალდომ უპასუხა: „გიპნოზის გამოყენება არ შეიძლება გულის ტკივილის, ეპილეფსიის და ისტერიის დროს". როცა მოქ. ორნალდოს ჰკითხეს: შეუძლია თუ არა მას დაუსვას დიაგნოზი ამ ავადმყოფობებს, მან თამამად განაცხადა: „მე ისეთი გამოცდილება და ცოდნა მაქვს, რომ საკმაოა შევხედო ადამიანს და მაშინვე მივხვდები, თუ რით არის ავად იგი"-ო. აქ კომენტარიები ზედმეტია. შემდეგ შეკითხვაზე: როგორი ავადმყოფობები შეუძლია მას მოარჩინოს გიპნოზით, ორნალდომ უპასუხა, რომ იგი „არჩენს შიშს, ალკოჰოლიზმს, ფსიქოსტენიას, შეუძლია კაცი გადააჩვიოს თამბაქოს წევას და რაც უმთავრესია, შეუძლია მოარჩინოს შიში წყალის წინაშე (ВОДОБОЯЗНЬ). ასეთი პასუხის შემდეგ მასთან საუბრის გაგრძელება დროის დაკარგვა იქნებოდა. რამდენიმე სიტყვა სეანსების შესახებ.

მე დავესწარი მოქ. ორნალდოს სეანსებს 26 იანვარს, ლექცია მეტად პრიმიტიული იყო. გიპნოტიურ ძილს თურმე „სხვისი ენერგიის ზემოქმედება იწვევს", გიპნოზის დროს „სრულებით არ ირღვევა გონებრივი მოქმედება, გიპნოზით არჩენენ იპოხონდრიას და მელანქოლიას". (რაიც სრული შეუსაბამობაა)! და სხვა.

გიპნოტიური სეანსი სრულებით შეუფერებელ პირობებში და ატმოსფერაში მიმდინარეობს, აძინებენ და ცირკის არენაზე უმეტეს შემთხვევაში გამოჰყავთ ახალგაზრდები 14-დან 25 წლამდე. როცა მე დავესწარი სეანსს, 13—14 წლის ბავში ჩავარდა არაცნობიერ მდგომარეობაში, რასაც თან სდევდა დეზორიენტაცია და მხოლოდ მეტად ენერგიული შთაგონებით დაუბრუნეს მას ცნობიერება, ეს მეტად დიდი ფსიქიური დაშავებაა მიყენებული მოზარდისათვის.

მეტად იუმორისტულ განწყობილებას იწვევს დამსწრე ხალხში გალიუცინაციების შთაგონების ცდები და არავინ იცის: ვინ უფრო მეტად ამხიარულებს დამსწრე საზოგადოებას—კლოუნი თუ გიპნოზის პოპულიარიზატორი? სამეცნიერო-საჩვენებელი ცდების სეანსები თავდება ყვირილით: „იშკილია"!

მაგრამ ყოველივე ეს ასე უბრალოდ არ თავდება, რამდენი ნევროპატი, ფსიქო-ნევროტიკი და სხვ., რომლებიც უყურებენ ამ სეანსებს, დაბრუნდება სახლში აკვიატებული იდეებით, რამდენ ლატენტურ ადამიანს, რომელთა სულიერი დაავადების ფორმა ჯერ კიდევ გამორკვეული არაა, მოსვენებას არ მისცემს გიპნოზური ზეგავლენის მოჩვენება? რამდენი წამბაძველი გიპნოტიზიორი გამოვა ამ სეანსების შემდეგ ცირკიდან და რამდენ ზიანს მოიტანენ ისინი? გიპნოზის ტექნიკა ხომ არც ისე რთულია!

ყოვლად დაუშვებელია გიპნოზის პოპულიარიზაცია ამგვარი საშუალებით, ამიტომ ამ სეანსების გაგრძელება შეუწყნარებელია. საჯარო გიპნოზის სეანსები ერთხელ და სამუდამოდ უნდა აიკრძალოს, როგორც ამას მოითხოვს კანონი.

ექიმი-ფსიქიატრი გ. შენგელაია.

---

*) უკანასკნელ ხანებში თბილისის ცირკში მოქ. ორნალდო ახდენს მასიურ გიპნოზის ცდებს, რამაც მოსახლეობაში დიდი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ორნალდოს ექსპერიმენტებმა გამოხმაურება ჰპოვა თბილისის ზოგიერთ გაზეთებშიაც. იმისათვის, რომ საკითხი გარკვეულ იქნეს მკითხველი მასებისათვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თხოვნის თანახმად, ჩვენ ვათავსებთ ექ. შენგელაიას წერილს. რედ.

სრულიად საქართვ. აგიტპროპთათბირი

ამხ. ს. მამულიას საბოლოო სიტყვა

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურულ მშენებლობის საკითხების გარჩევამ, კამათმა მოგვცა მდიდარი მასალა, რომელსაც ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ მომავალში ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში.

სახელგამი ჩვენს ხელშია, მაგრამ მისი მანქანა ნელა ბრუნავს უნდა მივიღოთ ზომები, რომ მან უფრო ჩქარა და დროზე შეასრულოს დავალებანი.

ამხანაგები ადგილებიდან ჩვენს გაკრიტიკებაში ზოგიერთ სიძუნწეს იჩენდნენ. ჩვენს მუშაობაში მეტია გასაკრიტიკებელი, ვინემ ამას აქ ადგილი ჰქონდა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ადგილებთან ცოცხალი კავშირის დაჭერა, ადგილების გამოცდილებათა აღრიცხვა, ინსტრუქტაჟის საქმის მოგვარება და სხვა.

ეს, უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენი აპარატი ჯერ კიდევ სუსტია, მიღებულია ზომები და არის ნიშნებიც და იმედებიც, რომ ის იქნება გაძლიერებული.

ამხ. მარიამ ორახელაშვილმა გვისაყვედურა, რომ თათბირზე ჩვენ არ დავსვით რომელიმე საკითხი სახალხო განათლების დარგიდან. ჩემს თეზისებში მთელი თავი აქვს დათმობილი სახალხო განათლების საკითხებს. ამ მოკლე ხანში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) კომიტეტთან თათბირი, სადაც იქნება განხილული სახალხო განათლების ყველა ძირითადი საკითხები. ამ საკითხებს ჩვენ ვიხილავთ აქაც, ჩვენი პარტიის ცეკაში. საჭიროა ეს საკითხები თქვენ განიხილოთ ადგილებზე იმ მითითებათა თანახმად რომელიც ჩვენ ამას წინათ მოგეცით.

ადგილობრივი მუშაობის ზოგი ერთი ნაკლი

ამის შემდეგ ნება მომეცით მეც გისაყვედუროთ თქვენ ზოგიერთი რამ. თქვენ ხშირად დროზე არ ასრულებთ ჩვენს დავალებებს. ძალზე აგვიანებთ ამხანაგების გადარჩევას სხვადასხვა სასწავლებლებში გასაგზავნათ, ან და გვიგზავნით ისეთ ამხანაგებს, რომელნიც არ აკმაყოფილებენ მიღების პირობებს, რაც ჩვენ მუშაობაში გვიშლის ხელს. ჩვენ გვინდოდა გაგვეგო მოწაფეების სოციალური შემადგენლობა, რათა უფრო მტკიცედ გაგვეტარებინა პარტიული ხაზი მოწაფეთა სკოლებში მიღების დროს. მხოლოდ 6 მაზრამ მისცა ამის შესახებ განათლების კომისარიატს ცნობები; დანარჩენი მაზრები კი სდუმან, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ეს პარტიული ხაზითაც მოვაგონეთ ადგილებს.

თათბირის მოწვევის წინ ჩვენ რამდენჯერმე მოუწოდეთ ამხანაგებს მიეღოთ ფართო მონაწილეობა თათბირზე დასმულ საკითხების განხილვაში პრესის საშუალებით. ჩვენს მოწოდებას ადგილები არ გამოეხმაურნენ. ახლა ჩვენ ვიხილავთ სახალხო განათლების ყველა ძირითად საკითხებს. მოუწოდეთ ამხანაგებს მიიღონ მონაწილეობა ამ საკითხების განხილვაში. ჯერ-ჯერობით ადგილები სდუმან, თითქოს ეს საკითხები მათ არც კი ეხებოდეს. მე ჩემის რეპლიკა დროის უქონლობაზე, თავის მართლების ეს მეთოდი არ ვარგა. თუ ეს მეთოდი ჩვენ მივიღეთ, ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი გავამართლოთ და ყველაფერში თავი გავიმართლოთ. ობიექტიური პირობების მომიზეზება, როცა ჩვენ ვერ ვასრულებთ ამა თუ იმ პარტიულ დავალებას, ესაა ერთნაირი გადახრაა პარტიის ხაზიდან.

თქვენც ნაკლებად ცდილობთ ჩვენთან კავშირი დაიჭიროთ, რაც, რასაკვირველია, არ ვარგა ჩვენი საერთო საქმისათვის.

ცოტა რამ მეც უნდა უსაყვედურო კომკავშირს. კომკავშირს ძალიან ეხერხება სხვების გაკრიტიკება. ეს კარგია; ჩვენც ხელს უწყობთ კომკავშირის კრიტიკას, რადგანაც ის მედგარია და ხშირად მიზანსაც აღწევს. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა კომკავშირი იმ სამუშაოს, რომელიც მას ეხება, ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მაგ.: სუსტია კომკავშირის მონაწილეობა სასწავლებლებში მიმღებ კომისიებში, სახელგამის სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში და სხვ. შემდეგ, როცა საქმე გაკეთდება არა ისე, როგორც ეს საჭიროა, საყვედურს გვეუბნებიან ჩვენ. ეს ასე არ ვარგა. საჭიროა მეტი აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა შრ. სამუშაოში. ასეთ პირობებში შეცდომებსაც ნაკლები ადგილი ექნება

აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებათა ამოცანები

მართალი იყვნენ ზოგიერთი ამხანაგები, რომელნიც ამბობდენ აქ, რომ ადგილებზე აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებანი ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ სახალხო განათლების მთავარ საკითხებს.

არ კმარა მარტო ის, რომ ისინი ერევიან მასწავლებელთა დანიშვნა-დათხოვნის და ტექნიკუმებსა და ცხრაწლედებში მოწაფეთა მიღების საკითხებში. საჭიროა ჩვენმა აგიტპროპებმა ადგილებზე სერიოზულად მოჰკიდონ ხელი სახალხო განათლების მთავარ საკითხებს, როგორიცაა: სახალხო განათლების სისტემის, პროგრამების, სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოების საკითხები და სხვ. მაგ., რომელმა ადგილობრივმა აგიტპროპმა დასვა სახალხო განათლების სისტემის პროგრამების, სასწავლო გეგმების საკითხები, რომელმა აგიტპროპმა დასვა სერიოზულად საკითხი იმის შესახებ, თუ როგორაა დაყენებული სკოლებში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმე, თუ როგორ მუშაობენ მოწაფეთა თვითმართველობანი მშობელთა წრეები და სხ., თუ რა მდგომარეობაშია გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, როგორია მათი მატერიალური ბაზა, ხომ არ მოგვაგონებენ ისინი ბევრ ალაგას იმავე 7 წლედებს, რომელთაც გამოუცვალეს სახელი მაგრამ შინაარსი იგივე დარჩა და სხვ.?! ეს სამუშაო უნდა გახდეს ჩვენი აგიტპროპების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარ შემადგენელ ნაწილად.

პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობის საკითხი

ამ საკითხს ამხანაგები მეტად მწვავეთ აყენებდნენ. მართლაც, პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობის საკითხი ჩვენი სახალხო განათლების ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია. გარეშე მასწავლებლებისა ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი სკოლის გარდაქმნას ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი სოციალისტური ზრდის ინტერესები. კარგია და მოსაწონია რომ ეს საკითხი აინტერესებს ადგილებს. მაგრამ აქ პარტიის ხაზის არავითარ გადამახინჯებას ადგილი არ უნდა ექნეს არც ადგილების, არც განათლების ორგანოების და არც პროფკავშირების მხრივ. ამ საკითხში ჩვენი ხაზი ასეთია:

ის მასწავლებლები, რომლებიც მტკიცეთ დგანან საბჭოთა პლატფორმაზე და რომელნიც გულწრფელად ემსახურებიან პროლეტარიატის დიქტატურას, უნდა ჩავაბათ აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში და საზოგადოებრივ მუშაობაში;

ის მასწავლებელნი რომელნიც იძლევიან იმედს, რომ გამოდგებიან სოციალისტურ მშენებლობისა და საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობისათვის, უნდა დავიახლოვოთ; მათ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ, რომ ისინი აქტიურად ჩაებან ჩვენს სოციალისტურ საქმიანობაში;

ის მასწავლებელნი რომელნიც შეეზარდნენ ძველ სკოლას, რომელთა ბუნებისათვის უცხოა კომუნიზმი, უნდა ჩამოვაშოროთ სკოლას; ისინი უნდა შევცვალოთ ახალი მასწავლებლებით კომპარტიის, კომკავშირის, მუშების და გლეხების რიგებიდან.

აქ უნდა მიუთითოთ ორგვარ შეცდომაზე. ზოგან ერთნაირად უდგებიან მასწავლებლობას; ვერ არჩევენ მისაღებ მასწავლებელს მიუღებელ მასწავლებლისაგან და მიუღებელ მასწავლებელთან ერთად მისაღებ მასწავლებელსაც ითხოვენ ადგილიდან.

ზოგჯერ ცენტრში ზოგიერთი ამხანაგები განათლების კომისარიატიდან და უფრო ხშირად პროფკავშირიდან იცავენ ისეთ მასწავლებლებს რომელთა დატოვება არ შეიძლება ახალი სკოლის თვალსაზრისით; ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ სოციალისტური მშენებლობის ინტერესები რევოლუციის ის უმაღლესი კანონია რომელსაც უნდა დაუმორჩილოთ ყველა სხვა კანონები.

ამიერიდან გადაჭრით უნდა იქნეს აღკვეთილი არა სწორი მიდგომა მასწავლებლობისადმი, ადგილზედ იქნება ამას ადგილი, თუ ცენტრში.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მასწავლებლებზე, უნდა დავაყენოთ საკითხი მათ გადამზადების და ახალი კადრების მომზადების შესახებ. არ კმარა მარტო ის, რომ ჩვენ მასწავლებელთა ახალ კადრებს ვამზადებთ პედაგოგიურ ტექნიკუმებსა და უნივერსიტეტში, საჭიროა ვაწარმოოთ მასწავლებელთა სისტემატიური გადამზადება პედაგოგიკის ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით და ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

წიგნი, პარტსკოლა, კინო და რადიო

უდავო ფაქტია წიგნის, განსაკუთრებით სახელმძღვანელოების სიძვირე. წიგნის ფასის საკითხი ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია მუშის და გლეხის ბიუჯეტში მას საპატიო ადგილი უკავია. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პრეზიდიუმმა უკვე მიიღო დადგენილება წიგნებზე, განსაკუთრებით, სახელმძღვანელოებზე, ფასების დაკლების შესახებ. ჩვენ მოვალეობას შეადგენს ამ დადგენილების რეალიზაცია.

ამხ. ჯანჯღავამ ქუთაისიდან სწორად დასვა აქ საკითხი პარტსკოლების შესახებ. საჭიროა მათი გადასინჯვა-რეორგანიზაცია. ჩემის ფიქრით, ჩვენ უნდა დავტოვოთ აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის 1 საფეხურის პარტსკოლები და ცენტრალური პარტიული სკოლა და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობის თვისებას და მსმენელთა პარტიულ და სოციალურ შემადგენლობას, რაც შეეხება ქუთაისის პარტსკოლას, მისი დახურვა შეიძლება, უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ განთავისუფლებულ თანხას ჩვენ მოვახმართ ძირითად მუშაკთა ადგილებზე (საოლქო-სამაზრო ცენტრებში) მომზადებას.

ამხ. ორაგველიძემ ოზურგეთიდან აქ წამოაყენა საკითხი ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებისათვის თავისი საკუთარი ჟურნალის შესახებ. მე მგონია, რომ ეს საკითხი არამც თუ დროულია, არამედ დაგვიანებულიცაა. საკუთარი ჟურნალის უქონლობა აფერხებს ჩვენს მუშაობას, რადგან ჩვენი საკითხების გაშუქება სხვა ორგანოებში შეუძლებელია.

აქ მთელ რიგ ამხანაგებმა წამოაყენეს საკითხი სახკინმრეწვის პოლიტიკის შესახებ სურათების გაქირავების საქმეში. მართალი არიან ამხანაგები, როდესაც ლაპარაკობენ სურათების სიძვირეზე, სიძველეზე და უვარგისობაზე, რომელიც მათ ეგზავნებათ. საჭიროა პარტიამ გააგებინოს სახკინმრეწვს, რომ ის არამც თუ მარტო სამეურნეო და კომერციული ორგანიზაციაა, არამედ ის ორგანოა, რომელსაც დაკისრებული აქვს დიდი როლის შესრულება კულტურულ რევოლუციის ფრონტზე.

მთელი რიგი ამხანაგებისა რომელნიც აქ გამოვიდნენ, ლაპარაკობდნენ რადიოს დუმილზე და მეტ წილად ამაში ბრალს სდებდნენ პოლიტგანათლების სამმართველოს, არ არიან ამაში ამხანაგები მთლად მართალი. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველომ გადაამზადა რადიო-ტექნიკოსები ადგილებისათვის, მაგრამ ადგილებმა ისინი ყველგან არ გამოიყენეს. ადგილებს არ შეაქვთ თავიანთ ბიუჯეტში საჭირო ხარჯები რადიო-ნაწილების შესაძენათ და სხვ.

საჭიროა ადგილებმა იკისრონ რადიოს მუშაობის ვალდებულება და შეასრულონ ყველაფერი ის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ რადიომ შეუჩერებლივ იმუშაოს.

საბჭოთა საზოგადოებრიობის საკითხი

ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა საბჭოთა საზოგადოებრიობას. სამწუხაროდ ეს საზოგადოებრიობა ძალზე სუსტია ჩვენს სამკითხველოების გარშემო. რაც შეეხება სკოლას, აქ ჩვენ საბჭოთა საზოგადოებრიობას ვერ დავემყარებით. ჩვენი მშრომელი საზოგადოება მზათაა, სკოლის საჭიროებისათვის უკანასკნელი კაპეიკიც კი გაიღოს. მხოლოდ მოსახლეობის ამ სურვილს ზღუდავს არსებული კანონი თვითდაბეგვრის შესახებ, რომლის რაოდენობაც შემოფარგლულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 50 პროც. ეს გადასახადი მთელ რიგ რაიონებსა და თემებში ისე მცირეა, რომ მისი ნახევრით ჩვენ ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ კულტურულ საჭიროებათათვის, კულტურულ ფრონტზე მომუშავეებს—ეს კანონი ვერ აკმაყოფილებს. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ეს კანონი იქნეს შეცვლილი.

უღმერთოთა საზოგადოებების შესახებ

უნდა აღინიშნოს როგორც სასიამოვნო მოვლენა ის გარემოება, რომ ადგილები სათანადოთ აფასებენ ანტირელიგიურ მუშაობის საჭიროებას. მაგრამ ამ საკითხში ჩვენ უნდა გვქონდეს სრული გარკვეულობა. ამხ. შარიას (ზუგდიდიდან) საჭიროდ მიაჩნია და ამხ. მარიამ ორახელაშვილმაც გაიზიარა ეს, რომ საჭიროა და ვაარსოთ არა „უღმერთოთა საზოგადოება", არამედ „მავნე ჩვეულებებთან და ტრადიციებთან მებრძოლი საზოგადოება".

მოტივი ასეთია—„უღმერთოს ჩვენში უწოდებენ მეტად ცუდ ადამიანს, ამიტომ ეს სახელწოდება დააშინებს მასებს და ისინი არ ჩაეწერებიან ასეთ საზოგადოებაში წევრებად. ეს აზრი, ჩემის ფიქრით, შემცდარია და სრულიად არ შეეფერება ჩვენი განვითარების დღევანდელ პერიოდს. ღმერთის სახელთან დაკავშირებულია ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა. მავნე ჩვეულებანი და ტრადიციები, ამიტომ ჩვენ სანამ ღმერთს ვერ დავამარცხებთ, ვერც ცრუმორწმუნეობას და ვერც მავნე ჩვეულებებს და ტრადიციებს მოვსპობთ. სოციალისტური რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავზე, როდესაც მუშების და გლეხების კულტურული დონე საგრძნობლად გაიზარდა, ვინც ამბობს, რომ ღმერთის წინააღმდეგ პირდაპირი შეტევა დააფრთხობს მუშებსა და გლეხებს, ის ათეული წლებით ჩამორჩენილია ცხოვრების განვითარებას.

ეს არ არის მარტო ფორმის საკითხი, როგორც ამაზე ლაპარაკობდა ამხ. მარიამ ორახელაშვილი, ეს არის შინაარსის საკითხი. მავნე ჩვეულებათა ბრძოლაში ჩვენ პირველ ყოვლისა ღმერთს უნდა გამოუცხადოთ ომი.

„უღმერთოთა საზოგადოების" ნაცვლად „მავნე ჩვეულებებთან და ტრადიციებთან მებრძოლი საზოგადოება"—ეს არის რაღაც მისავალი გზები ღმერთთან საბრძოლველად, ეს არის შიში ღმერთთან პირდაპირ ბრძოლის წინაშე, ეს არის არა აუცილებლობით გამოწვეული, დათმობა ანტირელიგიურ ფრონტზე წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებისათვის, რომელთაც ეშინიათ ყოველგვარი მედგარი იერიშების, ეს თავისებური ოპორტუნიზმია.

ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ასეთ განწყობილებას და უშიშრად პირდაპირ ომი უნდა გამოუცხადოთ ღმერთს. პირობები ამისათვის საკმაოდ მომზადებულია.

ფართო გზა კრიტიკას

ამხ. მარიამ ორახელაშვილს მიუღებლად მიაჩნია ის სათაური, რომლითაც დაიბეჭდა ამხ. აფხაძის წერილები ზოგიერთი სახელმძღვანელოების შესახებ გაზ. „კომუნისტ"-ში (№4 და 5). მას არ მოსწონს ჩემი წერილიც იმავე გაზეთში, სადაც მე შენიშვნაში ვიწონებ ამხ. აფხაძის წერილს და მოუწოდებ სხვებსაც ასეთი გამოხმაურებისაკენ.

ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომლითაც ამხ. ორახელაშვილი ასაბუთებს თავის ასეთ შეხედულებას არის ის,—თითქოს ასეთი წერილებით ჩვენ დავაფრთხობთ სახელმძღვანელოების შემდგენთ და შემდეგში არავინ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს. ჩემის ფიქრით, ამხ. ორახელაშვილი არ არის მართალი, არ არის მართალი ჯერ იმიტომ, რომ „იდეოლოგიური კონტრ-რევოლუცია" ზოგიერთ სახელმძღვანელოში არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ქვეყანაში, ან განათლების სახალხო კომისარიატში გვქონდეს კონტრ-რევოლუცია, ანდა ამ სახელმძღვანელოების შემდგენნი იყვნენ კონტრ-რევოლუციონერები; შემდეგ—იმიტომ, რომ სახელმძღვანელოს ყოველი ავტორი, თუ კი ის ნამდვილად გულწრფელად თანამშრომლობს ჩვენთან, თუ კი ის ნამდვილად გულწრფელად ემსახურება ახალ სკოლას, რომელიც მთელი თავისი შინაარსით უნდა იყოს კომუნისტური, კი არ უნდა შეუშინდეს კომუნისტურ კრიტიკას, რომლის მიზანია ჩვენი მარქსისტული კომუნისტური იდეოლოგიის სისუფთავის დაცვა, მის სადარაჯოზე დგომა, გამოსწორება მათი, ვინც უნებლიეთ შეცდომებს უშვებს და განადგურება იმათი, ვინც ნებსით ატარებს არა მარქსისტულ, არა კომუნისტურ იდეოლოგიას!

ამხ. „კაკო"-მ მოათავსა წერილები აგრეთვე განათლების მუშაკთა გაზეთში სახელმძღვანელოების შესახებ, ამხ. ორახელაშვილმა იმავე გაზეთში გასცა პასუხი „კაკო"-ს. ჩემის ფიქრით, თავის წერილში ამხ. ორახელაშვილი არ იყო მართალი არც არსებითად და არც ფორმალურად.

არსებითად იმიტომ, რომ ამხ. ორახელაშვილი ვერ უარჰყოფს ვერც ერთ დებულებას, რომელიც „კაკო"-ს აქვს წარმოდგენილი. ის გვერდს უვლის კრიტიკის საგანს და უმნიშვნელო რამეებს და ცალკე სიტყვებს ჩაჰკირკიტებს „კაკო"-ს წერილიდან.

ფორმალურად იმიტომ, რომ ძლიერ ნაადრევია ამხ. ორახელაშვილის, როგორც განათლების სახალხო კომისარის მოადგილის, გამოსვლა კრიტიკოსების წინააღმდეგ. პარტიის წინაშე სდგას სახალხო განათლების ყველა ძირითადი საკითხები. ჩვენ მოუწოდებთ ყველას, ვისაც კი აინტერესებს ეს საკითხები, გამოსთქვან თავიანთი აზრი და მიუთითონ მოურიდებლად ნაკლოვანებებზე, ეს მითითება, ეს კრიტიკა ძირიდან ჩვენ გვჭირია იმისათვის, რომ ნაკლოვანებანი გამოვასწოროთ. გაისმა პირველი კრიტიკის ხმა, და ამხ. მარიამ ორახელაშვილი თავს ესხმის კრიტიკოსს, ეს ობიექტიურად ხელს უშლის თვითკრიტიკის გაშლას, ეს ობიექტიურად თვითკრიტიკის შეზღუდვაა. რა ეჩქარებოდა ამხ. მარიამ ორახელაშვილს, როგორც განათლების კომისარიატის ერთ-ერთ პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, მით უმეტეს, რომ მას საპასუხო თითქმის არაფერი ჰქონდა? მას ჯერ უნდა მოესმინა მასების კრიტიკა, აეწონა ეს და შემდეგ გაეცა პასუხი, საქმისათვის ეს იქნებოდა უმჯობესი.

კულტმუშაკთა კადრების საკითხი

კულტურული რევოლუციის პერიოდში კულტმუშაკების კადრების საკითხი ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ჩვენი კულტმუშაკები ხშირად არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. აქ ბევრი ილაპარაკეს სამკითხველოთა გამგეებზე. მართლაც მათ ზოგან ირჩევენ ადგილობრივი უჯრედები. სამკითხველოს გამგის მოხსნა-დანიშვნის საქმე ჩვენ უნდა დავტოვოთ პოლიტგანათლების ხელში. მათი კვალიფიკაცია და ეკონომიური მდგომარეობა უნდა გავუთანასწოროთ მასწავლებლების კვალიფიკაციას და მატერიალურ მდგომარეობას. ამ თათბირზე თქვენ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ვერ ხედავთ კულტმუშაკებს პროფკავშირების და კოოპერაციის ხაზით.

რომელ თათბირზე უნდა იარონ მათ, თუ არა ასეთ თათბირებზე. ასეთი გულგრილობა ამ თათბირისადმი მთელი რიგი კულტმომუშავეთა მხრივ პროფკავშირების და კოოპერაციის ხაზით გვაძლევს ჩვენ სრულ უფლებას კატეგორიულად დავსვათ საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე მათი რიგების გადათვალიერების შესახებ.

ჩვენი კრიტიკა უნდა იყოს შეუბრალებელი

აქ მე აღვნიშნე ზოგიერთი გადახრები, რომელიც ჰქონდათ ჩვენს პროლეტარულ მწერლებს წინეთ. ამხ. მახათაძე გამოვიდა მათ დამცველად და გადახრების ახსნის ძებნა დაიწყო პროლეტმწერლების მატერიალურ მდგომარეობაში, ეს არ არის სწორი.

ძალიან ცუდია, თუ კი რომელიმე პროლეტმწერალის პოლიტიკურ განწყობილებაზე ისეთ გავლენას ახდენს მატერიალური მდგომარეობა, რომ ეს განწყობილება თითქმის ძირიანად იცვლება. გადახრის მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში, წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოცვაში, ზოგიერთ პროლეტმწერლებზე მტრული იდეოლოგიის გავლენაში, მათი კავშირის სისუსტეში მუშათა მასებთან და სხვ..

ჩემი კრიტიკა იყო არა ბოროტი და მტრული, არამედ ამხანაგური. აქ მე აღვნიშნე ისიც, რომ ზოგიერთი ჩვენი პროლეტმწერლები, ვინაიდამ მარქსისტულ მომზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, სათანადოთ ვერ აკრიტიკებენ ჩვენთვის მიუღებელი იდეოლოგიის მატარებელ მწერლებს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არ გამოვიდოდა რუსულ ენაზე ჯავახიშვილის „თეთრი საყელო".

ჩვენ გვაქვს აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების მხრივ ისეთი კრიტიკა, რომელიც არ ეთანხმება ჩვენს ხაზს მიმდინარე პერიოდში.

ასეთია, მაგ., ამხ. ვ. ბახტაძის ლიტერატურული მიმოხილვები, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტ"-ში.

ცუდია, რომ ეს ლიბერალური კრიტიკა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაუშვა ყოველგვარი შენიშვნების გარეშე.

ჩვენ გვჭირია ახლა არა ასეთი, არამედ შეუბრალებელი კრიტიკა, რომლის მიზანი იქნება ნამდვილი თანამგზავრი კიდევ უფრო დაგვიახლოვოს და ის მწერალი, რომელიც საბჭოთა წესწყობილების არსებობის მე-8 წლის თავზედაც იყურება უკან, ძველ, თავად-აზნაურების საქართველოსა და დასავლეთ ევროპისაკენ, მოსპოს და გაანადგუროს, როგორც ლიტერატორი.

ჩვენი განვითარების დღევანდელი პერიოდი და ბრძოლის გამწვავება იდეოლოგიურ ფრონტზედაც მოითხოვს ჩვენგან მეტ ყურადღებას ამ ფრონტისადმი; კლასობრივი ხაზის მკაცრ სისწორეს იდეოლოგიის ყოველ დარგში.

ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ, რომ გავიმარჯვოთ იდეოლოგიურ ფრონტზედაც.

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის მე-2 პლენუმი

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს თბილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეორე პლენუმი.

დღის წესრიგის დამტკიცებისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. აკიმოვის მოხსენება რკინის გზელებ-ს პურითა და პირველ მოთხოვნილების პროდუქტების მომარაგების შესახებ.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, რკინის გზელების პურით მომარაგების საქმე სატრანსპორტო კოოპერაციას დაევალა გასულ წლიდან.

გასულ წლამდე საზოგადოებას ეძლეოდა ყოველ თვიურად 30 ვაგონი პური-ს ფქვილი; შემდეგ ეს ნორმა გადიდებული იქნა 60 ვაგონამდე, ხოლო გ. წ. ნოემბრიდან იგი აყვანილ იქნა 92 ვაგონამდე.

მიუხედავად ამისა რკინის გზელების პურით მომარაგების საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის მოწესრიგებული სათანადოდ რაც აიხსნება იმით, რომ საზოგადოებას არ მოეპოვება ზუსტი სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ უბანში რამდენი რკინის გზელია ჩაბმული მეურნეობაში; პურით მომარაგების დროს გამოდიან გზის საერთო შტატის (67 901 კაცი) საჭიროებიდან. ამასთანავე საკითხის მოწესრიგებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ სატრანსპორტო კოოპერაციის სავაჭროებიდან პურით სარგებლობენ არა რკინის გზელებიც.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგებაზე და განაცხადა, რომ საზოგადოებას დიდი ხანია რაც დაევალა რკინის გზელების უზრუნველყოფა ამ პროდუქტებით. გამგეობამ ამ დავალების სავსებით შესრულება ვერ მოახერხა ბაზარზე არსებულ მდგომარეობის გამო, მას საჭირო პროდუქტების უშუალოდ დამზადების უფლება არ აქვს, დამამზადებელი ორგანიზაციები კი ვერ ახერხებენ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ამის გამო ა. კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოება იძულებული გახდა დაეწყო საჭირო პროდუქტების დამზადება ჩრდილოეთ კავკასიაში.

— საერთოდ—სთქვა დასასრულ ამხ. აკიმოვმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხვედრითი წონა საზოგადოების საქონლის ბრუნვაში თანდათან იზრდება.

მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი.

ა.-კ. მრეწველობის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის მრეწველობის გამოკვლევის გეგმა. ეს გეგმა შედგენილია ა.-კ. სახკომსაბჭოს 1928 წ. 12 ივლისის დადგენილების და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის იმ ბრძანების თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს პარალელიზმის აღმოფხვრას უწყებების და დაწესებულებების საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაში; გეგმა შეიცავს 40-დე დავალებას, რომელიც ეხება მრეწველობის ყველაზე უფრო აქტუალურ და მთელ რიგ საკითხებს. თანახმად არსებულ დირექტივებისა, მთელი საკონტროლო მუშაობა დაკავშირებული უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან, რომლებსაც უნდა წარუდგინონ უწყებებმა და დაწესებულებებმა გამოკვლევის დამთავრების შემდეგ მუშგლეხინისათვის საჭირო მასალები.

კოლეგიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ მუშგლეხინებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები კონტროლის მრავალსახეობის აღმოსაფხვრელად და სისტემატიური მეთვალყურეობა იქონიონ უწყებებზე და დაწესებულებებზე რომ ისინი საკონტროლო მუშაობას ახორციელებდნენ მხოლოდ თავისიანთ გეგმის ფარგლებში.

საკონტროლო-საგამომკვლევო მუშაობის მოწესრიგების და მიღებულ გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარების მიზნით, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ამხ. მირზაბეკიანის თავმჯდომარეობით დაარსებულია მუდმივი თათბირი, რომელშიაც შედიან საუწყებო საკონტროლო ორგანოების წარმომადგენლები.

აღმშენებლობა დაბა ამბროლაურში

(რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

დაბა ამბროლაური წარმოადგენს ქვემო და ზემო რაჭის შუაგულ ცენტრს. აქ არსებობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი 7 წლიანი შრომის სკოლა, საბავშვო ბაღი, სამკითხველო, საავადმყოფო, აფთიაქი; სარაიონო კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, კრამიტის ქარხანა და სხვა რაც მთელ გარშემო მოსახლეობას თავის ახლო იზიდავს და აძლევს როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ საზრდოს. გარდა ამისა ამბროლაურში ყოველ კვირაობით იმართება დიდი ბაზრობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მთელი ქვემო და ზემო რაჭის მოსახლეობა.

რაჭველი გლეხობაც დიდათ დაინტერესებულია საზოგადოებრივ საქმიანობით. და ის გულმოდგინებაც უწყობს ხელს დაბა ამბროლაურის დაწინაურებას და განვითარებას. გლეხობამ თავის ინიციატივით, ანტირელიგიურ კამპანიის ჩატარების დროს, თვითონ დაანგრია ამბროლაურში არსებული ეკლესიები და მისი მასალით ააშენა 7-წლიანი შრომის სკოლა ხოლო დარჩენილი ქვის მასალა კი მოახმარა ზემო-რიონზე ახლად აგებულ ხიდს.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ მიღწევებისა, ამბროლაურის გლეხობას აკლდა კლუბი, რაც უაღრესად და უმთავრესია სარაიონო კულტურულ ცენტრისათვის. წინანდელი ეკლესიების ნაცვლად გლეხობისათვის საჭირო იყო გონების დასასვენებელი და განსავითარებელი თეატრი და კლუბი.

კლუბის ასაგებად ადგილობრივ გლეხობა უკანასკნელ ღონის მიმართა და საკუთარი შრომით ააგო შენობა. ერთი თვეა უკვე, რაც კლუბი მზათაა. მაგრამ კლუბისათვის საჭიროა საკლუბო მოწყობილობა, რომლის შეძენა გლეხობის მიერ ძალზე საძნელოა.

ამის გამო კლუბის სამშენებლო კომისიამ მიმართა ქ. თბილისში მცხოვრებ რაჭველ მოწინავე ამხანაგებს, რათა გაეწიათ მათ რაიმე მატერიალური დახმარება ხსენებულ საქმეში. ამ მიზნით თბილისში მცხოვრებ რაჭველებიდან შესდგა საინიციატივო კომისია, რომელიც 1-ლ თებერვალს აწყობს დიდ საკონცერტო საღამოს, ფართო პროგრამით.

კომისია ღრმათ არის დარწმუნებული, რომ რაჭველი და სხვა პატიოსანი მშრომელები ხელს შეუწყობენ ზემოხსენებულ კლუბის საბოლოო დამთავრებას ჩვენს მიერ ა. წ. 1 თებერვალს გამართულ საღამოზე დასწრებით.

ი. ჯანელიძე.

ქრონიკა

ავიაქიმრაზმების უფროსთა მომზადება

1-ლი თებერვილდან თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში ხსნის საავიაციო-ქიმიური რაზმების უფროსთა მოსამზადებელ 5 კვირიან კურსებს. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს სალამობით საღ. 6—9 საათამდე.

კურსებზე იქნება ორი განყოფილება—ზოგადი და სპეციალური. სპეციალურ განყოფილებებში მომზადებული იქნებიან ქიმიური, წესრიგის დაცვის, საჰაერო დაზვერვის, ცნობათა გაცემის, კავშირგაბმულობის და მედიკო-სანიტარული რაზმების უფროსები.

ალაზნის ჰიდრო-ელსადგურის პროექტის დამუშავება

ს. მ. უ. საბჭოს დადგენილებით მდ. ალაზანზე ჰიდრო-ელსადგურის აგების პროექტის დასამუშავებლად წელს გადადებულია 5.000 მანეთი.

საპროექტო ბიუროს დაარსება

მარგანეცის მრეწველობის დარგში განზრახულ საამშენებლო სამუშაოთა გეგმების შესადგენათ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით გადაწყვეტილია მოეწყოს სპეციალური საპროექტო ბიურო.

სამურზაყანოს არხის დამთავრება

ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა წყალთა სამმართველოს გაილოს სამურზაყანოს არხის სამუშაოთა დასამთავრებლად 30.000 მანეთი.

მიწათმოქმედების კომისარიატში

◆ **საქონლის გადაყვანა თურქეთის საძოვრებზე.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საძოვართა განყოფილების ცნობით, თანახმად დადებული კონვენციისა, წელს თურქეთის საძოვრებზე საქართველოდან გადაყვანილი იქნება 200.000 სული ცხვარი.

◆ **1000 გლეხის დასახლება სოჭის ოლქში.** გადასახლების განყოფილების ცნობით, ამჟამად სწარმოებს სოჭის ოლქში გადასახლებულ მცირე მიწის მქონე გლეხების სიების შედგენა. სულ სოჭ-ს ოლქში გადასახლებული იქნება 1000 მოსახლე, უმთავრესად შორაპნის მაზრიდან.

წყალთა მეურნეობის სამმართველოში

◆ **ჭიანის ველის მორწყვა.** წყალთა მეურნეობის სამმართველო აწარმოებს და ამ მოკლე ხანში დაამთავრებს ჭიანის ველის მოსარწყავ სამუშაოებს.

◆ **მდ. დურუჯის ნაპირების გამაგრება.** წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაიწყო წინასწარი მუშაობა მდ. დურუჯის ნაპირების გასამაგრებლად ყვარელის რაიონში (კახ. მაზრა).

◆ **სამურზაყანოს მორწყვა.** დაწყებულია მუშაობა სამურზაყანოს ველის მოსარწყავად. სამუშაოთა ხელმძღვანელად გაგზავნილია ტეხნიკოსი ჩაჩავა, რომელმაც მუშაობა უნდა დაამთავროს გაზაფხულამდე.

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში

◆ **დაწინაურებულ მუშების გადამზადება.** სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში 1-ლი თებერვლიდან იხსნება წითელი დირექტორებისა და წარმოებებში საპასუხისმგებლო სამუშაოებზე დაწინაურებული მუშების გადასამზადებელი კურსები.

◆ **ინჟინერთა კრება.** 1-ლ თებერვალს საღ. 7 საათზე სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში შესდგება ინჟინერთა კრება კლუბის გამგეობის ასარჩევად.

◆ **საქმიანი კლუბის წევრები.** 31 იანვრამდე სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის წევრად ჩაწერილი იყო 400 კაცი და 75 ცალკე წარმოება-დაწესებულება.

სხვადასხვა

◆ **პარასკევს, 1 თებერვალს, საღამოს 5 საათზე** სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (აუდიტორია № 1) მოწვეულია სოც. ეკ. ფაკულტეტის ეკონომიურ დარგის მე-4 კურსის სტუდენტთა კრება სტუდენტების წარმოება-დაწესებულებებში სავალდებულო პრაქტიკაზე გაგზავნის შესახებ.

◆ **საქართველოს საისტ. და საეთნოგ. საზოგადოებაში** პარასკევს, 1 თებ. საღ. 7 საათ. საქართველოს მუზეუმის შენობაში საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე მოხსენებებს წაიკითხავენ: 1) ს. მაკალათია: „კოლხური დიდრაქმა" და 2) გ. ლომთათიძე: „საზომები ქართ. ხალხურ პოეზიაში". კრება საჯაროა.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში,** ხუთშაბათს, 31 იანვარს, საღამოს 6 საათზე გაგრძელდება კამათი ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენების „სახალხო განათლების სისტემა"-ს გარშემო.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში** დღეს, 31 იანვარს, საღამოს 7 საათზე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი კრება. ამხ. პლ. ქიქოძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე „როგორ იზრდება პროლეტარული მწერალი".

— **ხუთშაბათს, 31 იანვარს,** ხელოვნების სასახლეში (ივ. მაჩაბლის ქ. 13) იროდიონ ხანთაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ბურჟუაზიული და კომუნისტური მორალი". კამათში მონაწილეობას მიიღებენ: შ. დუდუჩავა. სერ. ამაღლობელი პლ. ქიქოძე და სხვ. შესვლა თავისუფალია დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **საღამო-კონცერტი საოპერო თეატრში.** 4 თებერვალს საოპერო თეატრში შესდგება დიდი საღამო-კონცერტი საქართველოს ებრაელთა მიწათმოწყობის საზოგადოების სასარგებლოდ.

— **მომღერალ ნიკოლსკის კონცერტი.** 31 იანვარს სახ. კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მომღერალ ნიკოლსკისა და ვოლ-ლევიცკაიას კონცერტი.

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხი

ობლიგაციების მეპატრონეთა საყურადღებოდ

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟ. მოგებათა ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ, გუშინ, 30 იანვარს, სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას მიმართა 250-მდე ობლიგაციის მეპატრონემ, რომლებსაც ხვდათ მოგება. ზემოაღნიშნული პირები ბანკს უდგენდენ ობლიგაციის მისამაგრებელ ტალონებს. ბანკმა მათ მოგება ჯერ-ჯერობით ვერ გაუნაღდა, ვინაიდან მას მიღებული არა აქვს მოგებათა ოფიციალური ცხრილი.

ბანკი ოფიციალურ ცხრილს მიიღებს სამ-ოთხი დღის განმავლობაში, რის შემდეგაც შეუდგება მოგებათა განაღდებას.

ამასთანავე ბანკი ობლიგაციების მეპატრონეთა (კოლექტიურად ხელის მომწერთა) საყურადღებოთ აცხადებს, რომ მოგებათა შესახებ მათ უნდა აცნობონ თავის კოლექტივს სამეულს (სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი სამეულები), რომლებიც შეაგროვებენ კოლექტივის ყველა მოგებულ ობლიგაციების ნომრებს და სათანადო მინდობილობის საბუთით წარუდგენენ ბანკს, მიიღებენ მოგებებს და გაუნაწილებენ ობლიგაციების მეპატრონეთ.

ეს წესი ბანკს ზევრად გაუადვილებს მოგებების განაღდებას, და ამასთანავე ობლიგაციების მეპატრონენიც აცდებიან ზედმეტ დროის გაცდენას და რიგში დგომას.

რკინის გზებზე

შემთხვევები გასულ წელში

ამ.-კავკასიის რკ. გზების შემთხვევებთან მებრძოლი განყოფილების ცნობით, გასული წლის განმავლობაში გზაზე ადგილი ჰქონდა 2093 შემთხვევას. წინა წელთან შედარებით შემთხვევების რიცხვი გაიზარდა—872-ით.

ყველა ამ შემთხვევებმა გზას მოაყენა 743.853 მანეთის ზარალი. ზარალი წინა წელთან შედარებით შემცირდა 332.097 მანეთით.

განსაკუთრებით საგულისხმო შემთხვევები რომელთაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი იყო 26 და მოძრავ შემადგენლობის ლიანდაგიდან გადავარდნის შემთხვევა—91.

დაჯახების შემთხვევები იყო 88: შემადგენლობათა გაწყვეტის შემთხვევები კი—667.

შემთხვევების 60 პროცენტი მოხდა გზის აგენტების მიზეზით.

საქართველოს თარგლებში შემთხვევათა რიცხვი გაიზარდა 16 პროცენტით. სომხეთში—114 პროც. და აზერბეიჯანში—105 პროცენტით.

ყველაზე მეტ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა: ლენინაკანში. ევლახში. ბაქოს მეორე სადგურში და თბილისში.

უბედურ შემთხვევათა (ადამიანთა მსხვერპლი და დასახიჩრება) რიცხვი უდრის —1423. აქედან 1188 შემთხვევა მოდის გზის მუშა-მოსამსახურეებზე. 38—მგზავრებზე და 197 გზისათვის უცხო პირებზე.

შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ განიხილა სულ 326 საქმე. 38 აგენტი მიცემულ იქნა პასუხისგებაში 41—დაითხოვეს სამსახურიდან. 107—ჩამოაყენეს დაბალ თანამდებობაზე 277-ს გამოეცხადა საყვედური. 44 მიეცა შენიშვნა და გაფრთხილება, 26-ს გამოეცხადა მადლობა.

მწერალი-ქალის განდეგილის გარდაცვალების გამო

დამკრძალავი კომიტეტი

მწერალი-ქალი განდეგილი

29 იანვარს მწერალი ქალის განდეგილის (დომინიკა ერისთავი-მდივანისა) დასაკრძალავად შესდგა დამკრძალავი კომიტეტი, რომელშიაც შედიან მწერალთა კავშირის სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლები.

დამკრძალავ კომიტეტში შედიან: ეკ. გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, მარიჯანი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი, ვასილ ბარნოვი, თედო სახოკია, ი. გრიშაშვილი, პლ. კეშელავა, არ. ჭუმბაძე, გ. ლეონიძე, აკ. ფალავა, დ. არაყიშვილი, ალ. ახმეტელი, ლ. მეტრეველი, ლ. ასათიანი და ლელი ჯაფარიძე.

დამკრძალავი კომიტეტის სხდომა შესდგება დღეს, 31 იანვარს, დღის 1 საათზე ხელოვნების სასახლეში. სხდომაზე შემუშავებულ იქნება დაკრძალვის წესრიგი.

დაკრძალვა კვირას, 3 თებერვალს, დღის 12 საათზე დიდუბეში. გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან.

კლიმატოლოგიური განყოფილება

საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან

საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან დაარსდა კლიმატოლოგიური განყოფილება.

ამ განყოფილების დაარსებით ბოლო ეღება იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელსაც საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ჰქონდა ადგილი დღემდე: ობსერვატორიაში დიდძალი კლიმატოლოგიური მასალაა დაგროვილი. მაგრამ ეს მასალა სათანადოდ დამუშავებული არ არის. ამის გამო დაწესებულებები იძულებული იყვნენ საჭირო კლიმატოლოგიური მასალების დამუშავება კერძო პირებისათვის მიენდოთ და ესარგებლათ შეუმოწმებელი ცნობებით.

ახალი განყოფილება მოვალეა მიაწოდოს დაინტერესებულ დაწესებულებებს და პირებს მათთვის საჭირო ყველა კლიმატოლოგიური მასალები.

განყოფილების ამოცანაა: წესრიგში მოიყვანოს ყველა ის კლიმატოლოგიური მასალები, რომლებიც დაგროვილია ობსერვატორიაში 1844 წლიდან და დაამუშაოს იგი ისეთას სახით, რომ შეიძლებოდეს სარგებლობა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. განყოფილების ამოცანას ამასთანავე შეადგენს ზოგად კლიმატიურ პირობებზე ადგილობრივი ხასიათის მიზეზების გავლენის შესწავლა; საქართველოს კლიმატიურ რაიონებათ დაყოფა, თავმოყრა ყველა იმ მასალებისა, რომელიც საქართველოს ჰაერის რყევას ან ცვალებადობას შეეხება და ყველა ამ მასალების კრიტიკული განხილვა მათი მიზეზობრიობის და კანონზომიერების თვალსაზრისით.

ყველა ამ ამოცანების ირთბაშად გადაწყვეტა, ცხადია. შეუძლებელია. მიმდინარე წელში დამუშავებული იქნება კლიმატოლოგიური ელემენტების ნორმალური სიდიდეები ყველა იმ კლიმატიური სადგურებისათვის, რომლებიც მუშაობენ ან მუშაობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

კლიმატოლოგიური განყოფილების გამგეთ დაინიშნა ივ. გაჩეჩილაძე.

საუკეთესო კოოპერატიული კომისიები

თბილისის მუშკოოპის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე მოხდა კოოპერატიული კომისიების შეჯიბრების შედეგების განხილვა.

საუკეთესო კოოპერატიული კომისიების დასაჯილდოებლად დაწესებული იყო სამი ჯილდო: პირველი—100 მანეთის, მეორე—50 მან. და მესამე—25 მანეთის რაოდენობით.

პირველი ჯილდო მიენიჭა: საპონ-ზეთის ტრესტის, ლენინის სახელობის ფაბრიკის და ტრამვაის კოოპ. კომისიებს; მეორე ჯილდო—მაკარონის ფაბრიკის, პოლიგრაფსკოლის, სახელმწიფო ბანკის და საკარტონაჟო ფაბრიკის კომისიებს; მესამე ჯილდო—სტალინის სახ. ავტოსახელოსნოს, მეორე თამბაქოს ფაბრიკის, კალინინის სახ. ქარხნის და 26 კომუნარის სახ. ქარხნის კოოპ. კომისიებს.

სასამართლო

წყალ-წაღებულნი ხავსს ეკიდებოდნენ

ამიერ-კავკ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების № 1 სავაჭროში ორი მავნე აღმოაჩინა სარევიზიო კომისიამ გასული წლის მარტში.

ერთი ყო თვით სავაჭროს გამგე ივანე ვოსკანოვი და მეორე ნოქარი ნიკოლოზ პარმენის ძე მაღრაძე. ისინი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ შეხმატკბილებულად, ერთმანეთს უზიარებდნენ ყველაფერს, როგორც „სანამუსო საქმეს", ისე კომბინაციის გზით ჩამორჩენილ ფულებს.

მათი შეხმატკბილებული „მუშაობის", ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, შეთანხმებული კომბინაციის წყალობით კოოპერატივის სალაროს თავი დაუკრა 2,500 მანეთმა.

ეს თანხა კიდევ საგრძნობლად გაიზრდებოდა, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, უნდა უმადლოდეთ სარევიზიო კომისიას, რომელიც თავს წაადგა ამ მსუნაგებს და ჭამის მადა გაუფუჭა.

— რაც გვაკლია, გვაკლია! რაღა ლაპარაკი უნდა! ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი და კიდეც ვადუფარავთ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დანაკლისის გასამართლებელი საბუთებიც აღმოჩნდება—ლაპარაკობდნენ მუქთამჭამელნი.

გამფლანგველებმა დასდეს „პატიოსანი" სიტყვა, რომ დანაკლისს დაუყოვნებლივ დაფარავდნენ, თუ საბუთებს ვერ წარმოადგენდნენ.

მაგრამ ფულზე გაწუწკებულ ხალხს საერთოდ უჭირს ფულის გადახდა. ვოსკანოვი და მაღრაძე გაფლანგულის ფულის ანაზღაურებაზე იმდენათ არ ფიქრობდნენ, რამდენადაც ამ საქმის მიფუჩეჩებაზე. მდგომარეობა ერთობ რთული იყო. ადმინისტრაცია დაპატიმრებით ემუქრებოდა გამფლანგველებს, თავდებოდა ფულის შემოტანისათვის დანიშნული უკანასკნელი ვადა.

განსაცდელში არიან მეგობრები. ერთადერთი იმედი, რომელიც მათ ასულდგმულებდა, ეს იყო ინსტრუქტორ-რევიზორის ლამბაროვის მოქრთამვა, რომელიც რევიზიას ხელმძღვანელობდა. მას შეეძლო „სათანადო საბუთების" გამოჩეკა. სხვა გამოსავალი მათთვის არ არსებობდა, რადგან ამოდენა ფულის გადახდა მათ არაფრად ეკაშნიკებოდა, ხოლო ადმინისტრაცია გამსახლისაკენ მიუთითებდა.

ლამბაროვი იყო წყალ-წაღებულთა უკანასკნელი იმედი. გაბედეს და წინადადება მისცეს მას როგორმე დაეფარა მათი დანაშაული, რისთვისაც აღუთქვეს გასამრჯელოთ 500 მანეთი.

რევიზორმა ჩაიცინა გულში. არც უარი უთხრა, არც თანხმობა. დაიბარა მეორე დილისათვის, ხოლო მანამდე ეს ამბავი აცნობა გამგეობას. გამგეობამ წინადადება მისცა რევიზორს დაენიშნა გამფლანგველებისათვის პაემანი და გამოერთმია მათთვის დაპირებული ქრთამი.

მეორე დღეს ვოსკანოვი და მაღრაძე სიხარულით ცას სწვდებოდნენ, როცა „დაითანხმეს" ლამბაროვი ქრთამზე.

სადილზედაც მიიპატიჟეს მათი „დამხსნელი" მეგობარი, იცლებოდა სადღეგრძელოები.

გათავდა ქეიფი. გამფლანგველებმა 400 მანეთი (ქრთამი) მიართვეს რევიზორს. ხოლო დანარჩენი ასი მანეთი მეორე დღისათვის აღუთქვეს.

რევიზორმა ლამბაროვმა ეს ფული გადასცა გამგეობას, რომელმაც სასწრაფოდ გასცა განკარგულება გამფლანგველების დაპატიმრების შესახებ.

ვოსკანოვი და მაღრაძე ეხლაც სხედან გამსახლში. მათ საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

გერ.

წითელ ჯვარში

წარმომადგენლების დანიშვნა ამერიკაში და კანადაში

ამერიკაში და კანადაში დაარსდა საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლობა. ამერიკაში წარმომადგენლად დანიშნულია ექ. დუბროვსკი, ხოლო კანადაში ამხ. შეფტელი.

ყოფ. გერმანელთა საავადმყოფო

ყოფ. გერმანელთა საავადმყოფო, რომელიც გადაეცა საქართველოს წითელ ჯვარს, გაიხსნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავზე, ამა წ. 25 თებერვალს.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი 31 იანვარი

დღეს, 31 იანვარს, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის რადიოსტუდიიდან გადაცემული იქნება:

მოხსენება—„პროფკავშირების როლი და ამოცანები კულტურულ რევოლუციაში"; მოხსენება—„საწარმოო თათბირების შემოწმება რკინის გზებზე"; ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ქრონიკა. მუსიკალური დასვენება. მოხსენება—„როგორ შეიძლება თვითღირებულების დაკლება წარმოებაში"; ინფორმაცია რადიომუშაობის შესახებ პასუხი წერილებზე კონცერტი სტუდიიდან.

შემთხვევები

ხანძარი

30 იანვარს ხანძარი გაჩნდა მუშკოოპის სავაჭრო მაღაზიაში (კახეთის ქ. 28). სასწრაფოდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი. რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 20 წუთში. ხანძარით გამოწვეული ზარალი ირკვევა.

პატიმრის გაპარვა

გუშინ მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს შენობიდან გაიპარა პატიმარი ედვარდ ფერდინადისძე ლომბანი, როგორც გამოირკვა, პატიმრის გაპარვა მოხდა მილიციელ შალვა ლომიძის სამსახურისადმი დაუდევრობის წყალობით. ლომიძე დაპატიმრებულია.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა: სანდრო ალექსანდრესძე ჰაკაშვილი ალექსი გიორგისძე ოსაშვილი. ვასილი გრიგოლისძე გრიგოლიანცი. აიკ კარაპეტისძე მურადიანცი და ფარუმ გრიგოლისძე გრიგორიანცი, რომლებიც სისტემატიურად ეწეოდნენ ქურდობას და ჯიბგირობას.

ქურდობა

გაქურდეს პეტრე საყვარელიძის ბინა (კლარა ცეტკინის ქ., № 76) წაიღეს ერთი ნოხი.—მარიამ გიგინეიშვილის ბინიდან (გლდანის ქ., 6). მოიპარეს 110 მანეთის საოჯახო ნივთები.

ამინდი საქართველოში

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, 30 იანვარს საქართველოში ასეთი ამინდი იყო:

სოხუმი. სუსტი ქარი, მოწმენდილი. ყინვა 0 გრად.

ფოთი. ძლიერი ქარი, მცირე ღრუბლიანობა სითბო 2 გრად.

ბათუმი. მოღრუბლული დარი სითბო 3 გრადუსი.

სამტრედია. ძლიერი ქარი. მც. ღრუბლიანობა, სითბო 1 გრად.

ქუთაისი. სუსტი ქარი მოწმენდილი. ყინვა 7 გრად.

ბორჯომი. სუსტი ქარი, მოწმენდილი. ყინვა 14 გრად.

აბასთუმანი. ღრუბლიანი, ყინვა 11 გრად.

გორი. სუსტი ქარი, ღრუბლიანი დღე ყინვა 6 გრად.

გუდაური. სუსტი ქარი. ღრუბლიანი, ყინვა 16 გრად.

თბილისი. მოღრუბლული, ყინვა 4 გრად. 1 საათისათვის ყინვა 2 გრადუსს უდრიდა.

საგარეჯო. მოღრუბლული ყინვა 7 გრად.

ლიუქსემბურგი. სუსტი ქარი. მოღრუბლული, ყინვა 7 გრად.

—:—

ლენინგრადში და მოსკოვში

ლენინგრადში ყინვა გაძლიერდა 20 გრადუსამდე. ხოლო მოსკოვში—26 გრადუსამდე. როგორც მოსკოვში, ისე, ლენინგრადში მოწმენდილი დარია, ქრის სუსტი ქარი.

შრომის ბირჟაში

დღეს, 31 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ასატურ მუსტაფა-ოღლი. გრიგოლ დავითიანი. მოდებაძე. ევგენი ალხაზიშვილი ანდრო კაპანიანი. მხითარ პოღოსიანი, ვარლამ ყუფარაძე. აბვერდოვი, პარმენ ვაჩეიშვილი. სეროფ სარქისიანი. სერგო მგელაძე ვართან ადამოვი. ეგიაზაროვი. ისაკ შარიფაშვილი, გიორგი აბუაშვილი. სიმონ ჯიქორიძე, ლევან ჩანჩიძე, აბრამ ბერსენოვი მარქარ სუკიასოვი. ავეტიქ ოგანეზოვი, ვარლამ ცეკვაშვილი. იოსებ ურუშაძე.

მოზარდთა სექციიდან: გიორგი ადამაშვილი. რუბენ ხაჩატუროვი. არშაკ ნერსესოვი ნინო ხუციშვილი ვერა ჩიჩერინა. ივანე გოგსიტაშვილი შალვა სამქუაშვილი, ასია ადა[illegible]. გრიგოლ წერეთელი. არჩილ ბაქრაძე. გელო ჯანიშვილი. გევორქოვი. მარჩენკო ნადია სტეფანოვი. აზატ გაბრიელიანცი, კლავდია პადევსკაია. ნინო კაგრაკოვა. ანდრო სტეფანოვი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ალექსანდრე კალინიჩენკო. ანა ბახჩიევა. ანა დორონოვა. ეკატერინე მოლჩანოვა. ელენე მელიქშახნაზაროვა ლიუბა ანტონოვა, გრიგოლ გიორგობიანი. ტროიცკაია სოფიო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებაში (ოთახი № 66) შესდგება მიმღები კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ პარტიონ იოსების ძე მურუსიძე. ვლადიმერ სამსონის რაიონიდან—მიხეილ პეტრესძე რუხვაძე, შალვა ნიკოლოზის ძე ნინიაშვილი, გალაქტიონ იოსების ძე მურუსიძე, ვლადიმერ სამსონის ძე მურუსიძე, შალვა ბესარიონისძე ლეკვეიშვილი. სოლომონ მიხეილის ძე იმნაიშვილი, ანდრია სოლომონის ძე ბიბილეიშვილი, სერგო გიორგისძე დავითაშვილი, ვარლამ ევნატესძე გაბუნია, ივანე ანდრიასძე კაზიშვილი და ალექსანდრე ივანესძე პავლოვი; ყოფ. არსენალის რაიონიდან—ბორის მიხეილის ძე გრიგორიევი და ნიკოლოზ ლაზარეს ძე ლიჩელი; **26 კომუნარის რაიონიდან—**სერგო ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე, ხაჩატურ ხანდინისძე სარიბეკოვი და აპოლონ ილიასძე ჯორბენაძე; **ქალაქის რაიონიდან—**ვლადიმერ აკიმის ძე ოკოროკოვი და აბრამ ნიკოლოზისძე ლაზარეიშვილი.

ხვალ, 31 იანვარს, დილის 11 საათზე საქ. კომპ. ცკ-ას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ნ. კიკნაძე („კომუნისტი"), თ. სიხარულიძე („მუშა"), ბ. ბარათაშვილი („ახ. სოფ.") , დ. ვოლსკი („ახ. კომუნ."), გრიგორიანი („რაბოჩ. პრ."), მელიქიანი („პროლეტარი") და ტაგიევი („ენიკენდი").

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკ კომპარტიის უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 31 იანვარს, დღის სრულ 2 საათზე. ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ლენინის რაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 31 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება სადელეგატო მეცადინეობა 1-ლ ჯგუფის—პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში, მე-2 ჯგ. რკ. გზ. სამმართველოში, მე-3 ჯგ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში, მე-4 ჯგ. რკ. გზ. სამმართველოში.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სოფლად მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 31 იანვარს დილის 10 საათზე ამხ. არუთინოვის კაბინეტში შესდგება თათბირი. შემდეგი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: 1) ნასიძე (სას.-სამ. ბანკი). 2) დუგლაძე (სოფლის კავშირი). 3) კობახიძე (მუშგლეხინი) 4) დოლიძე (თბ. კომ.). 5) ცაგარელი (კოლმეურნეობის ცენტრი).

◆ **სახ. უნივერსიტ. პედ. ფაკ. 1 და მე-2** კურსთან არსებული ა.-ლ.-კ.-კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 31 იანვარს, საღამოს სრულ 5 საათზე მოწვეულია ბიუროს სხდომა წევრთა და კანდიდატთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის ა.-ლ.-კ.-კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს სრულ 12 საათზე. წევრ კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

ხუთშაბათს, 31 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში (ოთახი № 66) შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომაზე უნდა გამოცხადდენ მიმღები კომისიის ყველა წევრები.

თავზარდაცემული მშობლები ოლღა ანდრიას ასული და მიხეილ პავლეს ძე, და-ძმა რუსუდან და პავლე კინწურაშვილები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ მათი უძვირფასესი პატარა

თინათინ კინწურაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას ამა წლის 29 იანვარს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ბინიდან—ჯულაშვილის (ყოფ. რტიშჩევის) ქუჩა № 15, ხუთშაბათს, 31 იანვარს დღის 3 საათზე. ნის.

ილია აღლაძე, ვასო ეგნატაშვილი, გიგუცა კიკნაძე, აკაკი გორონიძე, შალვა გაძყრელიძე, ვანო წულუკიძე, დოტო ლომთაძე, ოლია გაგუა, თამარ ვანიძე, კოლია ტყემალაძე და ანტონ კილინჯერიძე იზიარებენ ამხანაგის და მეგობრის მიხეილ კინწურაშვილის მწუხარებას მისი პატარა

თინათინის

გარდაცვალების გამო. ნის.

ღრმად დამწუხრებული თეკლე პეტრეს ასული გურჯი შვილებით: ვლადიმერი, ლუბა და თინათი, ანა ივანეს ასული ტურიგინა ქმრით. ძმები: ივანე, ზაქარია, პოლიკარპე, ანტონი, ნიკოლოზი და ლევან ფალიაშვილები ცოლებით, დები: ანა, ნინა და ჟანა ქმრებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ქმარი და მამა, ძმა და სიძე

არქადი ივანეს-ძე გურჯი

გამოსვენება ბინიდან მელიქიშვილის ქ. (ყოფ. წყნეთის) № 45, ხუთშაბათს, 31 იანვარს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ძველ სოლოლაკის სასაფლაოზე. 282

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: ვანო, მარგარიტა, სიძე რაჟდენ ბუაჩიძე, რძალი ვერა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

სონა გომართელი-ქავთარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა პარასკევს, 1 თებერვალს, სოფ. იდანწმინდაში. 283

თავზარდაცემული მეუღლე სიკორე, შვილები ანატოლი, ტატიანი და თინა კალანდაძეები, დედა დესპინე, ძმა ვარდენი, ძმისწული მაგდლენა ჭავჭანიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ეკატერინე (ქეტუშა) მიხეილის ასული კალანდაძის

279

დამწუხრებული მეუღლე გრიგოლ (ჯვები) ბეგლარის-ძე ვაჟით ჯანრიკოთი და ძმებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ლიზა ფარნაოზის ასული ჩიჩუასი

დაკრძალვა 1 თებერვალს, ზუგდიდში. 289

მწუხარებაში მყოფი შვილები: ანეტა, მარო, ლიზა, კოტო, ივანე, ალალოზი და ვალერიან ჭიჭინაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი დედის

ტერეზია ლუარსაბის ასულის ჭიჭინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 1 თებერვალს, სოფელ ხოტევში რაჭაში. 287

სრ. საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი აცნობებს საზოგადოებას, რომ 29 იანვარს, ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე გარდაიცვალა ფედერაციის წევრი მწერალი ქალი

განდეგილი

(დომინიკა ზურაბის ასული ერისთავ-მდივნისა)

სამოქალაქო პანაშვიდები საღ 7 საათზე. საკუთარ ბინაზე, ელბაქიძის დაღმართი № 1

2200

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე ვასილი შვილები: იაკობი, დავითი და თამარი, რძალი ელენე და შვილიშვილი ლია ლაფერაშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუფასებელი

ანასტასია (ტასო) გიორგის ასული ლაფერაშვილი

გამოსვენება პარასკევს, 1-ლ თებერვალს, საკუთარ ბინიდან ფოთის ქ. № 6. ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე (ე)

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე სოლომონის ასული მაჭავარიანისა და იოსებ კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი შვილებით არჩილით და ლევანით, მიხეილ სოლომონის-ძე მდივანი და ანა სიმონის ასული მდივნისა შვილებით იურით და ზურაბით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 29 იანვარს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

დომინიკა ზურაბის ასული

განდეგილი (ერისთავი-მდივანი)

დაკრძალვა 3 თებერვალს. 291

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 31 იანვარს. ვ. კირშონის

„ლიანდაგი გუგუნებს"

დრამა 9 სურათად. თარგმ. ალ. ბოკერიას

დადგმა შ. ალსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დაწყება 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—2 ნ. 2196

დიდი კონცერტი

რაჭა-ლეჩხუმის მაზრის დაბა ამბროლაურის კლუბის სასარგებლოდ

პარასკევს პირველ თებერვალს, საღამოს 9 საათზე.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოეწყობა

დიდი საღამო-კონცერტი

მონაწილეობენ: 1) ქუმსიაშვილი ნ., 2) თარხნიშვილი მარ., 3) ქაშაკაშვილი, 4) სულხანიშვილი, 5) ბაკურაძე, 6 აფხაიძე, 7) ძმები თარხნიშვილების გუნდი და მრავალი სხვა გასართობები. საღამოს მომწყობი კომისია

სახელმწიფო კინოები

ბანთიადი	მხატვრული სურათი **გილიანის ასული**
მინიონი	უკანასკნელი დღე **უძლეველნი**
კოლოსი	ხალხური ფილმი „გოსკინო"-ს ნაწარმოები **კატორღა** რეჟისორი—ი. რაიზმანი ოპერატორი—ლ. კოსმატოვი
სოლეი	
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი **ქარიშხლის კანონები** ნინა ლის მონაწილეობით
აპოლო	უკანასკნელი დღე **ნამდვილი ჯენტლმენი**
დარბაზი	ისტორიულ სურათი **ჯანყი** მე-2 სერია
პროლეტარი ავლაბარი	კარმენ ბონი მხატვრულ სურათში **ნამდვილი მამაკაცი**

0—25

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

განახლებული სანახაობა

ფართო პროგრამა 3 განყოფილებად

პოპულიარულ ჰიპნოტიზიორის

ორნალდოს გამოსვლა

(მასიური ჰიპნოზი)

31 იანვარს **ეროსის** უკანასკნელი გასტროლი

მონაწილეობს მთელი დასი და ყველა გასტროლიორი

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

3—3 ნ. 2187

კინო-**არფასტო**

დღეიდან

სეზონის საუკეთესო სურათი

ქარიშხლის კანონები

მთავარ როლებში:

ნინა ლი, ფედორენკო, ხოხლოვი

და სხვ.

რეჟისორი—ა. სოლოვიოვი

ოპერატორები—გოლდტი და კიუნი

ნ. 2201

გაზეთ „კომუნისტი"-ს წლიურ ხელის-მომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

თებერვლის მორიგი გადასახადი **1 მ. 50 კ.**

იანვრის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება.

0—9 „კომუნისტი"-ს კანტორა

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) აცხადებს, რომ კვირას, 3 თებერვალს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2198

მალე

ახალი

მხატვრული

ფილმი

ქალიშვილი გემიდან

თვალყური ადევნეთ რეკლამას

2201

რეზინის და ტყავის ბოტებისა და კალოშების სრული განახლება

ლამაზად და წესიერად

პლეხანოვის პროსპექტი № 131

„არარატი"

კინო „აპოლო"-ს გვერდით

286

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში

უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.

პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.

ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.

214 6—9

შინა-მრეწველ ხელოსან. საზოგადოების

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს საზოგადოების ყოფილი წევრების საყურადღებოთ, რომ, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე ა. წ. 31 იანვარში მოწვეულია

სალიკვიდაციო კონფერენცია

კონფერენციაზე და წრება სათათბირო ხმით შეუძლიათ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებსაც (პლეხანოვის პრ. № 66 ხელოსანთა კლუბი)

დღის წესრიგი:

1) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

2) შინა მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიის საანგარიშო მოხსენება (მომხსენებელი ამხ. დ. ნასარიძე).

3) თბილისის საბჭოს არჩევნების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ნასარიძე)

4) მიმდინარე საკითხები.

ნ. 2141 2—2 სალიკვიდაციო კომისია

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს ალმასრულებელი

ა. გიორგაძე

აცხადებს, რომ ის 5 თებერვალს 1929 წ. დილის 1 საათზე სახლში № 6 პეტრიწის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. აპირიდონ ლიტოვჩენკოს მოძრავ ქონებას: ერთ ს მგზავრო ავტომობილს „ნეპირ"-ის, 17 ცხენის ძალის შეფასებულს 550 მანეთად, მოქ. ლექსო გრიგორის ძე შელაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოსაგან ოქტომბრის 1928 წ. თარიღით, № 27 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 281

ქ. თბილ. მე-2 რაიონ. სასამართლოს ალმასრულებ.

გ. ი. ქილიფთარი

აცხადებს. რომ ის 1929 წ. 2 თებერვალს დილის 1 საათზე სახლში № 9 ელბაქიძის დაღმართზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი რობაქიძის ბინის მოწყობილებას: სარკიან შიფონერკას, ფარდაგებს და სარკეს შეფასებულს 240 მანეთად, ალიმენტის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბ. 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 20 მაისს 1925 წ. თარიღით, № 1768 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. ნ. 2199

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს ალმასრულებელი

ლორთქიფანიძე

აცხადებს, რომ ის ა. წ. 4 თებერვალს დღ. 2 საათზე ბესიკის ქუჩაზე № 9 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხა ბრეგვაძის კუთვნილ სახლის ნახევარ ნაწილს. სახლი ორსართულიანია და შესდგება სულ 8 საცხოვრებელი ოთახისაგან შეფასებულია 1.500 მანეთად გაიყიდება შემოძლეული ფასიდან საზკვების კავშირის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბ. შრ. სასამართლოსაგან გაცემულ ალმასრულებელ ფურცლებისა №№ 28—6496. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. 288

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ბ. 25—19.

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები

კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ. —მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25 12

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულება და გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღის) ქ. № 20, მესამე სართული.

კბილის ექიმი

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

პონტაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა) № 47, ტელეფონი № 5—90.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25|1

ქ. ქუთაისი

ექიმი

ი. ხ. შველიძე

კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)

მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.

ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე

მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი

200 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—1

დავკარგე: განათლების კავშირის წიგნაკი № 18225 მ კოინე კაროლინე სტეფანეს ასული გაბელაას სახელზე, ჩ. გ. 280

დავკარგე: თბილისის ქალაქის ლომბარდის საგირაო ქვითარი № 105 348 ჩ. გ. 290

დავკარგე: საბინაო დავთარი კლარა ცეტკინის ქუჩა, სახლი № 174 ივ. ბაბიტაძის სახელზე, ჩ. გ. 285

დავკარგე: პარტბილეთი № 0860045 — ვლადიმერ კვირკველიას სახელზე, ჩ. გ. 84

პოლიგრაფტრესტის მე-ხ სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.